

3. ୬୮୫୦୯



F 7.631
2

ଶ୍ରୀ କୃତ୍ସନ୍ମାଲେଖକ

୧

899.962 .1-2



3 3 5 0 0, 200/20005/.

F

ერამერი და ცომერი ინგი.

(ნიკო პირველი)

F-21.631
2

ტ ტ ი რ ი ს ი

მ. სარაშიძის სც. 1893.

ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს ყველა კუთხეებში ცოტ-ცოტად ფეხს იკიდებს ქართული წარმოდგენების მართვა. ამ ფრიად სასიამოვნო მოვლენას, სხვათა შორის, ძლიერ აფერხებს დაბეჭდილი პიესების უქონლობა.

ჩვენ დიდი ხანია გვსურდა ამ მხრივ მაინც ოდნავ ხელი შეგვეწყო პროვინციის სცენის მოყვარეთათვის და ამიტომ განვიზრახეთ დავბეჭდოთ რამდენიმე წიგნაკათ ზოგიერთი ჩვენი პიესები, რომლებიც უკვე წარმოუდგენიათ თბილისის ქართულ თეატრში.

გადარიან გუნდა

1893 წ.

ԾԱ-ՃՃՃ

ՔՐԱՑԱ 5 ԺՈՒՆԻ 1890 (6 ՆՎՐԱՏԱԾ)

ՑԵՐԵԿ ՊԱՐՏԱԳՈՒՅՆ ԱՅՋԱՅԱԾ.

Настоящая драма, подъ заглавием „БРАТЬ
И СЕСТРА“ разрѣшена Г. Главноначальствую-
щимъ гражданскю частю на Кавказъ на основаніи
84 ст. уст. Ценз. изд. 1890 г. къ представлению на
сценахъ края. Ноября 6 дня, 1891 г.

Предсѣдатель Комитета М. Гаккель.

Секретарь Н. Меликъ-Нубаровъ.



მომენტები პირნი:

ფარად-ფაშა,	ოსმალთ სპასალარი.
გარა-ოღლია,	ჯარის უფროსი.
ჭან-გერდი,	მსაფული.
გარაგიოზი,	ოსმალთ მხედარი.
თურქი,	მეომარი.
ოტია ჭოლია,	თავადი, ოსმალთ მომხრე.
გიორგი ადამია,	ახალგაზდა მეგრელი.
ქუჩუ ადამია,	ამისი მამა, ბერი-კაცი.
გიოზი ფალავა,	თავადი, ახალგაზდა მეომარი.
მარინე,	და გაიოზის, და ოტიას საყვარელი.
გადაა,	ადამიას ცოლი.
ბიჭი,	მსახური.

მოქმედება სწარმოებს დასაკლეთ სამეგრელოში მე-XVII საუკუნეს დამდევში.

- | | |
|-------------------|------------------------------|
| 1) მოქმედ. | 4) მოქმედ. |
| მოლალატე. | უმანკოს წიმება. |
| 2) მოქმედ. | 5) მოქმედ. I სურათ. |
| და-ძმის შეხვედრა. | სასიკვდილოდ განწირულნი. |
| 3) მოქმედ. | 6) მოქმ. II სურათ. |
| და თუ საყვარელი? | ლვოის სასჯელი და გამარჯვება. |

და-მძა.

მოქმედება პირველი

სკუნა წარმოადგენს დარბაზს ოტია ჯოლიას სასახლეში. შეა, მარჯვნივ და მარცხნივ კარებია. დარბაზი ძველებუ-რად მორთულია: ტახტი მუთაქებით და ხალიჩებით, წითელი მაუდით მორთული სკამები. ერთ მხრივ ფანჯარაა. ტაბლა ძველებური ხელობისა, კედლებზე მრავალი იარაღები და ირმის რქა სამკაულებით. საღამოს დროა.

I.

შემოდის გადია, მერე ადამია.

გადია. (შემოდის შეშინებული, მიუბრუნდება ვიღაცას) როვორ მიბედავ, შე ბრიყვო! ხელი არ მახლო, შე ურჯულო, თორემ მე ვიცი შენი! თუ ბატონს შევ-ჩივლე, სიცოცხლე მაქვს, მალე გაგაგდებინოს ეგ ბრიყვი გოგრა. ღმერთო ჩემო, ეს რა დღე დაგვადგა? ვიღაც ურჯულო, ბრიყვი თსმალი რაებს მიბედავს! ვაი ჩვენი ბრალი, თორემ ბატონს რა უშავს.... (შემოდის ადამია).

ადამია. დედა-კაცო, რა დაგემართა? რას ჭყივი? ეს სასახლე შენ ხომ არ დაგრჩენია? შე ვერანო, ცო-ტა პატივისცემა მაინც გქონდეს კაცისა.

გადია. ნეტა რას როტავ? რო მიჯავრდები,

მერე იცი რისთვის ვყვიროდი? შენ ის გირჩევნია ოსმალები დაარიგო, თორემ მალე, მგონია, კარში არ გაესვლება ადამიანს..

ადამია. ნეტავი შენა, საქმე გამოგლევია!

გადა. საქმე მე კი არა, შენ დაგლევია; შე უბედურო, დაბერდი და სულ გამოყეყენდი, აბა მითხარი, ეს რასა ჰგავს? ოსმალების შიშით დედა-კაცი კარში ვერ გამოსულა, სულ შინ დამწყვდეულები არიან; ამას როდი სჯერდებიან: სახლშიაც არ აძლევენ მოსვენებსა და, ვინ იცის, რაებს არ სჩადიან.... გაგონილა?! არც სირყმეს და არც სიბერეს უყურებენ!..

ადამია. ახია შენზედ, რად დაეხეტები.

გადა. რუსულანი მეძახდა.

ადამია. რად გეძახდა?

გადა. ოტიას ნახვა მინდაო.

ადამია. დედა-კაცო, ხომ ერთხელ გითხარი, რომ ოტიას არა ჰსურს ცოლის ნახვა!

გადა. ადამიანო, როგორ გულგრილად ლაპარაკობ, ის უბედური ტირილით მეხვეწებოდა...

ადამია. მერე შენ რას უშველი? ის გირჩევნია შენთვის იჯდე, თორემ, სიცოცხლე მაქვს, შენ მაგ ენა-ტანიობისათვის კარგი მათრახებიც მოგხვდეს!

გადა. ადამიანო, როგორ გულგრილად ლაპარაკობ!.. გაგონილა მაგისთანა? ცოლს ქმრის ნახვა უნდა და ვერა ნახოს?.. ერთი უნდა ნახო რა ნაირად სტირის,—ლამის იმის ცოდვით დავიწვა!..

ადამია. კიდევ!.. შენ ის გირჩევნია თავი გებრალებოდეს; განა მე კი არ მეცოდება, მაგრამ რას იზამ! ხომ იცი ოტიას ხასიათი: თუ ერთხელ სთქვა რამე სიკვდილამდის არ გადასთქვამს... ასე უთხარი რუსულანს: ბატონშა ბრძანა, რომ რუსულანზე ნურას მეტყვი, ნურას გამიბედავ-თქო.

გადამ. არა, არ შემიძლიან, შენ თითონ უთხარი... მე ვერ ვეტყვი.

ადამია. კარგი, თავი ნუ მომაბეზრე... მე ვეტყვი, ოღონდ შენ ნუ ჰყვირი და ნუ იკლებ აქაორბას, თორებ ხომ იცი ოტიას ამბავი? (გადის).

გადამ. იი ჯანიც გაგვარდეს... შენ სულ ასე იღაპარაკე და, შენმა სიცოცხლემ, ხეირი დაგეყრება... (ჩაფიქრდება) მაგრამ ერთის მხრით ჩემი ქმარი მართალია... აბა რას გააწყობ მაგ ურჯულოებთან... მათში არც შიში და არც ღმერთი არის... ან რისი შეეშინდებათ, როდესაც ჩვენი ბატონი ქომაგობას უწევს... ახიც იქნება ჩვენზედ და ბატონზედაც... რატომ სხვებსავით არ ებრძოლება მტერსა... ახია ჩემზედაც... მე უბედურს და შავ დღეს დაბადებულსა, ერთი შვილი მყვანდა და ისიც დავკარგე. ვინ იცის ეხლა ჩემი გიგუცი ცოცხალია, თუ მკვდარი, ახია ჩვენზედ, ახია! (შემოდის მარინე დალონებული).

II.

გადა და მარინე.

გადამ. ოჲ, შენ შემოგევლოს ჩემი თავი! მზის უნახაო, ჩემო კეკლუცავ!.. რას დალონებულხარ?..

იქნება სწუხხარ, რომ აქამდინ არსადა სჩანს შენი რტია!..

მარინე. არა, გადია, ამაზედ როდი ვწუხვარ!

გადია. მაშ რამ მოგაწყინა...

მარინე. რამ მომაწყინა? ოპ, გადია, შენ რომ იცოდე, რა ვაებაა ეხლა ჩემს გულში!...

გადია. თფუი, ეშმაკა! თვალი ხომ არა გკრეს, ჩემო კარგო!

მარინე. არა, გადია, თვალს ვინა მკრავდა... არა, მე ვწუხვარ სულ სხვა მიზეზით. რა ვარ მე?... რას ვემსგავსები?.. განა მე მარინე ფალავას ქალი ვარ?.. არა, არა! მე ვარ გულ-ქვა და უღმერთო!

გადია. თფუი ეშმაკა, შვილო, რაებს ამბობ?

მარინე. იმას ვამბობ, იმაზედ ვსტირი, რაც გულს მიკლავს, რაც მოსვენებას არ მაძლევს!.. ვაი-მე სირცხვილო! ჩემი დედ-მამა, ჩემი დედები, ჩემი სა-ყვარელი ძმა, გაიოზი... ჩემი ოჯახი... ვინ მეტყვის რა მდგომარეობაში არიან ეხლა! ისინი იქნება ჩემ-ზედ სტირიან, ან იქნება მოკვდნენ კიდეცა... მე-კი აქა ვარ—შეჩვენებული, ჩემის ნებითვე ნამუს ახდი-ლი... მათთვის დაკარგული, მათთვის მკვდარი! (ქვითინებს)

გადია. ნუ, შვილო, ნუ ამბობ მაგას.

მარინე. როგორ არა ვსტქვა ის, რაც გულს მაწ-ვება--რაც მუდმივ მაწვალებს! იმათ კარგად იციან, რომ

მე ჩემის ნებით წავყევი ოტიას ცოლად... ხასად, ხასად! ოჭ... (პუზა) მე ვგმე ღმერთი, ნათე-
 საობა; არ შევიბრალე დელ-მამა, არ შევიბრალე
 ალარც ის ქალი, რომელიც კანონით შეუდლებუ-
 ლია ოტიასთან, და ეხლა ჩემის მიზეზით გალანძლუ-
 ლი და განდევნილია!.. მე-კი იმდენად დამცირებუ-
 ლი ვარ, რომ კიდევ აქ ყოფნას ვუძლებ, თუმცა ყვე-
 ლასაგან წყევლის და ავად-ხსენების მეტი არა მეს-
 მის-რა; მე უძლეური, ფლიდი და სუსტი დედაკაცი
 ვარ... შენ-კი მეუბნები, გადია, ნურას ამბობ, ნუ-
 ლარ სტირიო!... ნეტა შემეძლოს ესა, ნეტა შემეძ-
 ლოს ყველაფრის დავიწყება, საუკუნოდ მოსვე-
 ნება!...

გადაა. გული დაიმშვიდე, ჩემო ბატონო, ნუ
 გეშინიან!

მარინე. მე რისი უნდა მეშინოდეს, გადია! საშიში
 გზა კიდეც განვლე. ეხლა მარტო ჩემი თავისა მეშინიან.
 შენ არ იცი, გადია, რა საშინელებაა სირცხვილი,
 რომელიც ქენჯნის და ლრღნის კაცის სხეულსა.

გადაა. რისი გრცხვენიან, ჩემო ბატონო?

გარინე. განა არ იცი, რისი მრცხვენიან? დამ-
 ცინი და მართალიცა ხარ! მაშ რისი ლირსი ვარ თუ
 არ დაცინვისა! ახია ჩემზედ... (ტირის).

მადაა. უი, თვალი დამიდგეს! რად სტირი, ბა-
 ტონო? აბა შენ როგორ დაგცინებ, ჩემო მტრედო!
 ან ვის შეუძლიან დაგცინოს... რავქნათ, სულ უფ-

ლის ნებაა; ასე რომ არ მომხდარიყო სჯობდა, მაგრამ ეხლა რას გავაწყობთ, რა ვქნათ?

მარინე. კიდეც ეგ არის ჩემი უბედურება, რომ მუდამ უნდა ვიძახო: რა ვქნა (ფეხის ხმა) ვუი, მოდიან... წავიდეთ... (გადიან ორნივე).

III.

შემოდიან: ოტია, ფაშა და ჭანკერდი.

ოტია. მობრძანდით, ჩემო ბატონო, მობრძანდით, აი აქ მოისვენეთ!

ფარად-ფაშა. შენ, ოტია, კარგად სცხოვრობ... ეს კარგი სახლი გაქვს.

ოტია. დამცინი, ჩემო ბატონო... დაბრძანდით, აი აქ... ჰო, იმას მოგახსენებდი, დამცინით მეთქი... მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ თქვენის მოწყალეობით ამის შემდეგ უფრო კარგი სასახლე მექნება.

ფარ. ფაშა. რა საკვირველია, ოლონდ შენ სამსახური გაგვიწიე, დადიანი დაგვაჭერინე, სამეგრელო ჩვენი გახდეს და შენ სტამბოლშიაც სახლს და მამულს გაჩუქებს ჩვენი ხონთქარი, რომელიც ერთგული სამსახურისათვის არაფერს არ დაიშურებს.

ჭანკერდი, მართალსა ბრძანებს ფაშა ეფენდი.

ოტია. სამსახურს როგორ დავიშურებ!.. განათქვენ თითონ არა ჰხედავთ რა ერთგულად ვეპყრო-

ბი თქვენს ხონთქარს?.. არა დამიზოგნია-რა, ყოველის-ფერი ხონთქარს შევსწირე... ჩემი სამშობლო, მამულიც... ერთი სიტყვით სულით და გულით თქვენი ერთგული მონა ვარ!...

ფარ. ფაშა. მე შენ ამ სიტყვაზედ დაგიჭირ: „სულით და გულით თქვენი ვარო“! აბა, ჩემო ოტია, თუ მართლა ჩვენი ხარ, სარწმუნოება გამოიცვალე... მიიღე ჩვენი მაჰმადის რჯული... მე შენ ვარწმუნებ, რომ მაშინ ხონთქრის სიხარულს სამზღვარი არ ექნება... მაშინ, იქნება, ფაშობაც გიბოძოს!

ოტია. იქნება, შესაძლებელია, რომ ამაზედაც დავთანხმდე... მაგრამ ჯერ ცოტა მაღროეთ... ჯერ ომი გავათაოთ... ფაშა ეფენდი, თქვენ არ იცით რანაირად ვძულვარ მეგრელებს და რომ მაჰმადის რჯული მივიღო, მაშინ ხომ სულ...

ფარ. ფაშა. არა გიშავს-რა (იქით) განა ჩვენ ძალიან გვეყვარები, შენმა სიცოცხლემ!... (ოტიას) არათერია, ჩემო ოტია, მეგრელები ვერას დაგვაკლებენ. ჯანვერდი, შენ რა შეიტყე დღეს მეგრელთ ჯარზედ?... ნეტა რას აპირობენ?!

ჯანვერდი. მე შევიტყე, ფაშა ეფენდი, რომ ჩქარა, ძალიან ჩქარა გამოგველაშქრებიან.

ოტია. იმათი ნუ გეშინიანთ, ფაშა ეფენდი! ჩვენ ისეთ სიმაგრეში ვართ, რომ ფრინველიც ვერ შემოვა!

ფარ. ფაშა. კარგი, მაგრამ რა დრომდინ უნდა

გაგრძელდეს ჩვენი იქ ყოფნა? მეტის მეტად გრძელ-
დება ჩვენი ომი!

ჯანგერდი. დიალ, მართალია, ფაშა ეფენდი!

ფარ. ფაშა. თუ მართალია, რატომ საშვალებას
არ მოიგონებ?

ოტია. ფიქრი ნუ გაქვსთ, ბატონებო! ჩვენ იქ
არა გვიშავს-რა! სანამ ხონთქარისაგან გამოგზავნილი
ჯარი მოგვეშველება, ჩვენ შეგვიძლიან სენაკში მივი-
დეთ და შემდეგ პირდაპირ ზუგდიდში ვესტუმროთ
დადიანს!

ფარ. ფაშა. კარგია, კარგი დაგემართოს, მაგ-
რამ უბედურება ეს არის, რომ გზა ცუდი გვიძევს...
იმდენი კლდე-ლრეები, ხევ-ხუვები და მღინარებია,
რომ ასი-ორასი კაციც რომ ჩაგვისაფრდეს სალმე,
სულ ერთიანად ამოგვწყვეტენ!... (შემოდის ყარაოლლი).

IV.

იგინივე და უარა-თღღღ.

ეარა-თღღღ. დიდებულო ფაშა ეფენდი, უბედუ-
რება ახლოსაა!

ფარდ-ფაშა. { რა ამბავი!?...
ოტია.
ჯანგერდი.

ეარა-თღღღ. მეტად ცუდია და საწყენი!.. მეგ-
რელთ ჯარი გაიოზ ფალავას წინამძღოლობით აქვე
ხევში ჩასაფრებულა!..

თტა. ფიქრი ნუ გაქვსთ, ფაშა ეფენდი, გაი-
ოზ ფალავა ისე საშიშო არ არის, როგორც გეჩე-
ნებათ: ის ჯერ სრულებით ყმაწვილია და ჩვენოდე-
ნა გამოცდილება იმას კი არა — ეშვაკსაც დასძლევს...

ფარ. ფაშა. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აქ
რომ შემოვიდნენ, მაშინ რალა ვქნათ?... ხომ იცი,
მაშინ ხსნა არ საიდამ გვექნება.

ქართ-დადლი | მართალს ბრძანებს ფაშა ეფენდი.
ქანკერდი

ფარ. ფაშა. მართალია, როგორც თვალის სი-
ნათლე.

თტა. მე კიდევ განვიმეორებ: ჩვენ-კი არა —
მტრებს უნდა ეშინოდეს ჩვენი; ჩვენ ისეთ სიმაგრე-
ში ვართ, რომ შემოსვლა, თუ არ ჩვენის ნებით,
ყოვლად შეუძლებელია... გალავნის გასაღები მე
მაქვს... ყველგან დარაჯები დგანან, მაშ რისა უნ-
და გვეშინოდეს... საკაა ხონთქრის ჯარიც მო-
გვეშველება.

ფარ. ფაშა. თაფლი შენს პირსა, მაგრამ მაინც
მეშინიან... ხონთქარი თავს მოვვჭრის, თუ ოში წა-
ვაგეო.

თტა. მე მოგაგებინებთ ომსა. თქვენ ოლონდ
თქვენი სიტყვა არ დაივიწყოთ და შემისრულეთ რა-
საც დამპირდით... სხვა ჩემმა კისერმა ზღოს.

ფარ. ფაშა. აბა ვნახოთ, ვნახოთ... რაც იქნე-
ბა — ყველაფერი მაჰმადის ნებაა... ეხლა დროა

წავიდეთ... მართლა, ოტია, შენ რომ ქალს დამ-
პირდი?..

ოტია. ამ სალამოს მიიყვანენ თქვენს დარბაზ-
ში დიდებულო, ფაშა ეფენდი.

ფარ. ფაშა. კეთილი, კეთილი; სამაგიეროდ
რაც გინდა—მთხოვე.

ოტია. მე თქვენგან დიდად დავალებული ვიქ-
ნები, თუ ხონთქართან საქმეს გამირიგებთ... და სა-
მეგრელოს ტახტს დამიმტკიცებთ.

ფარ. ფაშა. კეთილი, კეთილი; ეხლა წავიდეთ.
გაშ ნახვამდინ სამეგრელოს მთავარო...

ოტია. ნახვამდინ, ჩემო ბატონო (გადიან ფაშა, ყარა-
ოლლი და ჯანვერდი, ოტია მარტო.) გაშ ესეც ასე... ახლა,
მგონია, ახლოს არის ჩემი მიზანი... მგონი მალე მი-
ვალწევ ჩემს საწადელს... სამეგრელოს მთავარი შე-
ვიქნები!.. მაგრამ გული რაღაც ნაირად მითრთის...
სული მიშეოთავს... იქნება ეს მიზნის სიახლოვის გამო
იყოს... ან იქნება სინიდისი... მაგრამ სინიდისი და მე
მტრები ვართ; სინიდისი მე არ მესტუმრება და თუ მეს-
ტუმრა-მალე მოვიშორებ!.. სინიდისიანი კაცი ლაჩარია.
სინიდისი კაცს მოქმედებას უბრკოდებს, ლაჩარადა
ხდის... დიდებას ელობება... ბეღნიერებას უფრთხობს...
მართალია, უსინიდისობამ მე სამშობლო გამაყიდვი-
ნა, ცოლი გამაგდებინა, მოძმეთ მტერი გამხადა და
მალე სარწმუნოებაზედეც ხელს ამაღებინებს, მაგრამ
მე მაინც ისევ ის ოტია ჯოლია ვარ!... გაშ რაზედ ვი-



ნანო, რა დამაკლდა?! არაფერი! პირიქით მომუშავე! ცოლის მაგივრად უფრო მშვენიერი ქალი ვიშოვნე... უბრალო თავადიდგან სამეგრელოს მთავარი შევიქნები, ცოტა მამულების მაგივრად მთელს სამეგრელოს ღვისაყურებ!... მოვხვეჭ დიდებას, ბრწყინვალებას!.. მაშ რა ოხრად მეპრიანება ეგ თავ-მოყვარეობით სავსე ღატაკი—სინიდისი? ..სინიდისი ადამიანის მოგონილია, სინიდისი აჩრდილია... და სანამ სინიდისი მე დამტანჯამს, მანამდინ ათასჯერ იმას თავს მოვუგრებ!.. ვაჟკაცობა—გამბედაობა; ვინც უშიშარი და მტკიცეა, ის ყოველთვის მოგებულია და წინ არის! (იძახის) ჰეი, ადამია! სად დაიკარგე? აქ მოდი-მეთქა! (შემოდის ადამია)

V

F 7.631
2

თტია და ადამია.


ადამია. ბრძანე, ბატონო!

თტია. წადი ეხლავე რუსულანთან და უზარი: ამ წუთასვე ფაშასთან წასასვლელად მოემზალოს!

ადამია. ბატონი ბრძანდები, მაგრამ გაგიბედავ, რომ რუსულანს შენი ნახვა უნდა და...

თტია. იმას ბევრი რამ უნდა, მაგრამ მე როდი მსურს! წადი და ისე მოიქეც, როგორც გითხარი; თუ უარი სთქვა—ძალით წაიყვანეთაჭარესახლეში!

დრამები და კომედიები. ვ. გუნდა 2



ადამია. ბატონი ბრძანდები, მაგრამ ერთხელ
რომ ნახო—იმით არა დაშავდება-რა!

ოტია. წადი, ბებერო! შენი კკუის სწავლა მე
არ მექირება; რაც გითხარ ეხლავე მალე ასრულე
და პასუხი მაცნობე.

ადამია. ბატონი ხარ, მაგრამ მგონი რომ...

ოტია. წადი, დიკარგე! (ადამია გადის) ეხლა კი-
დევ ერთი საქმე და მოვისვენებ!—მეგრელები არ
ხუმრობენ!.. გაიოზ ფალავა გარს შემოვერტყა; აი,
თუ მალე მოვრჩი ამათ, მაშინ დადიანი ხელიდგან
არ წამივა!.. მაშინ მალე თავს დავატეხ მაგათ უბე-
დურებას; ჩემს მოსისხლე მტერს ფალავას ხომ დავ-
მართე მისი... ხომ ლაფი დავასხი თავზედ... ქალი
მოვტაცე,—სხვებსაც ისე ვუზამ!.. ეჭ! ცოტა დაი-
ცადეთ და მერე დაინახავთ შიშველად ჩემს განზრახვას!
(შემოდის მარინე)

VI.

ოტია და მარინე.

მარინე. ოჭ, გენაცვალე! ეს რა ბრძანება მიგი-
ცია?!...

ოტია. რა იყო გეთაყვა? რას აუღელვებიხარ?
რა დაგემართა?

მარინე. რუსუდანს რისთვის გზავნი ფაშასთან?

თურა. ახა, ღმერთო! ალბად საკიროება თხოულობს მაგას!

მარინე. არა, ოტია, შენ მე მატყუებ,— არა, არ მჯერა! თუ ღმერთი გრწამს, თუ გიყვარვარ, უბრძანე, რომ არ წაიყვანონ; აბა რა არის, ამის უარს ხომ არ მეტყვი? ხომ გიყვარვარ?..

თურა. მიყვარხარ, მაგას, რა თქმა უნდა, მაგრამ რესულდანი უთუოდ უნდა ფაშისთან გაიგზავნოს.

მარინე. რისთვის?

თურა. პირობა მივეცი და უნდა ავასრულო!

მარინე. არა, შენ უთუოდ დამტინი! სად გავონილა, რომ თავის ცოლს სხვას უგზავნიდნენ! არა, ოტია, შენ არ იქ მაგას; ეს მეტად ცუდი საქციელია! იმ საცოდავს ის-კი არ ეყოფა სადარღელად, რომ გააგდე, დააწყვდიე და ეხლა ფაშას აქლევს?.. არა, ოტია, შენ მაგას არ იჩამ!

თურა. არ შემიძლიან, პირობა მივეცი.

მარინე. (გაჯავრებული) არ შეგიძლიან? ჩემთვისაც არ შეგიძლიან?! ეს არის შენი სიყვარული?! მე არ ვიყავი, რომ შენთან წამოსვლა შევიძელ? მე არ ვიყავი, რომ შენთვის დედ-მამის წყევლის ატანა შევიძელი? მთელი ჩემი ოჯახი შენთვის არ შეურაცხყავი? შენთვის არ ავიღე ხელი ჩემს თავმოყვარეობაზედ, ახალგაზღობაზედ?.. მაშ რატომ არ შეგიძლიან ჩემთვის მცირედი თხოვნა მაინც ა. სრულო?!

თტია. არა, ჩემო მარინე, მე არ მეგონა რომ
ასე გეწყინებოდა, თორემ...

მარინე. (ეხვევა) ოჰ, ჩემო სიცოცხლევ! ეხლა
ნამდვილი ოტია ხარ, ჩემი საყვარელი ოტია!

თტია. კარგი, გული დაიმშვიდე, ნუ კანკა-
ლებ!.. რა გულ-ცეცხლი რამ ყოფილხარ, მარინე!
ერთს წუთს ცეცხლი მოგეკიდა... ეს როდი ვარგა.

მარინე. მაშ რა მექნა?.. მაპატიე, ოტია, მე
ჩემდა უნებურად გავცეცხლდი... ამდენი... ამდენი
მსხვერპლის შემდეგ როგორ მოვიფიქრებდი, რომ
მცირე თხოვნას მაინც არ ამისრულებდი!

თტია. კარგია, გეყოფა, ჩემო კარგო! ეხლა ხომ
თანახმა ვარ და შევრიგდეთ; ხომ შემირიგდები?..

მარინე. (გადაეხვევა) განა მე შემიძლიან შენზედ
გაჯავრება? განა მე შენი მონა არა ვარ? მაპატიე
ის უნებლიერ სიანხხლე, ის სიტყვები, რომლებითაც
იქნება გაწყენინე! ეს ყველაფერი შენი სიყვარულით
მომდის: მე მინდა, რომ ყველას ჩემსავით უყვარდე,
ყველა ჩემსავით გლოცვიდეს, ყველანი თაყვანსა
გცემდნენ!.. (მოწყენით.) მაგრამ იცი, ოტია, ზოგჯერ
ისეთ ცუდ სიზმრებს ვხედავ რომ... ასე მონია,
მეტს არ დაგინახავ!.. მოდი, თავი დაანებე ოსმალებ-
თან კავშირს!.. დამიჯერე, რომ ეს კავშირი შენს
თავს სიკეთეს არ დააყრის. დევ, სიღარიბე ვარჩიოთ
სიმდიდრეს, ოლონდ ამ აღშფოთებულ და მოუსვე-
ნარ სიცოცხლეს კი მოვერიდნეთ!..

თტრა. ეჭ, მარინე, შენ ჯერ ბავშვი გვერდუ-კი წარმოგიდვენია რა სურვილი ხელმძღვა-ნელობს ჩემს განძრახვაში!.. ცოტა მომითმანე და იქნება დადიანის გვირგვინით დავამშვენო ეგ შენი კეკლუცი თავი!

მარინე. რას ამბობ, ოტია, რომელ გვირგვინ-ზედ ლაპარაკობ?!

თტრა. (ამ მონოლოგის დროს თან და თან აღტაცებაში მოდის.) დიახ, გვირგვინზედ! მარინე, მე წაველ იმ გზით, რომელზედაც უკან შემოხედვა არ შეიძლება! აქ ან „ჰო“, ან „არა“ არ ითქმის! რაკი ერთხელ ავარჩიე და დავადექ ამ გზას, უნდა კი-დეც ბოლომდინ გავსწიო! მე ვაცი, რაც მომელის!.. შენთვის ჯერ არაფერი მიღვიარებია — მაშ გამიგონე: ეს ოსმალები ჩემი მოკეთეები არიან; იმათი შემწეო-ბით მე მინდა სამეგრელოს ტახტზედ დავჯდე და მივაღწევ კიდეც ჩემს საწადელს!.. ახლა, ამ წუთში მეგ-რელები მისცემდნენ ჩემი თავისათვის თავიანთ სი-ცოცხლეს, თითო ჩემს სისხლის წვეთს თითო ოქ-როთ იყიდნენ ისინი, მაგრამ, ვაი მათი ბრალი, რომ ჩემი სჯობნის!.. დღეს თუ ხვალ მთელი სამეგრე-ლოს მფლობელი და მპრძანებელი შევიქნები, — შე-ვიქნები იმიტომ, რომ ჩემს ილბალს ასე ნდომებია და თუ იმას არა — მე ჩემის ნებით მინდა გავხვდე მეგ-რელთ მთავარი! მინდა და ვინ დამიშლის?!.. რა არის კანონი? რა არის შიში?.. ვინ მოიგონა ეს დაპრ-

კოლება?!.. კაცი ვარ—ადამიანი... წაღილი შაქვს... სურვილი უნდა აღვასრულო! ბევრნი ხომ სკამენ და სვამენ, იმიტომ რომ ჰშიანთ და სწყურიანთ... მეც მშიან და მწყურიან მთავრობა და უნდა მოვიკლა ეს წყლული!.. ბუნებამ მოგვცა თავისუფალი აზრი, მაშასადამე—თავისუფალი მოქმედებაც!.. ადამი და ევა ჰქვიანები და თ ვისუფლები იყვნენ, რომ თავის გულის ხმას აჰყვნენ... მე იმათი შვილი ვარ, მეც თავისუფლად ვიმოქმედებ და ვერა-რა შეარყევს ჩემს წადროს... არაფერი არა მწამს-რა... მხოლოდ ის-კი ვიცი, რომ მე ოტია ვარ და სამეგრელოს მთავარი უნდა გავხდე!..

მარინე. (შეშინებული) ოტია, რას ამბობ, რასა?..

ოტია. (შემკრთალი) რასა?.. იმას, რასაც საჭიროდ ვრაცხ! შენ ნუ გეშინის, ჩემო მარინე! ისეთს მშვენიერს ქმნილებას, როგორიც შენა ხარ—არ შეშვენის ასრე ყოფნა...—ეს იცოდე მხოლოდ: მე მივსდევ იმას, რაც ჩვენთვის სასარგებლოა და იმედიც გქონდეს ჩემი... მე მტკიცე ვარ ჩემს არჩევანში! ოლონდ შენ ნუ შემიძულებ! გიყვარდე ისე, როგორც აქ მდის გიყვარდი და საბოლოოზედ შენ ნუ ზრუნავ, ნურას ჰყიქრობ!..

მარინე. მაგრამ, ოტია, მეც დამიჯერე ხოლმე, მეც ადამიანი ვარ!

ოტია. რა საკვირველია, ადამიანი ხარ, მაგრამ მე უფრო მაგარი თვისების კაცი ვარ; უფრო მაგ-

რად და მტკიცედ ვარ დაჭედილი, ვრდრე შენ ტურ-
ფა და ნაზ-ვარდად გაშლილი... ეხლა დამშვიდდი
და ღმერთს სთხოვე რომ ვიცოცხლო და მუდმივ
გიყვარდე!..

მარინე. მიყვარდე?!. განა ჩემს სიყვარულს ბო-
ლო მოეღება? არა, არა! რაც გინდა მიყავ, რაც
გინდ შემემთხვას... მე შენი ვარ! შენ ხარ ჩემი სიცოცხ-
ლე, ჩემი ღმერთი!.. ჩემი სურვილი ის არის, რომ
შენ ბედნიერი იყო და თუ როდისმე მე შენი
სიყვარული განმიქარდეს, მაშინ მეც განმაქარეოს
ღმერთმან ამა სოფლიდგან! (მოეხვევა.)

თტია. მწამს, მწამს ეს შენი სიტყვა, ჩემო და-
მაშვიდებელო ანგელოზო! — ეხლა-კი წადი, მოისვე-
ნე... მე საქმე მაქვს... (მიაცილებს კარებამდინ, მარინე
გადის) ოპ ეს ქალები! ქალს, როგორც გველს ისე
უნდა ერიდებოდეს კაცი... არათერი არა მჯერა იმა-
თი: არც სიტყვა, არც სიყვარული!.. ეხლა მე ვუ-
ყვარვარ, მეფიცება კიდეც, მაგრამ, აბა ერთი ჩემ-
ზედ კარგი ვინმე ნახოს?.. გამცვლის!.. საკვირვე-
ლიც არ არის — ქლია! ხა! ხა!.. ასეა ადამიანი!
ჩვენ სულ კარგზედ უფრო კარგი გვინდა და ვინ
იცის, სად მიგვიყვანს ეს სურვილები!..

ფარდა

მოქმედება მეორე.

სცენა წარმოადგენს ძველებურ ოთახს, როგორსაც ორი კარები აქვს. ერთი შუაში და მეორე გვერდზედ, ხოლო მარჯვნივ ფანჯარა არის, ტახტი და სხვა. საღამოს ფრთა...

I.

მარინე.

მარინე. (ზის ტახტზედ დაღონებული და დავრდომილი) ლმერთო, რა ნაირ მდგომარეობაში ვარ?.. რა ვქნა, როგორ ვიყო? აუარებელი ჯარი გარს გვახვევია... ყოველ წუთს უბედურებას მოველი... აქ საყვარელი კაცი და ოსმალები, იქ-კი ჩემი ძმა და ჩევნი ხალხი... როგორ ვიყო? ვის მივსცე უპირატესობა? ჩემი ძმა, ჩემი გაიოზი—ებრძვის ჩემ საყვარელ კაცს, ჩემს ოტიას... ორივე ძვირფასია ჩემთვის, ხოლო ორივე ერთმანეთის ხორცის არ დაზოგვენ... ლმერთო, შენ ხო ხედავ, რომ ორივე მიყვარს და ნუ ჩამაგდებ იმ მდგომარეობაში, რომ ერთის სიკვდილმა მეორე გაახაროს! (წამოდგება) ოჰ, ლამის გავგიუდე ამდენის ფიქრებითა! ნეტავი შემოვიდეს ვინმე და შემატყობინოს რა ამბავია (გაიხედას ფანჯარაში) ეს ვინაა? ასე მგონია ყოველს კაცს ჩემი მოკვლა უნდა; შიშმა, უზომო შიშმა ლამის გამაგიუოს!.. (შემოდის გადია).

II.

მარინე და გადას.

გადას. რა შევიტყე, ჩემო მზის უნახაო!.. რა ბედნიერება მომენიჭა მე საცოდავს!

მარინე. რა ამბავია, რა იყო?

გადას. (გახარებული) ჩემი შვილი, ჩემი გიორგი თურმე აქ ყოფილა და მე უბედურმა არ ვიცოდი... თურმე ცოცხალი ყოფილა, მე-კი მკვდარი მეგონა; მოუკვდეს იმას მშობელი, ვინც მე მომატყუილა... ჩემი შვილი, ჩემი გიორგი აქ არის!.. გაიოზიც აქ ბრძანდება; ორნივ ჯარში არიან, ჩემი გიორგი იმას ხლებია!..

მარინე. მერე რას გიხარიან, შე უბედურო? იქნება ეხლა ორნივე ერთად დახოცილები არიან. ისინი აქ სტუმრად ხომ არ მოსულან, საომრად მოვიდნენ!..

გადას. მაშ, შვილო, საომრად მოვიდნენ და იომონ კიდეც! ვაუკაცებს იმიტომ ვეძახით, რომ ოსმალებს ებრძოლონ...

მარინე. უბედურებაც ევ არის, რომ ოსმალებთან ჩვენც უნდა გვებრძოლონ... ოტია იმათი მტერია და ისინი კიდევ ოტიასი.

გადას. რას ამბობ, შვილო, ოტიას მტერი რად იქნებიან. მე გიორგიც და ოტიაც ამ ძუძუებით

გამიზრდია. ძმა ძმაზედ როგორ გაილაშვრებს?.. ეს ხო მეორედ მოსვლა იქნება?!.. არა, შვილო, ისინი იმიტომ მოვიდნენ, რომ ჩვენ დაგვიხსნან თსმალებისაგან!..

მარინე. არა, გადია, მე ეს არ მჯერა!..

გადია. ნუ, გენაცვალე, ასე ნუ ლაპარაკობ. გული დაიმშვიდე, ღმერთია მოწყალე, მალე განვთავისუფლდებით. მე ეხლავე ყველაფერს დაწვრილებით შევიტყობ და ეხლავე მოგახსენებ! (გადის).

მარინე. (მარტო) ბედნიერია... როგორ უხარიან შვილის ნახვა!.. ჩემს მშობლებსაც ეგრე გაუხარდებოდათ ჩემი დანახვა, მაგრამ... (შეკრთება) ეს რა ხმა მესმის!..

ხმა (კულისებიდამ) შეიწყალეთ უბედური, შეიბრალეთ უმწეო! მოიგონეთ ღმერთი ყოვლად შემწყნარებელი და შემიბრალეთ უმწეო და ულონო!

მარინე. (ყურს უგდებდა. მივა ფანჯარასთან.) საბრალო, მათხოვარი ყოფილა... აქეთ ამოდი, საბრალო, აქეთ! (მიდის კარებისაკენ)

ხმა (კულის.) შემიბრალეთ ულონო, ღმერთი მოიგონეთ.

მარინე. შემოდი, შემოდი საცოდაო! (შემოდის გაიოზ ფალავა ნაბადში და ყაბალაში, სახე ოდნად უჩანს, მარინე ვერა სუნობს და გლახაკი ჰვანია.)

III.

მარინე და გაიოზი

გაიოზი. (პირჯეარს იწერს) შემიბრალეთ ულო-
ნო, ღმერთი მოიგონეთ!

მარინე. იo აქ ჩამოჯექ, საცოდაო, ეხლავ საჭ-
მელს გოგცემ; ჩამოჯექ, ნუ გეშინიან.

გაიოზი. ღმერთი იყოს თქვენი შემწე... ღმერ-
თი გადაგიხდით სამაგიეროს!..

მარინე. (შემკრთალი) ოჲ, ღმერთო, ეს ხმა! ეს-
რა მესმის?!...

გაიოზი. (მწარედ) რა იყო? განა მიკანი, მა-
რინე? (იხდის ნაბადს და ყაბალახს.)

მარინე. (გაოცებული მივარდება მოსახვევნელად) გაი-
ოზ, ძმაო!!!

გაიოზი. (არ მიიკარებს) იქით ბიწიერო... შორს,
არ მომექარო! განა შენ ჩემი და ხარ? განა მე შენი
ძმა ვარ? განა შენ უარ არ ჰყავი დედ-მამა, ნათე-
საობა? განა შენ ოტია ჯოლიას, იმ რჯულის და-
მრღვეველის, მამულის გამყიდველის საყვარელი არა
ხარ? განა შენ მოლალატის ხასა არა ხარ?!

მარინე. ძმაო, ძმაო, გაიოზ! ჯერ მოიცა, მერ-
მე გამკიცხე, მერმე... მომკალ, ოლონდ ჯერ დედ-
მამის ამბავი მითხარი!..

გაიოზი. (მწარედ.) დედ-მამის ამბავი?!.. ხა! ხა! ხა!

დროზედ-კი მოგაგონდა! ყოჩალ ქალო!.. მაგრავშემუშა
გას ჯერ თავი დივანებოთ. შენ ეს მითხარი: შენი
საყვარელი ოტია ხომ კარგად გინახავს, ხომ კარგად
სკოვრობ?..

მარინე. (ტირილით) გამკიცხე, თუ გინდ შენის
ხელით მომქალი, ოლონდ ჯერ და მამშვიდე: მით-
ხარ დედ მამა როგორ არიან, ან შენ როგორ გაჩნ-
დი აქა?

გაიმა. როგორ გავჩნდი? ახირებულად — იმ კვი-
რას ოსმალები ჩამისაფრდნენ და ტყვედ წამიყვანეს.
ის იყო — ოტიასთან მივყავდით, მაგრამ დრო მოვი-
მარჯვე და გამოვიქეც... კარგია, რომ შენს საყვა-
რელს არ დავენახე, თორემ მალე მომიღებდა ბო-
ლოს. მერე ვარჩიო შენთან წამოსვლა და აი, რო-
გორც მხედავ თავისუფლად შემოვედი მტრის ბანაკ-
ში. ბეღმა არ მიმტყუცნა და აქეთ გამოვეშურე, რომ
მოვიკითხო ჩემი პატიოსანი და მარინე, რომელ-
მაც მთელი ოჯახი გაგვიუპატიურა!.. დიახ, მოველ
რომ დავხედო ჩემი ღის ბეღნიერ ცხოვრებას და
დავსტკბე მასზედ ცქერით!..

მარინე. ოჰ, კმარა, ძმაო, კმარა!

გაითხ. კმარა? არა, ჩემო კარგო, ჯერ არ კმა-
რა; ჯერ ღირსეულად უნდა შეგამკო... ეხლა შენ
ხომ ღირსეული იდგილი გიჭირაშს? ოტიას საყვა-
რელი ბრძანდები!..

მარინე. გაიოზ, ნელა ილაპარაკე, თორეშ რომ
გაიგონ, მერე?

გათამ. მერე რას უყურებ?.. წადი უთხარ
შენს საყვარელს, რომ მე აქა ვარ და შური ქძიოს;
დამთოკავენ და მერე ჩემს თავს საჩუქრად მო-
გარომევენ.

მარინე. ოჰ, რას ამბობ, ძმაო!.. გაიოზ, დაიმა-
ლე საღმე, დაიმალე!..

გათამ. საღ დავიმალო?

მარინე. აქ საღმე; სარდაფში ან მარანში, თო-
რემ, ვინ იცის, რომ დაგინახონ, ან რომ აქ შემოგა-
სწრონ... დაიმალე საღმე...

გათამ. მერე?..

მარინე. მერე ლამით გალავნიდამ გახვალ და
თავს უშველი...

გათამ. (დაცინვით) ყოჩალ ქალო! აქ, როგორც
გეტყობა, ჭკუაც მოგმატებია!.. როგორ გავიდე გა-
ლავნიდამ, როდესაც ყოველგან დარაჯები დგანან?

მარინე. იქნება გლახაკის ტანისამოსით გა-
გიშვან.

გათამ. ეგ უკეთესი!.. ქალო, ოტიას ხასა ხარ
და აქამდინ ვერ იცანი, რა კაცია? ოსმალები რომ
ყოფილიყვნენ დარაჯად, კიდევ ოჰ, შესაძლებელია,
გევეშვეთ გლახაკის ტანისამოსით, მაგრამ ოტია სულ
სხვა ჯურის კაცია: ის ეხლა მეტებარ ძალლსავით
დამეძებს და სუნით მიცნობს ვინცა ვარ!..

მარანე. ღმერთო ჩემო, მაშ რა ვჭნა?..

გათა. როგორ თუ—რა ჰქნა? მოიგონე რამე. საშუალება იპოვნე რამე!.. შენ ეხლა ოტია ჯოლიას, ესე იგი, იხლად გამოცხობილი დადიანის ხასა ბრძანდები და, რა საკვირველია, უნდა იცოდე აქაური ვითარება და დარაჯების ვინაობა. აქ ხომ შენ უცხო არა ხარ, რომ გაგიჭირდეს რამე!.. დაფიქტდი, იქნება მოგაგონდეს რამე: ან გასასვლელი, ან დრომდე თავ-შესაფარი ადგილი! იფიქრე და მიიგონე რამე!..

მარანე. (იგონებს) გასასვლელი? მოიცა, მოიცა!.. გასასვლელი, ვგონებ, არის, მაგრამ ვაი თუ... აკლდამა... არა... აქ სადღაც გამოქვაბულია და იქიდგან გასასვლელიც არის, მაგრამ ვინ იცის სად გაგიყვანს გამოქვაბულის გზა?..

გათა. შენ ის მითხარ როგორ მივაგნო გამოქვაბულს, ან რა ნიშნები აქვს და სხვა კი ჩემი საქმეა.

მარანე. კარები, დიდი კარები აქვს გაკეთებული... შესავალი-კი ეკლესიიდან აქვს... მაგრამ, ძმაო, შენც იცი, რომ ეს გამოქვაბული დიდია, სწორედ მეორე სოფელში თავდება, სახელდობრ ეკში.

გათა. ეს მე ყველაფერი კარგად ვიცი. შენ ფიქრი ნუ გაქვს, ეკში მე კარგა ბლობა ჯარი მყავს დაყენებული. შენ ოღონდ გამიყვანე აქედგან უვნებლად და დანარჩენი ჩემი საქმეა...

მარანე. ღმერთო ჩემო, როგორ გაგიყვანო,

რომ იმ გალავნის გასაღები და იმ კარების შესაბამის ბიც ქუჩუ ადამიას აქვს.

გაითხ. გიორგის მამას?..

მარინე. დიახ, იმას; მაგრამ ოტიამ უბრძანა დღესვე მოეტანა გასაღები და ჩაებარებინა.

გაითხ. ვის უნდა ჩააბაროს?

მარინე. თვითონ ოტიას.

გაითხ. მაშ შენ უსათოოდ მიშოვნი გასაღებს?..

მარინე. როგორ გიშოვნო?!

გაითხ. როგორც გინდა!

მარინე. აბა როგორ?!

გაითხ. მოიპარე!..

მარინე. (ყოფილობით) მე არ ვიცი როგორია, არც-კი მინახვს...

გაითხ. შეიტყე, გაიგე როგორია; როგორც გინდა ისე მიშოვნე გასაღები: თუ გინდა დაათვრე, დააძინე, დაალრჩე, ან მოჰკალ,—ოლონდ გასაღები-კი მიშოვნე უსიკვდილოდ...

მარინე. გასაღებიც რომ ვიშოვნო. შენ მაინც გასავალს ვერ იპოვნი...

გაითხ. შენ ფიქრი ნუ გაქვს საყდარში გლა-ხაკს შეუშვებენ...

მარინე. მაგრამ ის... იმან რომ... ის-კი...

გაითხ. ვინ ის? ვისზედ ლაპარაკობ?!.

მარინე. (თითქოს არ ესმის) იმაზედ ეჭვი რომ

აიღოს ფაშამ? ვაი თუ ლალატი იმას დაპირადდეს,
მაშინ?!.. ან ჩვენი მტრები რომ შემოვიდნენ, მაშინ?!..

გაითხ. ვინ თქვენი მტრები? მე არა გამეგება-
რა!!.. შენ ვის ეძახი მტრებსა?.. ან იქნება ჩვენები
შენ მტრებად მიგაჩნია?!

მარინე. (ყრუდ) არა, ძმაო, გასაღების შოვნას
ვერ მოვახერხებ...

გაითხ. აჲ, ეხლა-კი ცხადად გამოხველ შენის
ქერქიდგან... მიკვირს აქამდინ თავს რად იკატუნებ-
დი?!.. წყეულიმც იყავ შენც და შენი საყვარელიც!..
მე უშენოდაც ვუშველი თავს... (წასვლას აპირებს.)

მარინე. (შეშინებული) მოიცა, ძმაო... მე სხვა
ნაირად გიშველი, სხვა გზას გიჩვენებ... ოლონდ გა-
საღებს ნუ მოხოვ!.. გაიოხ, ძმაო შემიბრალე...

გაითხ. შეგიბრალო?!.. განა შენ-კი შეგვიბრა-
ლე, როდესაც ბიწიერად გაჲყევი ჩვენს მოსისხლე
მტერს და მთელი ოჯახი შეგვირცხინე და შეგვილა-
ხე? განა შენ-კი შეიბრალე მოხუცი მამა, საცოდა-
ვი დედა? განა შენის მიზეზით, შენის სირცხვილით
არ დალია სული საბრალომ?..

მარინე. ოჲ ღმერთო!..

გაითხ. (უფრო აღელვებული) პირზედ წყევლით
მოკვდა საბრალო დედა შენი, უბედური მამა შენი-
კი დღესაც დამბლად არის ჩავარდნილი! ერთი მით-
ხარ, ერთი გამაგებინე: შენ ლირსი ხარ შებრალე-
ბისა? მაგრამ ესეც კია — შენ რომ ოდნავ სიყვარუ-

ლი და პატივისცემა გქონოდა ჩვენი ძველი ოჯახი-
საღმი, განა ოტიას გაჰყვებოდი?

მარინე. პირველი ან უკანასკნელი მაგალითი
მე ხომ არა ვარ?..

გათაზ. (გაარჩელებული, სიტყვას აწყვეტინებს) სტყუი,
მიჰქარავ! სხვების მაგალითი განა ჩვენთვის წესია?..
არა, არა! ტყუილად თავს ნუ იმართლებ. ყველა
ქალები ერთის ჯურისანი ხართ... არ არის თქვენში
ოდნავ სიყვარული საკუთარი ოჯახისაღმი!.. გიხა-
როდეს!.. ხომ ბედნიერი ხარ?.. მაგრამ, ვგონებ, არც
აქ უნდა იყვე პატივ-ცემული. ოტიას კანონიერი
ცოლი ჰყავს და შენ მხოლოდ ხასის სახელი გე-
რქევა... სირცხვილი შენ რომ ყველასაგან თითით
საჩვენებელი გახდი!..

მარინე. ოჭ ღმერთო, კარგია, მაკმარე, ძმაო!

გათაზ. გაკმარო? შენ-კი გვაკმარე? ტყუილი
იმედი გაქვს. ნუ გვინია, რომ შენი ბიწიერი ბედნი-
ერება ხანგრძლივი იყოს... მალე მობეზრდები შენს
საყვარელს... დღეს მოსწონხარ, სანამ ჯერ კიდევ გი-
ვარგა ეგ ხორცი და პირის სახე... დღეს კიდევ შე-
ნია ეს დრო, მაგრამ ხვალ რასა იქ, როდესაც გა-
რედ გამოგაგდებენ, როგორც უვარგისს ჩვარსა! მა-
შინ რალა დაგრჩება დღევანდელიდამ?! მხოლოდ მწა-
რე მოგონება, უზომო სირცხვილი, შერცხვენილი
დიაცობა და მოწამლული, მოშხამული გული და
სული! მაგრამ არა, შენთვის ღმერთს სული როდი
დრომები და კომედიები. ვ. გუნია

მოუცია... მიწა იყავი და ეხლა ტალახად გადაქ-
ცეულხარ... შე საზიზლარო!..

მარინე. (ტირილით) ოკ, ღმერთო! გაიოზ, ძმაო,
მაკმარე ამდენი ტანჯვა... მითხარ, მასწავლე რო-
გორ მოვიქცე, რა ვქნა?..

გათაზ. როგორ თუ რა ჰქენა?!.. გასაღები
იშოვნე, ძმა დაიხსენი, დაიხსენი შენი მამული, რო-
მელსაც ურჯულო დაპჰატრონებია!.. ოლონდ შენ
მოინდომე, თორემ გასაკეთებელი ბევრი რამე
გაქვს.

მარინე. (ტანჯვით) არა, არ შემიძლიან, გაიოზ,
ღმერთია მოწამე არ შემიძლიან... რაც გინდა მიბრ-
ძანე, რაც გინდა დამავალე, ოლონდ ეს-კა არ შე-
მიძლიან...

გათაზ. (მკაცრად) არ შევიძლიან?.. მაშ ღმერთ-
მა ნურასფერი ნუ შეგაძლებინოს! მოპჰალი ძმა, რო-
გორც მოგიკლავს შენი დედ-მამა! იცოცხლე მრუ-
დედ და ბიწიერად, რომ ჯოჯოხეთში ღირსეული
ადგილი მოიპოვო!.. იყავ წყეული აწმუოში და მო-
მავალშიაც!..

მარინე. მოიცა ნუ მწყევლი, გონს ვერ მო-
ვსულვარ... დამაცა...

გათაზ. დასტკბი ჩემის სისხლით, როცა შენი
საყვარელი საჩუქრად მოგარმევს ჩემს თავს...

მარინე. კმარა, ნუ მტანჯავ, გაიოზ, ძმაო!..

გათაზ. შორს ჩემგან! არ მომეკარო! განა

ჩვენ და-ძმანი ვართ?.. ვფიცავ დიდებულ ღრმოვნებულ
მრცხვენიან, საშინლად მრცხვენიან, რომ ჩვენ ერ-
თის დედის შვილნი ვართ...

მარინე. (ვედრებით) ძმაო, გაიოზ!

გაიოზ. შენ ჩემი და კი არა,—ბუში ხარ,
ბუში!...

მარინე. (კვენსით და ამაყად) გაიოზ, დედის საფლავს
მაინც ნუ შეურაცხყოფ! ნუ ჯავრობ ესე... ნუ მწყევ-
ლი... შენ ვაჟკაცი ხარ, მძლავრი, მამაცი... მე-კი
სუსტი, უღონო... შემიბრალე... აი, შემომხედე რა
საკოდავი ვარ... თავს ბრუ მესხმის...

გაიოზ. წამალს მე გასწავლი: გადი ამ წუთ-
ში და დაუძახე შენს წუნკლებს, რომ დამთოკონ...

მარინე. (შეშინებული) მართლა შენ-კი სულ და-
მავიწყდი... კარგი, გაიოზ, მე ყველაფერს მოვახერ-
ხებ, გალავნის გასაღებს გიშოვნი ოღონდ...

გაიოზ. აბა შემომფიცე!..

მარინე. ვფიცავ, ვფიცავ უზენაესსა; მაგრამ
შენც შემომფიცე, რომ გალავნის კარიდამ ჯარს არ
შემოიყვან, შემომფიცე!..

გაიოზ. ოჭ, კარგი, ვფიცავ, თუ-კა ღმერთი
ჩემს ფიცს მიიღებს.

მარინე. (შეჩერდება) მოიცა... ეს რა ამბავია?..
ვვონებ ცხენების ფეხის ხმა ისმის... გაიოზ... მა-
ლე, მალე დამალე!..

გაიოზ. აბა, გზა მიჩვენე!

მარინე. მოიცა ეხლავე... (მირბის კარების ურთეშობის გადის)

გათამ. (ფანჯარაში) გიორგი, აქეთ მოიხედე! (ფანჯარაში გამოჩნდება გიორგი ნახევრამდინ) აბა, გიორგი, შენ იცი; გასაღებს, მგონი, ვიშოვნი... თუ უვნებლივ გაველ აქედგან, ხომ კარგი,— თუ მომკლეს... სპასალარს შეატყობინე, საქმე როგორც იყო. ამას გარდა ესეც იცოდე, რომ გამოქვაბულიდამ შეიძლება კაცი გავიდეს. გიორგი, თუ მომკლეს ანდერმად გდებ— ოტია მოჰკალი, თუ არ მოჰკლა დედა შეგერთოს ცოლადა!

გიორგი. ამინ!

გათამ. თუ საქმე კარგად გარიგდა, გამოქვაბულის პირთან შეგეყრებით; ეხლა-კი მშვიდობით!

მარინე. (შემოვა შეშინებული) ეხლა ამ კარებიდან არ შეიძლება, საკაა შემოვლენ!..

გათამ. (მტკიცედ.) მაშ თუ ასეა, ჩემ თავს მაინც ძვირად დაუსვამ!.. (ხმალს იძრობს.)

მარინე. (მივარდება) ძმაო, რას ჩადიხარ?!

გიორგი. (ფანჯარიდან) გაიოზ, მეც შენთანავარ!...

გათამ. შენ შენი საქმე ნახე, მშვიდობით!

გიორგი. მშვიდობით, ღმერთი იყოს შენი მფარველი! (იმალება)

გათამ. ამინ,— შენიც.

მარინე. მოიცა, გამიგონე: ამ კერებიდამ ჭერს.

ადის კიბე... იქ ადვილად დაიმალები... აბა მალე!

გაითხ. მაშ მალე, მალე! (მიღიან საჩქაროდ, კა-
რებში შედიან, თან გააქვთ ნაბადი; ცოტა ხნის შემდეგ შემო-
დის მარინე და ისმის ოტიას ხმა)

IV.

ოტია და მარინე.

ოტიას ხმა. (კულისებიდამ). მაშ გაქცეულა, გა-
ქცეულა ის შეჩვენებული? სამნივეს თვალებს დავთხრი
იმის გაქცევისათვის... სად გამექცევა?.. სად?.. ყოველ
მხარეს დარაჯები დააყენეთ და ვინც იმას დაიჭირს, ან
მოჰკლავს — ოც ოქროს მივცემ საჩუქრად. (შემოდის
გაანჩხლებული) მაშ ხელიდამ გამექცა ის შეჩვენებუ-
ლი? (დაინახავს მარინეს) რა დაგმართნია, მარინე? ფე-
რი რად წაგსვლია?..

მარინე. (გაფიტრებული და შემკრთალი დაეცემა მუნ-
ლებზედ ტირილით.) მაპატიე, ოტია... მაპატიე...

ოტია. (გაოცებული) რა დაგემართა, მარინე? რა
გაპატიო?!. რა მოხდა?

მარინე. (საშინელი მლელვარება ეტყობა) არაფერი,
ჩემო ხელმწიფევ... მიყვარხარ და მიტომ ვსტირი!..
(ტირის ოტიას მუნლებზედ.)

ფარდა.

მოქმედება მესამე

I.

ისევ ის დარბაზი

ოტია ხის სკამზე ზის, ადამია მის წინ ხელ-შეხვეული დგას-

ადამია. აი, შენის თვალით ნახე (უჩვენებს შეკ-
რულ ხელს) ეს ბარათი მომცა ხელში თუ არა, ის
იყო გამოვბრუნდი, როდესაც ოსმალმა თოფი მეს-
როლა.

ოტია. გაბრაზებული) მერე ვერ ეტყოდი, რომ
შენ ჩემი კაცი იყვი?

ადამია. აბა, როგორ მეთქვა? ვერ გავბედე—
შემეშინდა; რომ მეთქვა შენც და მეც გაგვამტყუ-
ნებდნენ. ლალატობას დაგვწამებდნენ, ამიტომ არა
უთხარი-რა და ხომ ხედავ?..

ოტია. ოჲ, ეს-კი მართალია, მართალი! გმალ-
ლობ, დიღად დავალებული ვარ შენგან, ეხლა-კი
წალი და ხელი კარგად შეახვევინე და ეჭიმსაც
უჩვენე.

ადამია. შვილო, ოტია... ერთი რამ უნდა გით-
ხრა და ნუ გამიწყრები... შენ ჩემს ხელში ხარ გაზ-
დილი!.. შვილო, ნუ გჯერა, რომ ოსმალმა, მაჭმა-
დიანმა დაგინდოს... დღეს ფაშა შენ იმიტომ გეფე-

რება, რომ შენით არის და შენგან სარგებლობას გამოელის... იმან კარგად იცის, რომ უშენოთ იმათი ჯარი აქამდინ მთლად ამოწყვეტილი იქნებოდა... ამიტომაც გეფერება, შვილო!.. ხვალ, თუ შენი შველა და მასპინძლობა არ დასჭირდა, ზურგს შეგაქცევს და გიმტრობს კიდევ...

თტია. მერე ამით რა გინდა სთქვა!

ადამია. ის, შვილო, რომ დადიანის წერილს დაუჯერე და შეურიცდი მას. მართალია, შვილო, გული ნაწყენი გაქვს, მაგრამ როცა საქვეყნო, საერო საქმე მსხვერპლს ითხოვს, შენც უნდა დასთმო შენი გულის თქმა... გასწყვიტე, შვილო, კავშირი ოსმალებთან..! შვილო, აგერ სამი თვე გადის, რაც ოსმალების ჯარი მძიმე ხარკად აწევს ჩვენ სოფელს; ხალხი დრტვინავს... მთელი სამეგრელო მოღალატეს გეძახის... ჯავრი და შურის-ძიება კარგია, შვილო, მაგრამ არა ამისთანა საშუალებით... ოსმალების ჯარი, რომელიც შენ აქ დააბინავე, დღეს მთელს ჩვენს ქვეყანას გაოხრებას ემუქრება... ამიტომ გევეღრები, შეურიგდი მეფეს და შეერთებულის ძალით განწმინდეთ ქვეყანა ურჯულოებისაგან!..

თტია. კაცი რომ დაბერდება ხელ-ახლად გაბავშვდება!.. შენი საქმეც ავრეა სწორეთ. თუ მაგას გულწრფელად ლაპარაკობ, გირჩევ, თავს ნუ იწუხებ და თუ სხვისაგან ხარ დარიგებული მეტი ალარ გამიბედო მაგის თქმა!..

ადამია. (წყენით) მე-კი გირჩევ და აწი შემციცება
ლმერთმა ჰქნას რომ ბოლოს არ ინანო... სხვა არა-
ფერს მიბრძანებ?..

თტია. იმას გიბრძანებ—მეორედ აღარ გამიბე-
დო მაგეების მიქარვა და ეხლა-კი გალავანის გასა-
ლები მომეცი.

ადამია. მერე რად გინდა?

თტია. იმად მინდა, რომ დღეის შემდეგ მე
შენ არ გენდობი, მოიტა!..

ადამია. (წყენით) როგორც გენებოს ისე მოიქე-
ცი... აი, ინებე, (აძლევს გასალებს) მაგრამ ეს-კი არ
გეკადრება, რომ ჩემს ჭალარას ასე შეურაცხყოფ!..

თტია. (გამოართმევს გასალებს და სარტყელზე ჩა-
მოიყიდებს.) ერთი ეს შემატყობინე, გაიოზ ფალავა
როგორ გაიქცა?..

ადამია. დარაჯებს დასძინებოდათ.

თტია. დასძინებოდათ! მე თქვენ საუკუნოდ
დაგაძინებთ, მგონი! აქ უნდა იყოს საღმე, უსიკვდი-
ლოდ მონახეთ!.. გალავანს ვერ გასცილდებოდა...
სადაც მოასწროთ, მოჰყალით! მარინეს-კი არაფერი
არ გააგებინოთ. ხომ გესმის!.. მართლა, ეხლა საით-
კენა სდგას ფალავას ჯარები?

ადამია. ეხლა იქედან მარჯვნივ ეკის გზისაკენ.

თტია. ნესტორ ჩიჩუასი?

ადამია. ჩვენს მახლობლივ ტყე რომ არის, იქ
ჩასაფრებულან.

თტია. ლევან ჯაიანისა?

ადამია. სენაკის გზის ქვემოდ.

თტია. ოჲ, როგორც ვატყობ ისინი რაღასაც კი აპირებენ... ირგვლივ გარს შემოგვრტყმიან.. ეჭ-ვი არ არის, რომ იერიშით აპირებენ მოსვლას, მაგ-რამ ამაოდ!.. ჩემს ციხე—სიმაგრეს ვერაფერს დაკ-ლებენ... რაც გითხარ არ დაივიწყო... თვალი მარჯ-ვედ გეჭიროს ყველაფერზედ!.. (გადის)

II.

ადამია და მერე გადია.

ადამია. (მარტო) ღმერთო, რა დღეს მოვესწა-რი?.. როგორ თვალი არ დამიბნელდება... მაგრამ ახია ჩემზედ... სულ ჩემი ბრალია... რას ვაქნევდი აქა? რას მოველოდი? რა-კი შვილი გამექცა, მეც უნდა უკან გამოვდგომოდი... ეხლა, ვინ იცის, ჩემი გიგლა სად არის... ბიჭებმა მითხრეს, გაიოზთან იყო-ვო... ვაი ჩემს სიბერეს!.. ვაი ჩემს მოსწრებას!.. (შემოდის გადია.)

გადია. (შემოდის ყვირილით) კაცო, რა ღმერთი გი-წყრება? აქამდინ რატომ არ მოხველ? რატომ არაფერი შემატყობინე შვილზედ?..

ადამია. დედაკაცო, რა უთავბოლო ლაპარაკი იცი?.. კალთაში ხომ არ მიზის გიორგი?..

გადას. დიალაკ არ გიზის კალთაში და მერე ვისი ბრალია?.. შენი, სულ შენი ბრალია, შე სულ-წაწყმედილო!.. რად დამიკარგე შვილი, რადა?..

ადამია. დადაკაცო, რად იცი ესე ჩაციება? ესრე რომ ყვირი და მაყვედრი, განა ჩემი შვილი-კი არ არის? განა შენზედ ნაკლებად გულსა მწვამს?..

გადას. აი გულიც დაგეწოს შენა და სულიც! (გადის, ისევ ბრუნდება საჩქაროდ) ფაშა მოდის თავის ურ-ჯულოებით. (გარბის)

ადამია. ფაშა?!.. (ამ დროს შემოვლენ ფაშა, ყარაოღლი და ჯანვერდი)

III.

ფაშა, ეპრა-ოდღი და ჭანვერდი.

ფაშა. ოტია სად არის?

ადამია. ეხლავე გეახლებათ, ბატონო ფაშა. (გადის)

ეპრა-ოდღი. ფაშა ეფენდი, დიდ შეურაცხყოფად მიმაჩნია, რომ ჩვენ აქა ვართ და მასპინძელი აქამდინ არ გამოგვეცხადდა.

ჭანვერდი. მართალია, ფაშა ეფენდი!

ფაშა. რას იზამ, დღეს კიდევ ჩვენი ბატონი ოტია არის, მაგრამ, მაპმალია მოწყალე, მალე მოვუგრეხ მაგას კისერსა!..

ჯანვერდი. და სწორედ ლირსი იქნება თქვენი რისხვისა.

ყარა-ოღლი. მართალია, ფაშა ეფენდი.

ფაშა. ჯერ ეს ომი გავათაო და დროისით მოვრჩე ეს საქმე და მერე ოტიასაც მოვუმზადებ ფეშქაშეა!.. რა სულელი ვიქნები, რომ ოტია ხონთქართან წარვადგინო დასაჯილდოებლად! ლუკმა გავარდეს — ჯამში ჩავარდესო, ნათქვამია... თუ წყალობა იქნება ხონთქრისგან, ისევ ჩვენ გვერგოს!..

ყარა-ოღლი. მართალს ბრძანებთ, ფაშა ეფენდი!

ჯანვერდი. კეშმარიტია, ფაშა ეფენდი. (შემოდის ოტია)

IV.

იგინივე და ოტია მერე გადია და ბიჭი

ოტია. (შემოდის თავის კვრით) სალამი, ბატონებო!.. უკაცრავად, ფაშა ეფენდი, რომ დავიგვიანე... მაპატიეთ.

ფაშა. ნურას უკაცრავად, ჩემო ოტიავ, რომ უდროვო-დროს მოვედით და შეგაწუხეთ.

ოტია. აბა რას ბრძანებთ, ფაშა ეფენდი, თქვენი მობრძანება ჩემთვის აღდგომაა.

ფაშა. მჯერა, მჯერა, ჩემო ოტია! მე მისთვის მოვედი, რომ ეს სალამო მეგობრულ მასლაათში და

მხიარულებაში გავატაროთ და მასთან საქმეც გავა-
რივოთ.

თტია. ბრძანე, ფაშა ეფენდი, მე შენი მონა
ვარ.

ფაშა. ჯერ ერთი უბრძანე შარბათი მოგვარო-
ვან და მერე საქმეს შევუდგეთ.

თტია. დიდი ბოდიში, ფაშა ეფენდი... უკაც-
რავად! (დაჭრავს ხელს.) ჰეი, ბიჭო! (შემოდის გადია.)
გადია, შარბათი და ლვინო, მალე! უკაცრავად, ფაშა
ეფენდი! (შემოაქვს ბიჭს შარბათი, ხილი და ლვინო) მიირთ-
ვით, ბატონებო! (ასხამს) ფაშა ეფენდი, მართალია, თუმ-
ცა თქვენი რჯული ლვინის სმას გიყრძალავსთ, მაგ-
რამ, არა მგონია, უარი სთქვათ აი ამ ლვინოზედ. ეს
ერთი საუკეთესო ლვინო გახლავსთ ჩვენში, განთქ-
მული და ძლიერ იშვიათია...

ფაშა. (შინჯავს) მშვენიერია! რა ჰქონიან მაგ ლვი-
ნოს?

თტია. ოჯალეშს მოგახსენებენ, ფაშა ეფენდი!
(დალევს) იცოცხლეთ, ბატონებო, მრავალ წელი-
წაღი!..

ფაშა. გმადლობთ ოტია, გმადლობთ. ოპ, მართ-
ლა იმას გკითხავდი: დღეს ჩვენ დარაჯებს ერთი ვი-
ლაც დაუჭრიათ; ამბობენ შენი კარის კაცი არისო.

თტია. ჰო, ვიცი, ვიცი; ფიქრი ნუ გაქვსთ,
ფაშა ეფენდი... ის კაცი, რომელიც დაჭრეს დღეს,
ჩემი კაცია, ჩემი ლალა გახლავსთ. აი ყველაფერს

ეს აგიხსნით. (აძლევს ბარათს) ეს ბარათი სახლზე-უზეუ-
ცესის როსტომ ჩიქოვანისაგან არის.

ფაშა. (ფაშა კითხულობს და თავს იქნევს) მერე შენ
რა უპასუხე?

თტია. (გამოართმევს ბარათს და ხევს) აი რა ვუპა-
სუხე. ჩიქოვანი მწერს მთავარს შეურიგდი და ოსმა-
ლოს ჯარი უკუ აქციეო... მე უარი შევუთვალე!

ფაშა. ყოჩაღ, ოტია, ყოჩაღ! მაჰმადის წვერსა-
ვფიცავ, რომ სამეგრელოს ტახტზედ შენ დაგსვამს
ჩვენი დიდებული ხონთქარი.

ეპრა-ოდღი და ჭანვერდი. (ერთად) მართალსა-
ბრძანებს ფაშა-ეფენდი!

ფაშა. მართალია, როგორც მე ვარ მართალი-
და ამიტომ ამ სასიამოვნო ამბავს ურიგო არ იქნება,
რომ ეს წვენიც ზედ დავატანოთ!

ეგედანი. დავლიოთ, დავლიოთ! (დალევენ ლვინოს)

თტია. რადგან ასე გამხიარულდით, მინდა უფ-
რო სასიამოვნო ამბავი შეეგატყობინოთ.

ეგედანი. სოქვი, სოქვი, ოტია!..

თტია. თქვენ ფაშა-ეფენდი კარგად მოგეხსე-
ნებათ, რომ აქ საყდართან გამოქვაბულის თავი
გამოდის, რომლის გასაღებიც ეს გახლავსთ.

ფაშა. ეს დიდიხანია, რაც შენ მითხარი.

თტია. გითხარით, მაგრამ ვერც გითხარით,
ეს გამოქვაბული ბევრჯელ იცავდა მეგრელების
ქვრივ-ობლებს ოსმალების ჯარებისაგან... ეხლა ეს
გამოქვაბული უყურადღებოდ არის დარჩენილი და

ჩვენ შეგვიძლიან ეს გამოქვაბული სასარგებლოთა ფაქტი
მოვიყვანოთ: ჩვენ ადვილად შეგვიძლიან ამ გამო-
ქვაბულიდგან გავიდეთ საჩიჩულს ტყეში და იქიდ-
გან თავს დავეცეთ მეგრელების ჯარს, რომელიც
ეხლა გარს შემოგვერტყა, თორემ, თუ ჩვენ აქ
ვუცადეთ ჩვენს მოსაშველებელს ჯარს, დრო ბევრი
გავა; მეგრელები უფრო მხარს შეიმაგრებენ და ბო-
ლოს საქმე ძლიერ გაგვიჭირდება. სანამ მეგრელე-
ბის ჯარი ცალ-ცალკეა, ჩვენ შეგვიძლიან გავებრ-
ძოლოთ, თორემ მერე გაგვიძნელდება.

ფაშა. იყოს შენზედ მაჰმადის კურთხევა! თუ
მართლა ეს მოსახერხებელია, საუცხოვო რამ არის
და იმედი მაქვს გავიმარჯვებთ.

ოტია. იმედი-კი არა, მე დარწმუნებულიცავარ,
რომ გაიმარჯვებთ.

ფაშა. ოტია, შენ ისეთს სამსახურს უწევ ჩვენ
დიდებულ ხონთქარს, რომ არც-კი ვიცი რითი გა-
დაგიხადო. ჯერ-ჯერობით მიჩუქებია შენთვის ჩემი
ხუთი არაბისტანის ცხენები, მიჩუქებია შენთვის ჩემი
ჰარამხანიდამ ექვსი მზეთ-უნახავი და იმედი გქონ-
დეს, რომ ხონთქარი შენთვის თავის ხალათსაც არ
დაიშურებს...

ოტია. მადლობას მოგახსენებთ, ფაშა-ეფენ-
დი!.. აი რას გირჩევთ: დროს ნუ ჰკარგავთ და ხვალ-
ვე შეუდექით ამ საქმეს: ხვალ დაბნელდება თუ არა
გაგზავნეთ ხუთასამდი კაცი ყარა-ოლლის წინამძღომა-

ლობით, მერე იმას გავაყოლოთ ჯანვერდიც... ასე
რომ ათასი კაცი მზად იყოს, მტერს თავს დაესხას,
ხოლო ჩვენ იმავ დროს გალავნიდან გავიდეთ და
შევებრძოლოთ. ამ რიგათ მეგრი შუაში მომწყვდეუ-
ლი გვეყოლება. ღამეც ხელს შეგვიწყობს და გა-
მარჯვება ჩვენ შეგვრჩება და მერე-კი აღვილად შე-
გვიძლიან სენაკშიაც გავიდეთ და გზა-გზა ყველა
სოფლებში შეკრებილი ჯარი დავატყვევოთ...

ფაშა. კეთილი და პატიოსანი, მშვენიერი აზ-
რია! ამაზე უმჯობესი რალა იქნება? აბა, ოტია, მაჰმა-
დი იყოს ჩვენი შემწე და შენი მფარველი! (დალევს)

თეტია. იცოცხლეთ, ფაშა ეფენდი, მრავალ წელს!
(დალევს ამ დროს გაისმის თოფის სრულა) ეს რა ამბავია?
(სამნივე წამოგარდებიან ზეზე)

ფაშა. ხომ არ გვიღალატეს?!.. (მეორედ გავარდე-
ბა თოფი)

თეტია. ვეჰ, ეს რალაც ამბავია!.. ბიჭო, ბიჭო!
ეჰი, აღამია!..

ბიჭი. (შემოდის) რას მიბრძანებ, ბატონო?

თეტია. რა ამბავია, თოფი ვინ გაისროლა?

ბიჭი. ვიღაც გალავანზედ ასულიყო და აღა-
მიამ თოფი ესროლა, იმანაც უპასუხა და აღამია
ცოტად დაიჭრა. (ამ დროს შემოგარდება გადია და ოტიას
წინ დაიჩოქებს)

V.

იგინივე, გადა და მერე ადამია.

გადაბ. (ღრიალით) ბატონო, ჩემო ხელმწიფევ... ქმარი მომიკლეს, შვილი მომიკლეს, მამამ შვილს თოფი ესროლა, შვილმაც ტყვია დაუბრუნა... მიშველეთ, თქვენი ჭირიმე, მიშველეთ...

ოტაბ. გონს მოდი, ბებერო, რაღას ღრიალებ?..

გადაბ. ჩემი შვილი, ჩემი გიორგი მომიკლეს... მერე ვინ მოჰკულა? — მამამ მოჰკულა, მამამ... მიშველეთ, ან მეც მომკალით მასთან!

ფაშა. მე არაფერი მესმის!.. რომელი შვილი? რას ამბობ? (შემოდის ადამია ხელ შეხვეული, დაღვრემილი.)

გადაბ. (მივარდება ქმარს) ვუი, ვუი ჩემს თვალებს, ცოცხალი ხარ, ცოცხალი, შე უღმერთო... გიორგი... ჩემი შვილი... ისიც ცოცხალია?

ოტაბ. კარგია, გეყოფა ამდენი ღრიალი!.. რა იყო ადამია! რა მოხდა?

ადამია. (ყრუდ) არაფერი, ბატონო... გალავანზედ ვიღაც ასულიყო. მე სიბნელეში ვერ გავარჩიე. დაუძახე, ხმა არ გამცა, ვესროლე და იმანაც მესროლა და დამკრა. ამ დროს უეცრივ ცეცხლი გააჩალეს და მე აშვარიად დავინახე, რომ ჩემი შვილი გიორგი იყო, მგონი ისიც მძიმედ დაიკრა, თუ-კი მკადარი არ არის!..

გადა. (ტირილით) აი, დედამიწა გასკდეს და
თან ჩაგიტანოს შე უღმერთო, შვილის მკვლელო!..
ვუი, ვუი, რა დღეს მოვესწარი, რა დღესა!..

თტია. გადია, გაჲი აქედგან, ნუ ლრიალებ-
მეთქი!

გადა. (ოტიას) შვილო, დაგავიწყდა, რომ მე
გაგზარდე, ძუძუს გაწოვებდი?

თტია. კმარა, ნუ ყბედობ, გაეთრიე აქედგან!

ადამია. დედა-კაცო, არ გესმის, გაეთრიეო?..

გადა. მე კი გავეთრევი, მაგრამ ლმერთი მო-
გოხოვთ მაგიერს!.. ჩემო შვილო, ჩემო გიორგი, ვუი
შენს დედას, ვუი შენს მშობელს!.. (გადის)

ფაშა. შენ, აღამია, ყოჩალი ყოფილხარ და ყო-
ჩალადაც მოქცეულხარ, ამისთვის შენთვის ხუთი ოქ-
რო მომიცია.

ადამია. ბატონო ფაშა, შვილის სისხლი ოქრო-
თი არ შეისყიდება,—ამიტომ ნურას უკაცრავად, თუ
თქვენი საჩუქარი არ მივიღო.

ფაშა. როგორც გინდოდეს, მაგრამ, როდესაც
უფროსი საჩუქარს და წყალობას გაძლევს, სილაც
რომ იყოს უნდა მიიღო.

თტია. მართლა რომ ყოჩალად მოქცეულხარ,
აღამია. მართლა, შენ გამოცდილი კაცი ხარ: რო-
გორა ჰფიქრობ? ხომ არაფერს გვიპირებს შეგრელთ
ჯარი?..

ადამია. ბევრს ვერაფერს გვიზამენ, მაგრამ შე-
დრომები და კოშედიები. ვ. გუნია



გვაწუხებენ-კია, ჩიჩუას და ხეციას ჯარი გრძლებულის
დიდი კარების პირდაპირ დაბანაკებულია...

ფაშა. მე იმათ მალე ავაბანაკებ. ცოტა დამა-
ცადეთ და დაგანახვებთ იმათ ვაჟყაცობას; მაინც, რაც
უნდა იყოს, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

ოტია. თქვენ, ფაშა-ეფენდი, ფიქრი ნუ გაქვსთ...
სიფრთხილე მე მომანდეთ. ფაშა ეფენდი, ნება მი-
ბოძეთ ერთი ჩვენებურად—ყანწით გეახლოთ თქვენი
სადლეგრძელო!

ფაშა. სიამოვნებით, სიამოვნებით!



ოტია, იცოცხლეთ, ფაშა ეფენდი, მრავალ ფა-
მიერ! (დალევს)

ფაშა. გმადლობ, ფაშა ოტია! (დალევს. ყველას
ლვინო ეტყობა.) ეხლა შენ იცოცხლე, ფაშა ოტია!..

ეველანი. იცოცხლეთ, იცოცხლეთ! (დალევან)

ფაშა. ადამია, შენ არც ჩემი და არც ოტიას
სადლეგრძელო არ დაგილევია!..

ადამია. მე ლვინოს არ გეახლებით, ფაშა ეფენდი!

ფაშა. რატომ, გიაურო? მე თუ ვსომ—შენ რა
გიჭირს?

ადამია. ჩვეულებამ იცის, ფაშა ეფენდი.

ფაშა. სულელური ჩვეულება გქონია.

ადამია. ზოგს რა მოსწონს და ზოგს რა...

ეველანი. (იცინიან) მართალია, მართალი!

ფაშა. ეხლა ჩვენ, ოტია, სულ ჭამა სმაში
ვართ.

თტია. მაშ რა ვქნათ, ფაშა ეფენდი? როცა
 გვაქვს — თავს პატივი უნდა ვცეთ, როცა არა გვექნე-
 ბა — გავისარჯენეთ და შოვნას ვეცადნეთ... ჯერ, ღვთის
 წყალობით, ხომ სახლში ვართ, ამიტომ ვსვათ და ვილ-
 ხინოთ, შევექცეთ და ვიმხიარულოთ... ხოლო როდე-
 საც ბრძოლის ველზე ვიქნებით — მაშინ ვიბრძოლოთ!..

ფაშა. მართალია, მართალი, ფაშა ოტია! ეჭ
 ეხლა ჩვენც წავიდეთ!.. (წამოდგება, მასთან წამოდგებიან
 ჯანვერდი და ყარა-ოლლიც) მივხედოთ ჩვენს ქალებს,
 თოვებმ უჩვენოთ ძლიერ მოსწყინდებათ. ოტია, სა-
 მეგრელოში მე ისე არაფერი მომწონს, როგორც
 ქალები. მთელი ქვეყნის ზურგზე არ მოიპოვება ისე-
 თი ქალები, როგორც ამ კურთხეულ ქვეყანაში...
 მართლა, შენი გამოგზავნილი ქალი მშვენიერი რამ
 არის, ხოლო ცოტა ანჩხლია... არ მომეკარა!..

ეარა-თდღი. { მართლა, ძლიერ ანჩხლია!
 ჯანვერდი.

ფაშა. (აჯავრებს) მართალია, ანჩხლია!.. ერთი
 მითხარით, თქვენ საიდამ იცით, რომ ანჩხლია?

ორიგე. აკი თქვენ თითონა ბრძანეთ, ფაშა
 ეფენდი.

ფაშა. პო, მართლა, სულ დამავიწყდა, რომ მე
 თვითონა ვსოქვი... მაშ ეხლა-კი წავიდეთ... ძალიან
 მაგარი ღვინო-კი ყოფილა შენი ოჯალეში. ნახვამ-
 დინ, ოტია, ფაშა ოტია!.. (თავს უკრამენ ერთმანეთს)

თტია. ნახვამდინ! ღამე კარგად ყოფნისა, ფა-

შა ეფენდი! (მიატილებს კარებამდინ) აღამია, გზა მიუ-
ნათე, სინათლე მალე! (გადიან ყველანი ოტიას გარდა)
ესეც ასე! ჩემი ვარსკვლავი ჯერ კიდევ ანათებს,
ჯერ არაფერს არ შემოულრუბლავს... და ვგონებ,
რომ მალე მივაღწევ ჩემ საწილელს!.. (ზედი-ზედ ლევს
ლვინოს და მერე ჩამოჯდება) ნეტი მალე-კი მოვრჩე ამ
ჩემ საქმეს!.. ისეთი ცუდი და აუტანელი არა არის-
რა, როგორც ლოდინი... დღე დღეს ასწრობს და
ბოლო-კი არსადა სჩანს!.. გული ძაგძაგითა სკდება და
რაღაც უცნაურად გითრთის მთელი სხეული... სწუ-
ხარ, შიშობ და სულ ელი და ელი!.. (დალევს ლვინოს)
კარგი მოგონებაა ეს ლვინო; ეს რომ არ იყოს, რა-
ღა ეშველებოდა აღამიანს? (დალევს) მაშ ხვალ დილით
ჯარს გავგზავნი... (დალევს) კარგია, ძლიერ კარგი...
რა სეირი იქნება ნათლის მცემლის ტაძარში? ბე-
რები, ბერები... ხა! ხა! ხა! სულს ვინახავთო... ვნა-
ხოთ ხვალ როგორ შეინახავთ ან სულს, ან ხორცს?
(დალევს) ჩინებული ლვინოა... (თვრება ნელ-ნელა) ჰო,
იმას ვამბობ, ხვალ ვნახავ იმათ სეირს!.. მე... მეც...
მე ვნახავ... ვინც გამეჯიბრება სულ ძირიანად აღმოვ-
ფხვრი! (დალევს) ლვინო-კი არ ათრობს კაცს, არა-
მედ ართობს!.. (ეძინება) ჰო, იმას ვამბობ... ოჰჰ, ლვი-
ნოს... ძალლი არ დაჰყეფს-მეთქი!.. (დალევს) ასეა ჩვე-
ნი სიცოცხლე... ყველა იქბინება და ვინც უფრო
მეტს ჰქონები—ბურთი და მეიდანიც იმისია... ლვინო
კი დასალევია და არა საკბენი... ჩინებულია... სა-



წყალ მარინეს ეშინიან... ძლიერ ვუყვარვალ!.. ცოტას კიდევ ასე ვიქნები და მერე გალავანს ვნახავ... დარაჯებმა არ მიღალატონ!.. გიორგი მოუკლავს მამას... საწყალი აღამია... ყველა იყბინება... მამა და შვილი... ოჯ, გაიოზი ვერსად წამივა... სამეგრელოს ტახტი მეკუთვნის... ფაშა ოტია... ტახტი... არ გადმოვარდე... ხელს ნუ მკრავ!.. (იზმორება) ფაშა ოტია... ხონთქარი... ტახტი... იყბინება... ჰა... ჰა... (ამთქნარებს) გალავანი... გასალები... ოტია... ფაშა... სამეგრელო... (ეძინება. სიჩუმე... გამოდის ნელა მარინე, ალელვებული. ეს სცენა ბოლომდის ჩუმად მიდის.)

VI.

იგივე, მარინე და მერე გაითხი.

მარინე. დაიძინა... ლვინო მოეკიდა... სძინავს, მაგრამ ვერ მივალ... მუხლები მიკანკალებს... ფეხები მეკეცება... აბა, როგორ მოვპარო გასალები? აი, აგერ გასალებიც! (წინ წაიშევს) მივიდე?.. არა, მეშინიან, გაილვიძებს... იქნება გაიოზმა მომატყუილოს და ულალატოს... იქნება?.. არა, არა... არ შემიძლიან... წავალ და ვეტყვი, აქ არა აქვს-მეთქი, სხვა გზით გავატარებ... ლმერთო, რომ არ ვიცი სხვა გზა! სულ

ერთია, სულ ერთი... მაინც ხომ უნდა უშველო მას, მაგრამ ამას გასაღებს ვერ მოვპარავ!.. არ შემიძლიან, არა!.. (გადის საჩქაროდ. სიჩუმის შემდეგ შემოდის გაიოზი.)

გაითხ. სად არის აქამდინ მარინე? ხომ არ მომატყუილა? ლმერთო დიდებულო, რაები არ გავიგე ამ საღამოს! (დაინახავს ოტიას და შეკრთება.) აჰა!!.. ესეც აქ ყოფილა! რა კარგი დროა... ეხლა ჩემს ხელშია! (მიუახლოვდება) სძინავს! ოჸ გულო, რამ აგაძერა? რამ შეგაშინა!.. მაშ შენა ბრძანდები, ვაუბატონო, ჩემი ოჯახის გამაუპატიურებელი? შენა ბრძანდები ჩვენი სამშობლოს მოღალატე და გამყიდველი?.. მაშ შენგნით ვართ ამდენი ქრისტიანები შეწუხებულნი? ეგ შენა ხარ რომ გვლალატობ და სამაგიეროთ ხონთქრისაგან ჯილდოთ სამეგრელოს ტახტს თხოულობ?!.. რა მადა გქონია, რა გაუმაძლარი ყოფილხარ?.. ხა! ხა! ხა!.. ხედავთ რა მოსდომებია?!. შეუგუნურო და ბოროტო, ვსთქვათ, რომ ტახტზე კიდეც ახველი, განა გამაგრდები მირონ ცხებულ ტახტზე?.. და თუ გამაგრდი კიდეც, ჩვენ რაღას გვეუბნები?, ნუ თუ გგონია, რომ ჩვენი ხალხი აღვილად შეგარჩენს ამ გვარ საქციელს? ცოტა ანგარიში შეგცდენია (ოტია გაინძრევა) ოჸ, როგორ აწუხებენ სიზმრები! ნეტავი რას ხედავს სიზმრებში?.. იქნება ხედავს როგორ იმარჯვებს ჩვენს ხალხზე, ან იქნება ტახტხედ ზის და მეფედ ლამობს თავის თავსა!.. ოჸ, რა მა-

ლე ჩაგიქრობ მაგ ტკბილ ოცნებას, როგორ შალე
 ჩამოგაგდებ მეფის ტახტიდგან! (მიუახლოვდება ნახევრამდე
 ხანჯალ ამოღებული) დიახ, მე შენ გაგაქრობ და ამით შვე-
 ბას მივცემ ჩემს ქვეყანას!.. (მოიქნევს ხანჯალს) მაგრამ
 არა, სძინავს! (უკან დაიწევს) მე ქურდი არა ვარ და
 ამიტომ სიცოცხლეს არ მოგჰპარავ, არამედ ძალით
 წაგარომევ!.. გასაღებიც აგერ ჰკიდია... ჰო, მეც ეგ
 მინდოდა! გავაღვიძო! (მიუახლოვდება და დაძახება უნდა,
 ამ დროს უეცრივ გამოდის მარინე და სწრაფად ხელს სტაცებს
 ძმას. ეს სცენა ბოლომდინ ჩუმაუ თავდება.)

მარინე. ოპ რას სჩადი?!.. წავიდეთ აქედგან,
 წავიდეთ!

გაითხ. (მღელვარე) როგორ?.. აქ ვიყო, ასე
 ახლო და წავიდე!..

მარინე. გაიოზ, თუ ჩემი სიცოცხლე გინდა,
 წავიდეთ მალე!..

გაითხ. (ფიქრის შემდგომ.) კარგი, წავალ, მაგრამ
 გასაღები!..

მარინე. არა, არ შემიძლიან...

გაითხ. მალე, არა მცალიან!

მარინე. ძმაო, შემიბრალე!

გაითხ. მალე ჩამოხსენ გასაღები!

მარინე. არ შემიძლიან, ხელები მიკანკალებს...

გაითხ. (იძრობს ხანჯალს და მიუახლოვდება) იქნე-
 ბა გინდა, რომ მე თვითონ მოვსხნა?..

მარინე. შესდექ!.. მე... ეხლავე! (მივა ნელა ოტიას-

თან, მოხსნის გასაღებს და მიცემას ვერა ჰბედავს.)

გათოზ. მოიტა!

მარინე. მოგცე?..

გათოზ. (მკაფრად) მოიტა მალე!

მარინე. (აძლევს გასაღებს. თვალებზე ხელებს იფარებს და ოტიას წინ მუხლზე დაეცემა) ოჯ ღმერთო, ღმერთო!.. (ქვითინებს.)

გათოზ. არა, არა, შენ ხუმრობ!.. წამოდევ, ამასთან ვერ დაგტოვებ, უთუოდ გააღვიძებ და ყველაფერს ეტყვი... დეე, მოისვენოს! ადექ მალე და გამაცილე, გზა მიჩვენე!.. არ გესმის, წამოდექ-მეოქი! (ძალად ააყენებს) წამომყევ მალე!.. (ოტიას) შენ-კი იძინე საზიზლარო, სანამ მე თვითონ არ მოვთხოვო პასუხი შენის ბიწიერებისათვის!..

მარინე. ძმაო, ძმაო!..

გათოზ. წამომყევ! (ძალად მიათრევს. გადიან.)

ფარდა.

მოქმედება მეოთხე

დარბაზი ოტიას სახლში, შუაში და გვერდზე კარები, ტახტი ხალიჩებით და მუთაქებით მორთული. კედლებზე იარაღები, სალამოს დროა.

I.

ოტია, ფაშა და ჯანვერდი სხედან.

ფაშა. მე ყველაფერს წარმოვიდგენდი, ყველაფერს ვიფიქრებდი, ოტია, მაგრამ ეს-კი არ მეგონა, რომ შენ ეგრე გულ-ცივად მოეკიდებოდი ჩვენს საერთო საქმეს!.. მე მუდამ გეუბნებოდი, სიფრთხილეს თავი არა სტკივა, ყურ-მარჯვედ იყავ, თორემ განსაცდელში ჩავარდებით-მეთქი და, მართლაც, ასე მოხდა. კიდევ კარგია, რომ ჩემმა დარაჯებმა დროზედ შეამჩნიეს მტრის ხერხი, თორემ სულ ერთიანად ამოგვულეტდნენ... ოტია, რაც უნდა იყოს, თუ ჩემი და ჩემი ჯარის საქმე ცუდად წავიდა, არც შენ დაგადგება კარგი დღე. შენც კარგად უნდა იცოდე, ოტია, რომ ჩემი და შენი ბედ-ილბალი ისე გადახვლან-ჯული არის ერთმანერთთან, რომ ერთის უბედურება მეორეს არამც და არამც არ გაახარებს!..

ჯანვერდი. მართალია, ყველა თქვენი სიტყვა კეშმარიტია, ფაშა ეფენდი! და მიკვირს რომ ოტიას-

თანა ჭკვიანი კაცი მაგას ვერ მიმხვდარა, რომ ჩვენი ღალატი ხეირს არ დააყრის!..

თტია. დიდებულო ფაშა ეფენდი და თქვენც პატივცემულო ჯანვერდი; ისე სასტიკად არავინ სტუქსავს ჩემს თავს, როგორც მე... ისე კარგად არავის არ ესმის ჩემი საქმე, ჩემი სიკეთე და ბედნიერება, როგორც მე... ყოველისფერი, რაც თქვენა ბრძანეთ, სულ ჭეშმარიტია, მაგრამ ეხლა რა გაეწყობა. ეხლა შენანება გვიანდა არის!.. არ ვიცი, ვერ მივმხდარვარ, ის წყეულები როგორ შემოვიდნენ...

ფაშა. მაშ გასაღებით არ უსარგებლნიათ?

თტია. ეს აშკარაა, რომ გასაღები იმათ ხელთ არა ჰქონიათ, თორემ გაიქცეოდნენ... მეც ეს მაკვირვებს გასაღები თუ არ იმათ მაშ ვის ენდომებოდა...

ფაშა. ეჭვი ვისზედა გაქვსთ?..

თტია. ეჭვი მაქვს და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ეს ადამიას საქმეა, იმის მეტი არავინ მეგულება აქ მოღალატედ.

ფაშა. მე-კი სულ სხვას ვფიქრობ: ადამია მაგას ვერ იზამდა და ვერც გაბედავდა... ის ბერიკაცი ძლიერ ერთგულია შენი.

ჯანგერდი. მეც ასე მგონია.

თტია. მაშ მეტი ვინ იქნება, ფაშა ეფენდი? ჩემს ახლო კაცად მხოლოდ ის არის!.. იმის ცოლი და ჩემი მშვენიერი მარინე... ამათზე ეჭვის მიტანა ცოდვაც არის!..

ფეხშა. ვინ იცის!.. ერთი ეს მითხარ: ძალისებ
იცოდა, რომ მისი ძმა ამას წინეთ დაჭერილი იყო
და მერე რო გაიქცა?

თტია. არა, არაფერი არ იცოდა!

ფეხშა. არც ის იცის, რომ წუხელის დავიქი-
რეთ მისის მხლებლებით?

თტია. არაფერი არ იცის და არც ეცოდინება...

ჯან-ვერდა. ბოლოს ხომ უნდა გაიგოს.

თტია. აშკარაა, რომ გაიგებს, მაგრამ მე თავს
გავიმართლებ. გაიოზის სიკვდილს თქვენ დაგაბრა-
ლებთ, ფაშა ეფენდი.

ფეხშა. სხვისი ხელით ნარი გლიჯო? კარგია
თქვენმა მხემ...

თტია. მე რომ არ ვყოფილვიყავი, თქვენ მაინც
არ აცოცხლებდით გაიოზს!..

ფეხშა. ვინ იცის? იმისთანა მშენიერი დის პატ-
რონს ყველაფერს მიუტევებენ და აპატიებენ...

თტია. რა დროს შეცოდება და პატიებაა, ფა-
შა ეფენდი! ყველა გაურჩევლად, ვინც უნდა იყოს,
თუნდა ცით ჩამოსული ანგელოზი, უნდა დაისაჯოს,
რაკი ჩვენი მტერია. გაიოზ ფალავა მეტად საშიშოა
ჩვენთვის და იმისი თავიდან მოშორება თითქმის ნახე-
ვარი გამარჯვებაა!

ფეხშა. ასე თუ ისე ყველას თავს გავაგდებინებთ.

თტია. მე კიდეც შევატყობინე ტყვებს, რომ
ხვალ გათენებისას სიკვდილით დაისჯებიან...

ფაშა. კარგი გიქნია... მადლობა მაჰმადის სახელს, რომ მისი წყალობით წუხელ გადავრჩით! ოტია, ყველას გამოჰკითხე გასაღების თაობაზე. ყველას ყურადღება მიაქციე!.. მოღალატე რომ გვირევია ეპვი არ არის... დროით უნდა მოშორება, თორემ მერე გვიან-ლა იქნება!.. (შემოდის ყარა-ოლლი)

II.

იგინივე და უარა-ოდღი

უარა-ოდღი. იყოს წყალობა მაჰმადის თქვენ-ზედა.

ფაშა. რას მეტყვი, რა იცი, რა შეიტყე?!

უარა-ოდღი. ეხლა საკანიდამ მოვდივარ; ბევრი ვეცადე, ბევრი მუქარაც მოვიხმარე, მავრამ ვერა გავაწყე-რა, ვერაფერი გავიგე; გასაღები არ აღმოჩნდა, ყველა გავაჩრეკინ, მაგრამ ამაოდ...

ფაშა. გაიოზ ფაღავა რას ამბობს?

უარა-ოდღი. სწორედ რომ მამაცი და გულადია ის ცხონებულის შვილი, ნამდვილი გურჯია!.. არც ერთს ჩემს კითხვაზე ხმა არ ამოიღო. როცა სიკვდილით დავემუქრე მაშინ მიპასუხა: თუ გამარჯვება ვერ გიჩვენეთ, სიკვდილს მაინც გმირულს დაგანახვებთო, გასაღაბს ტყულად ნუ ეძებ, ვერ იპოვნიო, გასაღები ოტიას აქვს და ჩვენ იმან შემოგვიშ-

ვა გალავანშიო. ოტია ან თქვენ გლალატობზენ-ჩვენ
გვატყუებსო!

ფაშა. რაო?!!.

ოტია. ეს რომ ცილის წამებაა — ეს აშკარაა.
გაიოზი, იმის გარდა რომ მამაცია, ჭკვიანიც არის კი-
დეცა; ამ ხერხით იმას უნდა, რომ ჩვენ ერთმანერთს
წაგვაჩხუბოს და საქმე და დრო მოიგოს...

ფაშა. ასეა თუ ისეა — შენ, ოტია, ეცადე, რომ
გასაღები აღმოჩნდეს, თორემ ასე ყოფნა შეუძლე-
ბელია. კაცი ყოველ წუთს ელოდე თავს დასხმას
და არ იცოდე საიდამ გეტაკება მტერი... (ჯანვერდს)
ამას თვალყური ადევნეთ, თორემ გაგვყიდის. (მაღლა)
ეხლა წავიდეთ, დაათვალიერეთ დარაჯები, თორემ ეს
ადგილი ჩვენ ხაფანგად გადგვექცევა!..

ოტია. ვსწუხვარ ფაშა ეფენდი, რომ გასაღების
დაკარგვა ასე გაწუხებთ მერწმუნეთ, რომ გასაღები
გალავნიდამ გარედ გასული არ იქნება, თუ აქვსთ
ისევ იმათ — ამიტომ საშიშო არაფერი არა არის-რა.

ფაშა. მეც ასე მგონია, რომ გასაღები აქ იქ-
ნება... (ჯანვერდის) თუ რამე შეგვემთხვა — პირველს
ამას გავაგდებინებ თავს! (მიდის) ნახვამდის... აბა შენ
იცი, ოტია!.. (გადიან სამნივენი ოტიას გარდა)

ოტია. (გააცილებს) ნახვამდინ, ბატონო! (მარტო)
ნერთა ვიცოდე, ვინ მომპარა გასაღები, ვინ გამომჭ-
რა ყელი?.. ფაშაც ეჭვით მიყურებს და მართალიც
არის... მე, იმისი რომ ვიყო, უარეს ვიზამდი... ოჟ-
ჩემო ვარსკვლავო, ჯერ ნუ ჩაქრები, ჯერ არც-კი

განათებულხარ და ლამობ ჩაქრობას!.. არა კულტურული
კიდევ იმედია... ვიპოვნი ქურდს, ვიპოვნი უსიკვდი-
ლოდ და მაშინ—ვაი იმისი ბრალი! რა თქმა უნდა,
ადამია იქმნება!.. აბა იმის მეტი ვინ გაბედავდა? ვი-
თომ მარინე? არა, ეგ შეუძლებელია! მარინემ არც-
კი იცოდა გაიოზი აქ იყო თუ არა, თორემ აქამ-
დინ რა გააჩუმებდა?.. არა, არა, ეგ შეუძლებელია.
აბა ვნახოთ აღაშია რას მეტყვის!.. (ეძახის) ჰეი, შე-
მოიყვანეთ აღამია! (შემოჰყავთ ორ ბიჭს გაფითრებული
და დათოვილი აღამია.)

III.

ოტია და ადამია.

ოტია. (მკაცრად.) შენ კიდევ უარზე დგეხარ და
არ ამბობ ვის მიეცი გასაღები?

ადამია. (ფერ მიხდილი) ბატონო, მითქვამს და
ვიტყვი კიდეცა, გასაღები არა მქონია და მაშასადამე
ვერავის ვერ მივცემდი...

ოტია. სტუუი, მიჰქარავ! გუშინ ლამ შენ, მარ-
თალია, ჩამაბარე გასაღები, მაკრამ მე დამეძინა და
შენ მომპარე; აქ შენს მეტი არავინ იყო... გირჩევ-
ნია მართალი სთქვა, თორემ სულ ერთია, რასაც
ნებით არ იტყვი—ძალად გათქმევინებენ... შენ ხომ
იცი ჩემი სასტიკი წამება: მკვდარსაც-კი აალაპარა-
კებს... მაშ გირჩევნია გასტყდე!..

ადამია. შენი ნებაა — გინდა მაწამე, გიშტრ-ზესაცა
კალი; მე სრულებით შენ ხელთა ვარ, მაგრამ, ვფი-
ცავ ყოვლად შემძლებელ ღმერთს, თუ-კი გჯერა
ჩემი ფიცი, მე გასაღები არ მომიპარავს!.. აბა თითონ
დაფიქრდით, რომ მომეპარა, ვისთვის უნდა გადამე-
ცა?! დარაჯებს ჰქითხეთ, თუ მე სადმე გავსულვარ,
ან მინახავს ვინმე...

ოტია. ვკითხე კიდეც და მითხრეს — გალავან-
ზედ ვნახეთო.

ადამია. მართალი უთქვამთ, ხოლო გალავანზე
დარაჯების დასათვალიერებლად ვიყავი, როგორც
ყოველთვის.

ოტია. მაშ გაიოზი თავის მხლებლებით საიდ-
გან შემოვიდა, თუ არ შენის შემწეობით?..

ადამია. ბატონო, გასაღები რომ ჰქონოდა ხომ
კარებიდამ შემოვიდოდა და გავიდოდა კიდეც. სო-
ფელი დიდია, ბატონო! რად გგონიათ, რომ ყველ-
გან სწვდება ოსმალოს დარაჯები, ზოგან სძინავთ
კიდეც; თქვენც ხომ იცით, როცა გაიოზი გაიქცა,
თურმე აქ იმალებოდა სადღაც თავის კაცებითა.

ოტია. მერე შენ ეგ არ იცოდი?

ადამია. არა, არ ვიცოდი.

ოტია. სტყუი! მაგეებით შენ თავს ვერ გა-
იმართლებ.

ადამია. მე თავს არც ვიმართლებ; მე მართა-
ლი ვარ.

თტია. მაშ არ იტყვი ვის მიეცი გასაღები?

ადამია. არავისთვის არ გადამიცია.

თტია. მაშ რად მომპარე?

ადამია. არც მომიპარავს.

თტია. სტყუი, მიჰქარავ!

ადამია. (ამაყად) თუ ვსტყუი, რალას მკითხავ, ბარონო!

თტია. (გაცეცხლებული) სტყუი, შე ქოფაკო!
გირჩევ მალე გამოტყდე, სანამ გულ-დამშვიდებით
ვარ, თორემ ვაი შენს სიცოცხლეს! თუ გავჯავრდი,
სულ ასო ასოდ დაგშლი, ნელ ცეცხლზე დაგწვავ...
ტანჯვისაგან გაგავიუდებ!..

ადამია. რაც მე ვიტანჯე და გადავიტანე ამა-
ზე უარესი რალა ტანჯვა უნდა მომაყენო; ტანჯ-
ვისა მე არ მეშინიან; მე მხოლოდ იმას ვშიშობ,
ვაი თუ ღმერთმა სამაგიეროდ პასუხი მოგთხოვოს,
თორემ ჩემი უძლიური ძვლები დიდი ხანია რაც სი-
კვდილს ელიან და რაც მალე მოვრჩები ამ წუთი
სოფელს—მით უფრო კარგია...

თტია. მაშ არ იშლი და კიდევ უარზედა ხარ?
კეთილი. ჰეი, ყარაგიოზ! (შემოდის თურქი) წაიყვანე ეს
და აწამე!.. აწამე იქამდინ სანამ-კი შესაძლებელია.
ღმერთი არ გაგიწყრეს, არ მოჰკლა! ისე ნელ-ნელა
აწამე—თუ გინდ ასი წელიწადი, მაგრამ არ მოჰკლა
კია, რომ სიკვდილი ენატრებოდეს!..

ადამია. სიცოცხლე რა ხანია მომბეზრდა და
სიკვდილი მართლაც რომ მენატრება. მხოლოდ ერთ-

სა გთხოვ, ბატონო: თუ ქრისტიანე ხარ და სახალისებროვანების, ეს მოწყალება მიყავი უკანასკნელად: მღვდელი მომგვარე, რომ ვეზიარო!..

თტია. მე ვიქნები შენი მღვდელი, მე მეტყვი ალსარებას, მევე გაზიარებ!

ადამია. რა ვქნა, ღმერთი დიდია; ის ყველა-ფერს ხედავს... ბოლოს არ ინანო, ბატონო! ღმერთ-მა შეგინდოს და გაპატიოს!

თტია. მალე გაიყვანეთ! (ისმის მარინეს ხმა)

მარინ. ხმა (კულისებიდამ) გამიშვით.. უნდა ვნახო!

თტია. (წამოდგება და მიდის) წაიყვანეთ მალე და აწამეთ! (გადის)

ადამია. წავიდეთ... ღმერთო შენ მომხედე!.. (ამ დროს შემოდის მარინე)

IV.

ადამია და მარინე.

მარინე. (შემოდის აღშფოთებული) სად შივევხართ, მოიცა!.. ოტია სად არის?

ადამია. ქალბატონო, ნუ სწუხართ...

მარინე. არა, მე ეს არ შემიძლიან!.. როგორ იქნება!!.. როგორ, შენ უნდა გაწამონ, უმანკო, უცოდ-ველი კაცი? არა, მე არ შემიძლიან!..

ადამია. (ახლო მივა) ჩუმად იყავით, ღვთის გუ-დრამები და კომედიები. ვ. გუნია



ლისათვის. მე ყველაფერი ვიცი: გასაღებო უქვენ
მოიპარეთ და გაიოზს გადაეცით. მე ყველაფერი ვი-
ცი და ხმას ნუ ამოიღებთ, თორემ დაიღუპებით!..

მარინე. როგორ?.. მაშ შენ ჩემს მაგივრად უნ-
და დაიტანჯო?.. არა, ადამია; მე, მართალია, ცუდი
ვარ, მაგრამ არც ისე სულ-მდაბალი ვარ, რომ ჩე-
მი გულისათვის უმანკო ბერიყაცი ვაწამებინო!.. ეხ-
ლავე ოტიას ვეტყვი ყველაფერს!..

ადამია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ თქვენ გამოტყ-
დეთ! თქვენი სიცოცხლე საჭირო იქნება ძმისათვის...

მარინე. გაიოზი ახლა განთავისუფლებულია...
ის ეხლა შორს იქნება აქედგან...

ადამია. უბედურებაც ეგ არის, რომ საბრალო
თქვენი ძმა აქ არის. წუხელის დაიჭირეს თავის
მხლებლებითა... საკანშია ხელ-ფეხში ბორკილ გაყ-
რილი...

მარინე. (გაოცებული) როგორ, მართალს ამბობ?
გაიოზი საკანშია?!.

ადამია. დიალ საკანშია გაიოზიც, ჩემი გიორ-
გიც და ორმოცამდე რჩეული ბიჭები... ეხლა თქვენ
იცით, თუ რასმეს უშველით: ხვალ დილით ყველას
ჩამოახრჩობენ!..

მარინე. (შეკივლებს) რა სთქვი, ადამია!!.. ღმერ-
თო, ეს რა მესმის, რა მესმის!!.

ადამია. ამიტომ საჭიროა თქვენი თავი... ჩუ-

მაღ იყავით! კრინტიც არ დასძრათ ოტიასთან გა-
საღების შესახებ...

მარინე. ადამია, მაშ რა ვქნა, შენ რომ გაბრა-
ლებენ?!

ადამია. ნუ სწუხართ, ქალბატონო! მე მიკისრ-
ნია ჩემს თავს გასაღების მოპარვა... მე რა მიშავს!.. მე
კარგა ხანი მიცხოვრნია ქვეყანაზე... ჩემის სიკვდი-
ლით არავის არაფერი არ დააკლდება!.. თქვენ ნუ
სწუხართ, მე ფეხი უკვე სამარეში მიდგას და სულ
ერთი არ არის დღეს მოვკვდები თუ ხვალ!.. მე
მხოლოდ ერთსა გთხოვთ: ჩემს ბებერს მიხედეთ—
თქვენს გადიას... ის საცოდავი სულ გაგიუდება...
თუ ღმერთმა ინება და გიორგი ცოცხალი ნახოთ,
უთხარით, რომ უკანასკნელი ჩემი სურვილი იმაზე
ჩემი ლოცვა-კურთხევა იყო... მერე... მერე... ოტია-
საც უთხარით, რომ მე გამყიდველი არ ვიყავი, არ
ვიყავი მოღალატე... მაგრამ მაგას ჯერ ნუ ეტყვით.
თქვენ თქვენს ძმაზე, გაიოზზე სთხოვეთ; გაიოზი არ
დაჰკარგოთ!.. ჩვენი ქვეყნისთვის გაიოზი ძვირფასი
კაცია!.. მშვიდობით, ნუ სტირით, ნუ!.. მე არა მი-
შავს-რა... იყოს კურთხევა ღვთისა თქვენზე, ჩემს
გიორგზე, ყველა ქრისტიანეზე და ჩემს უბედურ
ქვეყანაზედაც... მშვიდობით... მშვიდობით!.. (გადის
საჩაროდ და უკან გაჰყვებიან ბიჭები.)

მარინე. (მარტო) ღმერთო, ეს რა ამბავია ჩემს
თავზე!.. რა საშინელი ყოფაა ჩემი ყოფა! არ შე-

მიძლიან რომ უმანკო ბერიკაცის სისხლი დათლებულია... როს... უნდა გამოვუტყდე ოტიას... ყველაფერი აეუხსნა!.. მე მომკლას... მე ვარ დამნაშავე... (მიღის) მაგრამ ჩემი ძმა გაიოზი რომ მოჰკლან?.. მერე როგორ ვუშველი?.. თუ შეგვიტყეს, ხომ სამნივეს დაგვხოცვენ... მეც, გაიოზსაც, ოტიასაც, ჩემს ოტიასა, ჩემს ლმერთს! მაშ რა ვქნა? რა ვქნა?.. (ისმის კულისებიდამ ადამიას კვნესა, მარინეს გააკანკალებს და დაიკივლებს) ოჭ, ოჭ, ოჭ... როგორ სტანჯავენ!.. ოჭ, თქვე ურჯულოებო, თქვე მტარვალნო, რას ჩადიხართ!.. არ შემიძლიან... გონება მერყევა... (ისმის კვნესა, მარინეც დაიკივლებს) ოჭ... ეს ის არის... ის... აღარ შემიძლიან!.. ოჭ, ლმერთო... ლმერთო... ლმერთო... (ამ სიტყვებს ჩუმად ლაპარაკობს და ულონობისაგან კედელს მიეყრდნობა, ამ დროს გაისმის ოტიას ხმა, მეორე ხმა უპასუხებს)

ოტიას ხმა. გამოტყდა?

მეთაუ ხმა. არაფერში არ გამოტყდა და მოკვდა კიდეც.
მარინე. (ნელა) მოჰკვდა... მოჰკვდა! (შემოდის ოტია)

V.

მარინე და ოტია.

ოტია. (დაინახავს მარინეს და მიეარდება) მარინე, რა დაგემართა? აქ რა გინდოდა, თავს რალათ იკლავ შედალოცვილო... წამოდი მარინე!..

მარინე. (კვნესით) ოჰ, ოტია, რაები ვნახე, რაები... ლამის გავგიუდე! ნუ თუ ჩემს ძმას, ჩემს გაიოზსაც ეგრე აწვალებენ?..

თტია. (გაოცებული) შენ რა იცი?!.

მარინე. ოტია, მე ყველაფერი ვიცი; ჩემი ძმა ოსმალებს საკანში ჰყავთ დამწყვდეული და ხვალ თავი უნდა გააგდებინონ!.. ოტია, ნუ თუ შენ შესძლებ ჩემი ძმის დალუპვას?.. არა, ეს შეუძლებელია, ეს ჯოჯოხეთის ცეცხლი და გენია იქნება!.. ოტია, მითხარ გამავონე რამე!..

თტია. (ცალიერად) მე მიკვირს ვინ მოჭორა, რომ შენი ძმა იქ იყოს; ოსმალებს რომ შეეპყროთ, განა მე არ მეცოდინებოდა?

მარინე. შენ კარგად იცი, რომ გაიოზი საკანშია დამწყვდეული, მაგრამ არ გინდა გამოტყდე; შენ მიმალავ, მაგრამ მე ყველაფერი ვიცი... ოტია, შენი ჭირიმე, შენ შემოვევლოს ჩემი თავი... ჩემო ლმერთო, ჩემო სიცოცხლევ, ნუ მომიკლავ ძმას... გაუშვით, გაანთავისუფლეთ!..

თტია. თუ მართლა დაჭერილია, მე ვეცდები რომ გაუშვან... კარგია, მარინე, გეყო ამდენი ტირილი... წამოდი, მოისვენე...

მარინე. არა, ოტია, არა! შენ სიტყვა მომეცი, მტკიცე სიტყვა, რომ გაიოზს არას დაუშავებთ. გაფიცებ რაც-კი ძვირფასი და წმინდა რამ გაბადია, მაჩუქე ჩემი ძმის სიცოცხლე!.. იმას რო რამე შეემოხვას,

მე ერთს წუთსაც არ ვაკოცხლებ ჩემს თავს...
ოტია, ჩემო ოტია!..

თტია. კარგია, ხომ გითხარ ვეცდები-მეთქი...

მარინე. ეცდები-კი არა, უსათოოდ გაანთავი-
სუფლე, გევედრები, გთხოვ!..

თტია. კარგია, გეყოფა...

მარინე. შენ თუ არ შეგიძლიან,— მე წავალ,
ფაშას ჩაუვარდები ფეხ ქვეშ, ცრემლით და კვნე-
სით დავიხსნი ჩემი ძმის თავს!..

თტია. ხომ არ გაგიუდი, რას ამბობ?

მარინე. ოლონდ ნუ მოკვლავთ და დაამწყვდიეთ
რამდენი ხანიც გინდათ. ხელ-ფეხში ბორკილი გაუ-
ყარეთ, ნუ ასმევთ, ნუ აჭმევთ, ოლონდ არ მოჰკლათ!..

თტია. მარინე, გული დაიმშვიდე!..

მარინე. აბა როგორ დავიმშვიდო გული, რო-
დესაც არას მეუბნები!.. ოტია, რად მინდა მე შენი
დიდება, შენი სიყვარული, თუ არ შეიწყნარებ ჩემს
თხოვნა-ვედრებას!.. (იჩოქებს და ხელებით ეპოტინება)

თტია.ოჳ, ღმერთო ჩემო, აკი გითხარ, რაც-კი
შემეძლება აგისრულებ-მეთქი... წამოდექ ზეზე! მე
ათასი საქმე მაქვს, გამიშვი-მეთქი!.. (წასვლა უნდა)

მარინე. (არ უშვებს, ფეხებში უვარდება და ჰქოცნის)
ოტია, ოტია, ჯერ ნუ წახვალ, ნუ! ღმერთო, გავ-
გიუდი, არ ვიცი რა ვქნა! რა ვსთხოვო!?. არ ვიცი
როგორ შეგავედრო იმისი თავი... (ეალერსება) ოტია,
შენ ხომ ღმერთი ხარ, შენ ხომ ყოვლის შემძლებე-



ლი ხარ! — მაშ მაჩუქე იმისი თავი!.. მაჩუქე შე, შენს
პატარა მაროს... მე ხომ გიყვარვარ?.. მე ხომ შენი
კარგი მარინე ვარ!.. ოტია, ოტია!.. (ქვითინებს)

თეტია. (გაჯავრებული) კმარა, მარინე, მე დრო
არა მაქვს, რაც გითხარ, — გითხარი (მიღის)

მარინე. (მისდევს.) ოტია, სად მიღიხარ, მოიცა,
მოიცა... ძმაო, გაიოზ... ღმერთო... მიშველეთ!
ოტია!.. (კარებთან დაეცემა გულ-შემოყრილი.).

ფარდა.

მოქმედება მეცნიერების მიზანისთვის

სურათი პირველი.

სცენა წარმოადგენს საკანს (საპყრობილე); იატაკზე მრავალი ტყვევებია ხელ-ფეხში ბორჯილი გაყრილები, ყველა ჩოხა ახალუხი გახდილები არიან, გაიოზი ქვაზედ ზის. ფარდის ახდის დროს ამბობენ სასულიერო გალობას, (ან რამე მწუხარე სიმღერას) რომელიც რავდენიმე ხნის შემდეგ ნელ-ნელა თავდება.

I.

გათავს. (დალონებული და ფერ-მიხდილი ქვაზე ზის) აპა, ესეც ჩემი იმედები, ესეც ჩემი ყმაწვილ-კაცობა?!.. ეს იყო რაღა ჩემი ბრძოლის სურვილი, გაუმაძლარ მტერთან გამკლავება?.. განქრა ოცნება, ჩემი გულის წადილი შავმა სამარემ შთანთქა! ხვალ გათენებისას მტერი ყველას თავს გაგვაგდებინებს!.. ლმერთო, სად არის შენი სამართალი?.. ნუ თუ მოითმენ ამოდენა უსამართლობას?.. ლმერთო, შენ კარგად უწყი, რომ ჩვენ შენის წმინდის რწმუნებისა და ჩვენი მრავლად ტანჯულ ქვეყნის დასაცველად ვებრძვით მტერსა!.. ლმერთო, ნუ თუ შენ ინებებ რომ ურჯულოებმა წაპილწონ შენი წმინდა ტაძრები და შენი საღიღებელი ეკკლესია-მონასტრები? (პაუზა, გა-

დახედავს ტყვეებს) ამოდენა ხალხის სისხლი ტყვილა-
უბრალოდ უნდა დაიღვაროს და ყველა ამათი ცო-
დო მე უნდა დამეღოს კისერზედ... მე წავაქეზე ესე-
ნი, მე წამოვასხი იქეთ! ყველანი ჩემს გულადობას
და პატიოსნებას ენდნენ და ერთ ხმად წამომყვნენ
მტრებზედ გასამარჯვებლად, და ეხლა აქ ჰყრიან და-
მწყვდეულები, ხელ-ფეხში ბორკილ გაყრილნი!..
ისე ჩ გვიგდო მტერმა ხელში, რომ არც ერთს არ
მოუსწვრია ქარქაშიდან ხმლის ამოღება!.. განთიად
ყველას უმოწყალო სიკვდილი მოგველის!.. ღმერთო!
ღმერთო! (სწუხს, მერე ერთბაშად წამოდგება გულ-მო-
სული) ოჟ, ნეტავ ვიცოდე, ვინ გაგვცა, ვინ გვიღა-
ლატა? ნუ თუ მარინემ მომატყუილა?!.. გასაღები
მომცა და მერე თავის საყვარელს შეატყობინა? არა,
ეგ დასაჯერებელი არ არის... რაც უნდა იყოს, ისე
არ გაბოროტდებოდა, რომ იუდასავით გავეყიდნე...
მაგრამ ვინ იცის? ადამიანის გული ხომ ძნელი გა-
მოცანაა... იი აქაც... თუმცა სიტყვაც არავის არ
წარმოუთქვამს, მაგრამ ყველას თვალებზე ვატყობ,
რომ ჩემზე ეჭვით ფიქრობენ და მოღალატედ ჩემი და
მარინე მიაჩნიათ... ლამის სირცხვოლმა გონება შემირ-
ყიოს, დამწვას, დამდაგოს!.. მაგრამ რა ვქნა, ვის შე-
ვებრძოლო? ამ ქვის კელდებს ხომ თავით ვერ შე-
ვამტვრევ, ტვინს ხომ ვერ შევასხამ და ისე-კი რას
ვაქნევ... რა შემიძლიან? (გამხეცებული დაშვება) ოჟ,
ლამის ბრაზებმა დამალრჩოს!.. (ქვითინებს)

ბებერი ტეგე. (თავს აიღებს) რა რიგად ჩრდილებული ბა ჩვენი პატარა ბატონი! საბრალო, ერთი დღეა რაც აქა ვართ და როგორ გახდა. ხმა ამოულებლივ იტანჯება და ლამის თავი მოიკლას?..

შირველი ტეგე. მაშ რა გვინია, ბაბუა?.. შენ გვინია, ძნელი არ არის ვაჟ-კაცისათვის უომრად მტერს დამორჩილდეს და თავი ნაჯახს გაუწვდინოს ბატყანსავით! აი ეს არის, ბაბუა, სადარდელი და სატირელი!..

ბებერი ტეგე. ეჭ, შვილო, რა გაეწყობა?.. ღმერთი მოწყალეა! იქნება გვეშველოს რამე...

შირველი ტეგე. ეჭ, რას ამბობ, ბაბუა, სიზ-მარში ხომ არა ხარ? აბა რამ გაფიქრებინა რომ აქედ-გან ცოცხლები გავალთ? არ გაიგე, რაც ოსმალმა გამოგვიცხადა? ხვალ დილით ყველას თავებს გაგვაყ-რევინებენ!..

ბებერი ტეგე. რა ვუყოთ, შვილო, რომ სთქვა!.. ღმერთი დიდია. მისი განგება განუზომელია. ისე ტყუილ-უბრალოდ არ გაგვაფუჭებს!..

შირ. ტეგე. ჩვენს საქმეში ღმერთს რა ბრალი აქვს, ბაბუა?..

ბებერი ტეგე. არა, შვილო, ღმერთს ეგრე ნუ ეხუმრები. მე შენ შვილის-შვილად მერგები, ამი-ტომ დამიჯერე რასაც გეტყვი: სულ ღმერთია— და-ილოცა მისი ხსენება!..

პირ. ტეჟა: ეხლა ჩვენ რომ ხვალ თავებს გა-
გვაყრევინებენ, მაშ ღმერთის ბრალი იქნება?

ბებერი ტეჟა. არა, შვილო, იმისი ბრალი-კი
არ იქნება, მაგრამ ღმერთი არ მიუშვებს იქამდინ
მტერს, ღმერთი დაგვიხსნის! აი, მე, შვილო, რავ-
დენჯერ ვყოფილვარ ტყვეთ ურჯულოების ხელში,
მაგრამ ყოველთვის ღმერთის წყალობით გადავრჩე-
ნილვარ, დღესაც, ხომ ხედავ, რომ ცოცხალი ვარ...
დღესაც ღმერთი დაგვიხსნის...

პირ. ტეჟა. ეჭ, ბაბუა, შენ დახსნას ელოდე,
მე-კი სიკვდილს მოველოდები.

ბებერი ტეჟა. კი, შვილო, სიკვდილს უნდა მო-
ელოდე. კაცი სიკვდილს ყოველთვის უნდა მოელო-
დეს და მზად უნდა იყოს. (ორივე ჩუმად ლაპარაკობენ.)

განთხა. (წამოიღებს თავს) რა მძიმედ მიდის
დრო, ყოველი წუთი საუკუნოდ გრძელდება. და-
მშვიდდი გულო... მალე, მალე მოესწრობი გან-
თიადს და საუკუნო განსვენებასაც!.. ეს ყოფილა,
ჩემო თავო, შენი შავბედითი-წერა და იყოს ნება
უფლისა... მე მზადა ვარ, უფალო, შენს წინაშე
წარვსდგე, მხოლოდ ჩემს ქვეყანას ეშველოს რამე...
მხოლოდ ჩემს მოსისხლე მტერს ოტიას და ჩვენს
დამლუპველს ოსმალოს ნუ გაახარებ! ღმერთო, ერთსა-
გთხოვ, ერთს გევედრები: ნუ ჩამატან თან საფლავში
ოტიას ჯავრს, მოსთხოვე სამაგიერო! თუ ჩემი გიორ-
გი ცოცხალი გაღურჩა მტერს, მაშინ გულ-დამშვი-

დებით გამოვესალმები ამ წუთი სოფელს... გიორგშა
აღთქმა მომცა, სადაც უნდა იყოს და როგორც უნ-
და იყოს, გულ-ლვიძლში გაუტარებ ხანჯალს შენი
ოჯახის შეურაცხმყოფსა და ქვეყნის გამყიდველს
ოტიასაო! მეც იმისი იმედი მაქვს. შენ მიეცი, ღმერ-
თო, გიორგს გამბედაობა და მკლავში ლონე ოტიას
შესამუსრავად! (გადახედავს ტყვებს) საწყლები როგორ
გაჩუმებულან, თითქოს არც-კი სუნთქავენო—ისე გაუ-
ნაბავთ სული! ძნელია, ძნელია სიკვდილი, მეტადრე
უბრძოლველად, ხმა ამოუღებლივი, ძალ-დატანე-
ბული სიკვდილი!..

ბებერა ტყვე. (აიღებს თავს და გაიოშს მიჰმართავს)
ბატონის შვილო, ნუ მოიწყენ ასე, თორემ ჩვენც
დავლონდით ძალიან; სულით არ დაეცე, რაც უნ-
და იყოს შენ ჩვენი წინამძლოლი ხარ ჭირშიც და
ლხინშიც... ყველა შენ შემოგუურებთ, შენი ჭირიმე.

გარეზ. აბა რა ვქნა, ბაბუა, ბარემ არ მინდა
მოწყენილი ვიყო, მაგრამ როცა გადავხედავ ამო-
დენა ხალხს, რომელთაც შეუბრალებელი სიკვდილი
მოელისთ, გული სისხლით მევსება და ცრემლის ნა-
კადულები მახრჩობენ.

ეგელანი. ფიქრი ნუ გაქვს, ჩვენთვის ნუ მო-
იწყენ!

ბებერა ტყვე. (პირველ ტყვეს) აბა, ჭაბუკო, შენ ბა-
ნი მითხარი... (დაიწყებს სიმღერას და სხვები ბანს აძლევენ.)

ნეტა რას ნაღვლობ, გაჟერო,

რას ჩაღვრემილხარ ძალზედა?

თავი ადღე გამსწევდი,

იფიქტე მომავალზედა!

შებდი ნუ შეგისტუსნაა,

ცრემლი ნუ მოგდის თვალზედა;

ხანჭალი გაპრიალე,

სეღი დაიდე ხმალზედა!

ნუ ასდევ ძალის სიმუხთლეს,

ბედის უკუღმა ტრიალსა,

დრო მოკა, ნახავ ჭარში

ჩვენი დროშების ფრიალსა!..

თოფ-ზარბაზანი იფეთქების,

ტუკა დაიწებს ბზრიალსა —

მტრის გული განადგურდება,

დღეს რომ გვიძახის ტიალსა!.. *)

(ან არა-და შეიძლება იმღერონ აი ეს ლექსი)

ცოტა კართ, მაგრამ კარგნი კართ,

კინტ-გია, ჟამილა ჩემია... .

ბეკრწელ უნახეს ქართვლის მტერს,

რომ ცოტაც ბეკრის მძღვება!

აჭა, მეტებ, თრი ბიჭი

მხრებში რომ ამომჯდომარ,

თრი ჩემი შეიღი არი,

*) ეს ლექსი შ. ზაყელს ეკუთვნის.

ერთი მეორის მჯობია!
 მიირთვი და ინაცვალე,
 ჩემს ქვეყანას მტღად დაუდე!
 იმშა, მევებ, განეცნებენ,
 რა ლომებს ჭრდის ქართველის ბუდე!
 შექმნიბე დიდი, პატარა,
 გაუძელ წინამძღოლება,
 მტერს წინ დახვდი, კინც უკადგეს,
 დედა შეერთოს ცოლება!... *)

სიმღერის დასრულებისათანავე შემოდიან ყარაოლლი და გიორგი.

II.

იგინივე ქართლდი და გიორგი.

ეართოდღი. რა გალრიალებთ, გიაურებო? როგორ მგლებივით ღმუით... ჩუმად!.. (მიუბრუნდება დარაჯს) შემოიყვანეთ ტყვე! (შემოჰყავთ გიორგი) აქ იყავ ამათთან და ხვალ დილით ყველას ერთად აგაბარგებთ საიქიოსკენ! (მიდის კარისაკენ) კარგად უგდეთ ყური, ფრთხილად იყავით, კარებს არ გასცილდეთ! (გადის) ეგეღანი. (გიორგის გარს ეხვევიან.) გიორგი, შენა ხარ?!...

*) თავ. ი. ჭავჭავაძის, მეფე დიმიტრი თავ-დადებულიდან.

გიორგი. დიალ, მე ვარ გიორგი და თქვენც
გწყალობდეთ წმინდა გიორგი!...

გაიოზ. (გაოცებული წამოდგება) გიორგი, შენა
ხარ? ღმერთო, ეს სიზმარი ხომ არ არის?!.. გიორგი,
ნუ თუ დაგიჭირეს, ნუ თუ მთლად დავიღუპე-
ნით?!...

გიორგი. ფიქრი ნუ გაქვს, ბატონი, როგორც
შენ დამარიგე ისე მოვიქეცი: გასაღები სპასალარს
ჩიქოვანს გარდავეცი და ყველაფერი ვუამბე, რაც
შეგემთხვათ!

გაიოზ. მერე შენ რა იცი?

გიორგი. ყველაფერი ვიცი...

გველანი. გვიამბე, გიორგი, გვიამბე!

გიორგი. დასხედით... თქვენ დამარიგეთ თუ არა,
მე მაშინათვე გავექანე სპასალარისაკენ... ჯერ კარ-
გად არ ვიყავი მოშორებული, როცა დაგინახეთ,
რომ თქვენ უეცრივ ჩასაფრებულ მტერს ჩაუვარდით
ხელში ყველანი. ის იყო ისევ გამოვბრუნდი უკან,
მაგრამ თქვენი შემეშინდა... მომაგონდა რაც დამა-
ვალეთ და, თუმცა გულმა ტოკვა დამიწყო, მაგრამ
მაინც სპასალარისაკენ გავექანე, მით უფრო, რომ
თქვენ და ოსმალები არ ჩხუბობდით. მოველ სპასა-
ლართან, გადავეცი გასაღები და ისიც ვუთხარ რაც
თქვენ შეგემთხვათ. სპასალარმა ძლიერ იწყინა და
გაჯავრდა; როგორ გაბედეთ და ერთი მუჭა ხალხი
მტერს გადაერიეთო?.. კიდევ ბევრი-რამ ილაპარა-

კა, მაგრამ მე შევაჩერე: გაიოზს და იმ ორმაცულადა
ათ კაცს თავს მოსჭრიან, თუ არ მივეშველეთ-მეთქი.
ეს რომ გაიგო, ძლიერ დალონდა... იფიქრა, იფიქრა და
ბოლოს სთქვა: რაც უნდა იყოს ორ დღეზე ადრე
ვერ მივეშველები, რადგან ჯარი ჯერ საკმაოდ არა
მყავს მომზადებულიო. ამაზე მე ანდაზით ვუპასუხე:
სანამ პეტრე მოვიდა—პავლეს ტყავი გააძრეს და თა-
ვიც მოსჭრეს-მეთქი. მაშ რა ვქნაო, მითხრა... მე რომ
სარდალი ვყოფილვიყავი, ეხლავ გავსწევდი, ჩვენებს
დავიხსნიდი და მტერსაც სულ ერთიანად ამოველეტ-
ლი-მეთქი. კიდევაც მიტომ არა ხარ სარდალი, რომ
სულელი ხარო, მიპასუხა სარდალმა...

გაითქ. მართალია, ჩვენი გულისათვის მთელი
ქვეყნის საქმეს ხომ არ გააფუჭებდა.

გიორგი. მეწყინა, მაგრამ რას ვიქმოდი. თუ
ასეა, მაშ მე ეხლავე უკან დავბრუნდები და სადაც
ისინი დაიხოცებიან მეც იქ მოვკვდები მეთქი! ეს შე-
ნი საქმეა და როგორც გერჩიოს ისე მოიქეციო,
ხოლო, რადგან მიდიხარ, გაიოზს უთხარი, რომ ორი
დღის განმავლობაში იქ ვიქნები-თქო ან დამარცხე-
ბული ან გამარჯვებული და ეცადოს, რომ ოსმალე-
ბი ამ ორის დღის განმავლობაში როგორმე მოარ-
ბილოს ხერხით ან რამე დაპირებით-თქო. მე მაში-
ნადვე გამოვექანე აქეთკენ, მაგრამ ვერსად ვერ მი-
ვუახლოვდი. გალავანზე დარაჯები იდგნენ, ყველა
თურქები იყვნენ. ბარე ათჯერ მესროლეს თოფი, მაგ-

რამ არც ერთი არ მომხვდა. მართლა, ან მე ჯადო-
სანი ვარ, ან არა-და იმათ თოფის დაჭერაც არ იციან;
ტყვიას მე-კი არა კამბეჩისაც ვერ მოარტყმენ!..

უგვიანი. (სიცილით) მერე, მერე, გიორგი?

გიორგი. აქეთ ვეცი, იქით ვეცი და ახლო
არსად არ მიშიშვეს!.. ბოლოს ვარჩიე, დალამდეს და
მაშინ უფრო გამიადვილდება-მეთქი და, მართლაც,
დაღამდა თუ არა, ერთს ადგილას მივადექი; არავინ
იყო; ავცოცლი ნელ-ნელა გალავანზე და, ის იყო,
აველი კიდევ ზევით, როცა უეცრად ერთმა თურქ-
მა სწორედ ტუჩზედ თოფის ტუჩი მომაღვა, ასე რომ
თოფი რო გავარდნილიყო, სწორედ შიგ შუა ყანყრა-
ტოში ტყვიას ყლაპს ვუზამდი!..

უგვიანი. (სიცილით) დახე იმ ურჯულოს! მერე,
მერე?

გიორგი. მერე-და, სწორედ გითხრათ, ცოტა
შემეშინდა, ტანში ქრუანტელმა დამიარა: ერთი ჭა-
ხანი და ოტიას დაემართოს ის რაც მე დამემართე-
ბოდა... სწორედ გადამაყლაპინებდა ის უწმინდური
ოსმალურს ტყვიას; მაგრამ გონს მალე მოველი:
რაც ძალა და ღონე მქონდა თოფის წვერს ხელი
ვკრაცე; თურქს, ალბალ, გაუკვირდა ჩემი საქციელი
და ისე გადაირია ის უბედური, რომ ჩახმახს თავი
დაანება და თავისაკენ გასწია თოფი. იმ უბედურს
თუ ეგონა, რომ თოფს წავართმევდი...

უგვიანი. (იცინან) მერე, მერე?..

გიორგი. მერე მეც ჩემსკენ მოვსწიე, იმანაც
დრამები და კომედიები. ვ. გუნია

თავისკენ — ხან ის ეწეოდა და ხან მე... ასე კარგა ხანს ვეწეოდით თოფს ერთმანერთისაკენ, თითქოს ვაჯავრებდით ერთმანეთს — ვინ უფრო ლონიერიაო... ბოლოს ორივეს მოგვწყინდა, დაგვლალა კიდეც ამ თამაშობამ, შევხედეთ ერთმანერთს და გიუებივით გადვიხარხარეთ. იმან ოსმალრუად და მე კიდევ ჩვენებურად დავიწყეთ სიცილი!.. გაველაპარაკე, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე იმ დალუპულსა!.. აბა რა ხალხია, თქვენი ჭირიმეთ, ის ხალხი ჩვენებური ენა რომ არ იცის!..

უველანი. (სიცილით) ანასინი იმათ საქმეს! მერე?..

გიორგი. მერე მიხვდა ის უბედური. მომკიდა ხელი და წამიყვანა ჯარის უფროსთან. იქ მკითხეს: სად იყავი და რა გინდაო. მე ვუპასუხე: დღეს დილით ჩვენები რომ დაიჭირეთ იმათი ამხანავი ვარ, შიშით დავიმალე ბუჩქებში, გაქცევას ვაპირებდი, მაგრამ ვერსად ვერ გავეძეცი თქვენს დარაჯებს და ეხლა იქ წამიყვანეთ, სადაც ჩემები არიან-მეთქი. ლმერთმა გზა დაგილოცოსო და აქეთ-კი მიკრეს თავი... და აი ეხლა თქვენთანა ვარ!..

უველანი. ყოჩალ, გიორგი, ყოჩალ!

გაიოზე. მართლა ყოჩალად მოქცეულხარ, მაგრამ რად მოდიოდი აქა? ის არ გერჩივნა იქ ყოფილიყვი და ოსმალებს გამკლავებოდი?..

გიორგი. ეჭ, ბატონო! ერთხელ რაცა ვსთქვი, გადაწყვეტილი ვსთქვი... სადაც თქვენ იქაც მე...

პირ. ტეგე. თავს რომ მოგჭრიან?

გიორგი. მაშ, შე დალოცვილო, შებლში ხომ არ მაკოცებენ... ეჭ, რაც მოგვივა მოგვივიდეს. (მწუხა-რედ.) მე მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს. ჩემი მოხუ-ცებული დედ-მამა ვერ აიტანენ ჩემ სიკვდილს...

განთზ. ღიღი სულელობა მოგივიდა, რომ აქ მოხვედი... შენ აქ ვერაფერს ვერ გვიშველი და იქ-კი გამოადგებოდი... (დალონდება)

გიორგი. ბარებ ეხლა მეც ვხედავ, რომ სისუ-ლელე ჩავიდინე, მაგრამ ეხლა რაღა გაეწყობა?.. აქ რომ სიხარულით შემომიყვანეს, განა აქედანაც ისე ადვილად გამომიშვებენ...

ბებერი ტეგე. ფიქრი ნუ გაქვს, შვილო, ღმერ-თი ღიღია, ის დაგვიხსნის...

გიორგი. ეჭ, ბაბუა, შენ სულ დახსნის იმედი გაქვს... შენა თავი კისერს რომ მოგაშორონ, ვგო-ნებ, მაშინაც იმედი არ დაკარგო გამოხსნისა. (იცინიან)

ბებერი ტეგე. კარგი ხასიათი გაქვს, მე-და-ჩემ-მა ღმერთმა, მხიარული ხარ.

გიორგი. მაშ რა ვქნა, ბაბუა, ბევრიც რომ ვიტირო, რას ვუშველი? ეს სიცილი მაინც ჩამყვება საფლავში...

პირ. ტეგე. რა დროს სიცილია, კაცო, რა ეშმაკი გაცინებს ამ დროსა?..

გიორგი. რა უდროვო დრო არის. / თუ შენ

ესე ძლიერ გეშინიან სიკვდილისა — მე გასწავლი, რით
აიცილო სიკვდილი!..

ეგედანი. აბა სთქვი, თსქვი!

გიორგი. ექე, აქ ბევრი ყოფილა სიცოცხლის
მონატრე... აი თქვე, ლაჩრებო!.. ბიჭო-და, თუ
მართლა, სიცოცხლე მასე შეგყვარებიათ, რომ გმი-
რული სიკვდილი გეძნელებათ, აიღეთ და შეეხვე-
წეთ ფაშას და ის გაპატიებთ ცველას.

ეგედანი. როგორ?

გიორგი. როგორ და ასე: სთხოვეთ რჯულს
გამოვიცვლით, თუ არ დაგვსჯი-თქო.

ბებერი ტეგა. უმალ დედა-მიწა გაგვისკდეს და
თან ჩაგვიტანოს, ვინემ რჯულს გამოვიცვლიდეთ!..

ეგედანი. ამინ!

გიორგი. (მზიარულად) ამინ და კირიელებისონიც!..
მაშ სჯობიან ისევ მხიარულად ვიყოთ! ხომ იცით,
„შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დალრეჯილო-
ბა“!.. ხომ არ დაგავიწყდათ ჩვენ რომ ხშირად ვმდე-
როდით: „ერთს დღეს ვართ დაბადებულნი, ერთს
დღესვე დავიხოცებით“, აბა, ბაბუა, ერთი სიმღერა
სთქვი! სიმღერა!.. შენებური-ძველებური! (მღერიან
ჟველანი მხიარულ და გმირულ კილოზე)

ძაღავ, სიკვდილად ხმობილო,
თავი რომ გაიგავს ხევდასა,
სამშობლოს ხელი გაუშვი,
თორუემ გიტირებ დედასა!..

გონ არეული, შემდიღი
სეკდა-ბოლმების ნისლითა,
გეფხვივით შეა გაგაპობ,
გაკმდები შენის სისხლითა!

სულ დაგაკიწუებ ერთიან
მიკიბ მოკიბულ შარებსა,
ქვა-ლოდით ამოგიქოდავ
შევის სამარის გარებსა!..

ძლავ, სიკედილად სმობილო
თავი რომ გიგავს სკედასა,
სამშობლოს სელი გაუშვა,
თორებ გიტირებ დედასა!... *)

(ან მეორე ლექსი)

გზა დამიღორე, დედილო,
გაჟერცსა დედა-შვილურად,
ღმერთს შემაკედორე, რომ მამულს
გამოკდგომოდე გმირულად.
ნუ იღრუბლები სატირლად
და ნუ გემღვრება გულია;
იმისიც კმარა ტირილი
და ცრემლის ნაკადულია!
უთხარ ნუ ნაღვლობს, ნუ სტირის,
ი ჩემი გულის მკვლელია!
უნდა გადახდეს გაუკაცსა,

დედა, რაც სალოდნელია!

სისხლი სისხლს ითხოვს, დედილო,—

მამული კიდევ სხვა არი; —

გერ შემაფერხებ ცრემლებით,

გაჟირის გული ზღვა არი!..

დედა, თუ მოკეკდე ბრძოლის გელი,

გამგმიროს მცრისა ტუკიძა,

ისე მიიღე, ჩასითგალე,

რომ კითომ შენცა გეამა!..

ტირილს არ მოჰუკე საჭაროდ,

არ გაიშალო გავები,

არც გლოვა იწუო ჩემზედა

და არც ჩაიცვა შევები!.. *)

(ან კიდევ ეს ლექსი)

შესმად შემერგოს დედის რძე,

შესმად მომედოს პირზედა,

ჭიერანამ გამათახსიროს

ცა დედა-მიწის პირზედა;

ბრაზედ გადმექცეს ამაგი

ჩემი შმობელი დედისა,

იღბის დღეში ჩავრდე,

მომჩინე გავხდე ბედისა,—

თუ სისხლში ჭდომა კარჩიო,

თდეს ხმა მქამის მტერისა;
 თუ მოსაწილე არ გაეხდე
 სამშობლოს ბედის-წერისა!
 თუ მტერს დაკუთმო ალამი,
 დროშა მომმეთა კარისა —
 გვირგვინი პატიოსნების,
 დიდება მოედის ერისა!.. *)

(სიმღერის ბოლოს შემოდის თურქი მათრახით)

III.

იგინივე და თურქი.

თურქი. კიდევ ლრიალებთ, რა ლმერთი გაგიწყ-
 რათ? რამ აგაყეფათ, გიაურებო?..

გითარგი. ჰეი, რას იგინები? გიაურიც შენა ხარ
 და ლონლუზიც! შე ურჯულო, შენ რა გენალვლე-
 ბა ჩვენ რომ ვიმღეროთ?..

თურქი. შენ თუ კეუა გაქვს ჩუმალ იყავ, თო-
 რემ ტყავს გაგაძრობ!..

გითარგი. (დაცინვით) არა, ნუ იტყვი. წალი დ შენს
 მაჭმალს დაეკვეხე, რაც მე შენ ტყავი გამაძრო... არა,

*) ცველა ეს ლექსები შ. ზაყელს ეკუთვნის.

ძმაო თავის მოქრის უფლება-კი გაქვს, მაგრამ ცუავენა
სა-კი რა მოგახსენო. არა, შე წუწეო, ტყავს რომ
მაძრობ, ქალამნად გამოგადგება ჩემი ტყავი, თუ კი-
დევ წუღებად?..

თურქი. თითონ ნახამ რადაც გამოვიყენებ.

გიორგი. შე სულელო, ჩემს ტყავს დონლუზი-
სა არ გირჩევნია, ტყავს ქალამნად გამოიყენებ და
თავს კიდევ მაჰმადს მიართმევ ძლევნად და საკურთხად!..

თურქი. (მათრახს მოუქნევს.) ჩუმად იყავ, გიაუ-
რო, თორემ მე ვიცი შენი?..

გიორგი. (შეუტევს) დაიკარგე, თორემ იქ შე-
გაძვრენ სადაც არ გეგონოს... გასწი თორემ ეხლა-
ვე ლორის ხორცს შეგაჭმევ! (ახალუხის ტოტიდან ლორის
ყურს აკეთებს და გოჭივით ჭყვივის. თურქი გარბის, გიორგი
უკან მისდევს სიცილით, ვეღანი ხარხარებენ)

ბებერი ტეგე. კარგად-კი გააქცუნე, მე და ჩემ-
მა ღმერთმა!

გიორგი. მაშ როგორ გეგონა. მე ვიცი მაგა-
თი წამალი, ოსმალოს ანტიქრისტესი არ ეშინიან
ისრე, როგორც ლორისა!.. (ყველანი იცინია.)

გამოზ. კარგია, გეყოფათ ხუმრობაც, საცაა გა-
თენდება და დაპირავს უკანასკნელი უამი ჩვენის სი-
ცოცხლისა. ღმერთს შევავედროთ ჩვენი თავი, ჩვე-
ნი ერი და ქვეყანა... (დაიჩოქებს, ყველანი დაიჩოქებენ)
ღმერთო ძლიერო, გვაპატიე შეცოდებანი ჩვენნა და

მიგვიღე წიალთა შენთა. ყოვლად შემძლებულია,
შენ უპატრონე ჩვენს ტანჯულს ქვეყანას! ნუ მის-
ცემ ულირსთა ხელთ შენს მართლ მორწმუნე სა-
ქრისტიანოს!..

უგელანი. ამინ! (ყველანი მღერიან სასულიერო გა-
ლობას.)

შენ შემოქმედო, შენ გააჭ,
აქევაკდეს ჩვენი მხარეო,
აწ უძღვრს უთხარ: „აღზდეგინ,
დასტები და გაიხარეო“!..
მღიერს დაჭკვილე: „ბეწავი,
ქმა, ნუდარ გაამწარეო,
თავიანთ სარჩო-საბადი
თვითონკე მოახმარეო“!..
ოღონდაც ჩვენი ქასება
კეთილზე დაამჟარეო—
და მაშინ თუნდა იმ წუთში
გულს მიწა მოგვაფარეო!..*)

გალობა ნელ-ნელა თავდება. ერთმანერთს გადაჰკოცნიან და
იატაკზე მიწვებიან, ყველას ეძინება. სრული სიწუმეა. პაუზა.

*) ეს ლექსი აღ. ყაზბეგს კუთვნის.

IV.

იგინიგე და მარინე.

(შემოდის მარინე ოსმალურს ტანისამოსში. ხანჯალ ამოღებულ, ხელით რაღაც განვეული მოაქვს, რომელსაც კუთხეში დასდებს. ეს სცენა ჩუმად მიდის.)

მარინე. (კრძალვით. ხანჯალი ამოღებული აქვს) აჰ, ძლივს მოვალწიე. ღმერთო, რა რიგად ბნელა... არ შემიტყონ-კია. (უკან იხედება) ნეტა ვიცოდე, გაიოზი სად არის?.. (ქვისკენ მიდის) ერთი შეცდომა და ყველაფერი დაილუპება... სად არის?.. როგორ გავარჩიო... აჰა, მგონია, ეს არის... ეტყობა სძინავს... გაიოზ, გაიოზ, გაიოზ!..

გაიოზ. (წამოვარდება და ხელს სტაცებს) აჰ, მკლელო, რა გინდა ჩემგან?

მარინე. გაიოზ, ვერ მიტან? გაიოზ, ძმაო!..

გაიოზ. მარო, მარინე!.. ღმერთო!.. შენა ხარ?..

მარინე. დრალ, მე ვარ... საცაა ვათენდება და თქვენ ყველას ჩამოვახრჩობენ...

გაიოზ. (მწარეო) მერე შენ რა გინდა? შენ რად მოხველ? გინდა კიდევ მიღალატო? კიდევ მომიწამლო უკანასკნელი წუთები?..

მარინე. გაიოზ, მე არაფერში არა ვარ დამნაშავე. მე მოველ რომ ყველა გაგანთავისუფლოთ

აქედგან. აი ძაფი, ამ ძაფით თოკი ჩამოეშვება ახლავე. აქედან თოკით ახვალთ ზევით და იქიდან გალავანზეა გზა და მერე თქვენ იცით!..

გარიბე. (გახარებული) მართლა?!. მარო, ჩემო მხსნელო! (ტყვეთ) წამოდექით ზეზე! ჩუმად! (წამოდგებიან ყველანი ზეზე ბორკილის ჩხრიალით.)

მარინე. (ტანისამოსს იხსნის) აჲა ქლიბები, ყველამ ბორკილები დაიმტვრიეთ! აი, აგერ ხმალ-ხანჯლებიც მოვიტანე და თოფებიც... ეცადეთ ხმაურობა არ იყოს, თორემ დარღუპებით. დარაჯებს სძინავთ; ჩუმად, ჩუმად, ნუ ხმაურობთ. (ყველანი ბორკილებს ამტვრევნ.)

ეველანი. მარინე, ჩვენო მხსნელო! კურთხეულიყავ!

გარიბე. აბა ბიჭებო, ჩუმად და მარდათ იყავით. მალე დაამსხვრიეთ ბორკილები... ღმერთმა მოგვხედა,—ღმერთო, შენით ვართ ცოცხლები, შენით ვართ დაიმედოვნებულნი...

მარინე. (ძაფს ხელს ჰყიდებს) აი, თოკიც ჩამოვსწიე... (ჩამოვა სხვილი თოკი) ჩუმად!

გარიბე. ჩუმად! (ყველანი სულს განაბავენ) ნელა, ნელა და მარდათ... მარო, მერე შენ როგორ შემოხველ? როგორ მოახერხე ეს ყველაფერი?

მარინე. თვითონაც არ ვიცი, როგორ მოვახერხე, ეს-კი ვიცი რომ თქვენ ყველას ჩამოხტობას.

გიპირებდენ და მეტი ალარა მახსოვეს-რა! ალმაზდუშებ-
მა მომაქმედინა ყველა ეს... მთელი დღე გრუსავით
ვიყავი!

გაითა. არავინ გშველის? კიდევ არ ჩავარდეთ
განსაცდელში! (ანტვრევს ბორკილს)

მარინე. როგორ არა, გიორგის დედა, გადია
მშველის. დაეჩქარეთ და არა გიჭირთ-რა; რა დაგე-
მართა, ვერ მორჩი აქამდინ?

გაითა. (ოხვრით) ოჰ, ღმერთო, რა დაუძლუ-
რებული ვარ. ეს რკინაც ჩემი წინააღმდეგია! (ანტვ-
რევს და ვერ სილევს)

გიორგი. (გაათავებს თავის საქმეს და გაიოზს ეხმარება.)
მოიცა; მე მომეცი... აჸა, (ქლიბაჟი) საცაა დაიმტვრე-
ვა, კიდევ ცოტაც... კიდევ... აჸა, გათავდა! (ანტვრევს)

გაითა. (ამოიხსრებს) გმადლობ შენ უფალო!
აბა, ბიჭებო, ფრთხილად იყავით, ნუ აჩქარდებით,
რიგი პირველი საქმეა... ყველანი მოვასწრობთ გა-
სვლას... პირველი მე ავალ, პირველი ტყვიას მე მი-
უშვერ გულსა, მერე თითო-თითოთ თქვენც მომყე-
ვით!.. მარო, შენც ხომ ჩვენთან მოდიხარ?

მარინე. არა, ძმაო, მე აქ დავრჩები!

გაითა. როგორ? რას ამბობ? რომ შეგიტყონ
ხომ მოგკლავენ?

მარინე. შენ შენი საქმე ჰქენი. ჩემთვის ნუ
ჰფიქრობ, რაც უნდა დამემართოს—შენი ჭირის სა-
ნაცვლო იყოს!

**გაითა. არა, მე არ გიყაბულებ, შენ რომ აქ
დარჩე!..**

ეგეღანი. ჩვენთან წამოდი, ჩვენთან!..

**მარინე. ტყვილად ნუ სცდებით, დრო გარბის,
მე არ წამოვალ! აბა ძმაო გასწი! მშვიდობით! (ტი-
რის და ეხვევა)**

**გაითა. (ეხვევა ტირილით) მშვიდობით, მარო!
მშვიდობით დაო! (ყველა ეთხოვება მაროს და ხელს ჰკოც-
ნიან) აბა, ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!.. მარო, იმედი
გქონდეს... ჩვენ კიდევ ვნახავთ ერთმანერთსა... მშვი-
დობით! (ადის თოკით, მერე სხვებიც გაჰყვებიან მას.)**

ვარდა.

სურათი მიორი.

სცენა წარმოადგენს დარბაზს ოტიას სახლში, მდიდრულად მორთული, შუაში კარები. გათენების დროა.

I.

ფაშა და ჭანგერდი სხედან ტახტზედ.

ფაშა. მე შენ გეტყვი, ბევრი ქალები მინახავს, მაგრამ მაგისთანა არათერი არა შემხვედრია-რა. ისე ყოვლად სრული ჭილავსე ვნებითა და სიყვარულითა, სწორედ გითხრა, არც-კი მოიპოვება ქვეყანაზედ!

ჭანგერდი. მერე თქვენ რომ ქალების ფასი იცით, ფაშა ეფენდი!..

ფაშა. ჰო, დიალ, საჭმეც ეგ არის რომ ვიცი! მერე, ისიც უნდა იცოდე, რა ნაირად ვნახე! არ ვიცი, სხვებს როგორ მოსდით თვალში, მაგრამ, ჩემის აზრით, ისე მშვენიერი და ლამაზი არასოდეს არ არის ქალი, როდესაც გთხოვს რასმე, რაცა გევედრება და თვალებში ცრემლები მოსდის... ოჲ, მაშინ არის ქალი ლამაზი და მომჯადოებელი!..

ჭანგერდი. მერე ცრემლით გევედრებოდათ, მარინე?

ფაშა. მევედრებოდა და აგრე! ფეხ-ქვეშ მეგებო-

და და ხალათის კალთებზე მეამბორებოდა... ცუკი
ლით და კვნესით მეხვეწებოდა, ოლონდ ჩემი ძმა
გაიოზი დაიხსენი და როგორც გინდა ისე მიმსახუ-
რეო... სწორედ გითხრა, თავს ძლივსლა ვიმაგრებდი,
ვნებათა ალმა მთლად გამოშაბრუა... მაგრამ შიში,
ეგ ადამიანის შემხუთველი, მაჩერებდა და ვერაფერი
გავტედე!

ჯანგერდი. ვინ რას გაიგებდა, მეტადრე მაშინ
შეა ღამეს გაცილებული იყო...

ფაშა. დიალ, ეხლა მეც ვნანობ, მაგრამ გვიან-
და არის... განა არ შემეძლო სიტყვა მიმეცა და
ალარ შემესრულებინა... დიალ, არც ოტია გაიგებ-
და რასმე... თვითონ ხომ არ ეტყოდა... ძლიერ,
ძლიერ დავაშავე!.. უნდა იცოდე, ჯანვერდი, რა და-
მემართა, ის რომ ჩემი სახლის კარს გასცილდა! რო-
გორც გიჟი, როგორც ნადირი უკან გამოვუდექ,
ვსტაცე ხელი, და, ის იყო, ძალად მომყვანდა, მაგ-
რამ ამ დროს საიდამლაც ამოიძრო პატარა ხანჯალი
და კინაღამ გულში დამცა!.. პო, რა მშვენიერი, რა
გონების წარმტაცებელი იყო მაშინაც!.. მე უეცრივ
ხელი გაუშვი და ის-კი გაიქცა, და თან წარიტაცა ჩემი
მოსვენება!.. მთელი ღამე არ დამიძინია... სულ ის მიღ-
გას თვალწინ, სულ ის მებლანდება!... (შემოდის ოტია)

II.

იგინივე და ოტია.

ოტია. დილა მშვიდობისა ფაშა ეფენდი! ესე
ადრე რად გარჯილხართ... მე ეს არის ეხლა გალავ-
ნიდამ მოვდივარ, სადაც დარაჯებს ვათვალიერებდი.

ფაშა. მეტად საქებია, ოტია, რომ ასე ბეჭი-
თად ეკიდები ჩვენ საერთო საქმეს. მე ასე ადრე
იმიტომ წამოვდექი, რომ დღეს დანიშნულია ტუე-
ების დასჯა.

ოტია. დიალ, საკაა უნდა შეუდგეთ ამ სამძიმო
საქმეს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე საშინლად მე-
ძნელება ამდენი კაცის სისხლის დაღვრა...

ფაშა. თუ მძიმედ მიგაჩნია—ძალას ვინ გატანს...
ჩემთვის სულ ერთია—გინდა დასაჯონ, გინდ ისევ ცი-
ხეში იყვნენ.

ჯანგერდი. მართლა, არც მე მგონია, რომ ასე
საჭირო იყოს მათი სიკვდილი, იქნება ამით უარესად
გავამწაროთ მტრები.

ოტია. მაგას რადა ბრძანებთ. ყველა ჩვენი
მოსისხლე მტერია და ვინც უნდა იყოს უნდა მო-
ვიშოროთ.

ფაშა. მეც მაგ აზრისა ვარ, უნდა მოვიშოროთ.
დეე, ისევ საკანში ეყარნენ, ხომ არას დაგვაკლებენ!

თტია. საქმით და კლებით ვერაფერს დაგვაკ-
ლებენ, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამო-
დენა ხალხს ჭამა-სმა უნდა და ჩვენ-კი ჩვენი ჯარის
საკვებავიც არა გვაქვს და თუ ერთს კვირას გვეყო
და იოლად წაველით, სწორედ, დიდი ბეღნიერება
იქნება!..

ფაშა. მაშ, რა გაეწყობა, უნდა ყველანი დავხო-
ცოთ... (გვერდზე) რა ბოროტია, მაინც თავისას არ
იშლის! (ოტიას) შენი მარინე რას იტყვის გაიოზის
სიკვდილზე?

თტია. მარინემ რაც უნდა სთქვას; აქ საქმე
მარინე-კი არ არის, არამედ რასაც ჩვენი საჭიროე-
ბა და სარგებლობა გვიბრძანებს, ისე უნდა მოვიქ-
ცეთ. მით უფრო, ფაშა ეფენდი, რომ დღეს, რო-
გორც დავატყე, მეგრელთ ჯარები რაღასაც-კი აპი-
რებენ. წარმოიდგინეთ, ჩიჩუას და ხეციას ჯარები
სამხრეთიდგან აბარგებულან და ჩიქოვანი—სპასალა-
რის ჯარი-კი სულ ერთი თოფის გასროლის სიშო-
რეზეა... მერწმუნეთ, რომ ეს კარგის მომასწავებელი
არ არის....

ფაშა. (შეშინებული) მართლა-და, რატომ აქაშ-
დის არაფერი სთქვი! აბა ერთი წავიდეთ და ჩვენც
ვნახოთ!.. (ადგება, ამ დროს შემოდის ყარაოლლი.)

III.

იგინიგე და უარაოდღი, მერე თურქი და ბოლოს ბიჭი.

უარაოდღი. მადლობა ღმერთს, რომ ყველას აქა გხედავთ; ფაშა ეფენდი, ჩვენი საქმე ცუდად არის... მეგრელთ ჯარი აქეთ მოდის ერთად შეერთებული გალავნის კარებისკენ!

უვლანი. (შეშინებულნი) მართლა?!!

უარაოდღი. დიალ, ბატონებო, ჩვენც უნდა რა-მე ლონე მოვილოთ, თორემ თაგვებივით იმოგვწყვე-ტენ ხაფანგში. მე უკვე ბრძანება გავეცი ჩვენს ჯა-რებს, რომ საომრად მოემზადნენ.

თურთა. ძალიან კარგიდ მოქცეულხართ. მე თუმ-ცა იმედი მაქვს, რომ არაფერი არ გაგვიჭირდება, მაგრამ მაინც, მომზადებული რომ ვიყოთ, უმჯო-ბესია.

ფაშა. აბა წავიდეთ, ჩვენც დავხედოთ რა ამ-ბავია...

თურთა. ნუ გეშინიანთ, ფაშა ეფენდი! მე ვიცი, რასაც ვუზამ იმათ, ეხლავე ტყვეების თავებს გადვუ-გორებ გალავნიდამ...

ფაშა. ჰო, ეს, მართლა, სწორედ დროზედ მოსწრებული იქნება... აბა წავიდეთ! (გასვლას აპი-რებენ, ამ დროს შემოდის თურქი.)

თურქი. დიდებულო ფაშა ეფენდი, მტერი გა-ლავანს მოადგა!..

ფაშა. ვეპ!.. მაჰვალია ჩვენი შემწე! წავიდეთ
მალე... (ისმის თოვფის სრულა) ვგონებ ომი კიდეც და-
იწყეს!.. (გადიან ყველანი ოტიას გარდა)

თრია. (მარტო) ბედო ჩემო, ნუ თუ ამ უკანასკ-
ნელ წუთს არ გამიტან და მიღალატებ?.. აქამდინ
მე და შენ, ბედო ჩემო, მეგობრულად მივდიოდით
დიდებისაკენ და ნუ თუ ეხლა მიმუხთლებ?.. არა,
არა, ამდენი ტანჯვისა, დამცირებისა და მსხვერპლის
შემდევ დიდი უსამართლობა იქნებოდა ჩემი საქმის წა-
გება... ოჭ, ოტია, არ შედრკე, არ შეშინდე!.. გასწი
წინ, როგორც აქამდინ გივლია!.. ჰეი, ბიჭო! (შემოდის
ბიჭი) ეხლავე უბრძანე ჯალათს ყველა ტყვეები სა-
კანიდამ გამოიყანოს მოედანზე, მეც ეხლავე მო-
ვალ! (ბიჭი გადის) ოჭ, ჩემო ვარსკვლავო, ოლონდ
შენ არ მიმტყუნო და სხვა არაფრისა არ მეშინიან...
ყველაფერს მივაღწიე... დიდებას, სიმღიღრეს, სიყვა-
რულს, ბრწყინვალებას; მარინეს, ჩემს მარინეს ვუყვარ-
ვარ და ნუ თუ ეხლა რამე წინ გადამეღობება? არა,
არა! შორს სისუსტევ!.. (ააკანკალებს უეცრად) ეს რა
მომდის? ეს რა ამბავია ჩემს თავზე!.. (უეცრივ შეჰერ-
ლებს და უკან-უკან იწევა.) ეეჭ, აღამია!.. შენ რას მეჩ-
ვენები... შენ აკი მოკვდი!.. იქით... შორს, შორს ჩემ-
გან!.. (დაეშვება სკამზე და თვალებზედ ხელებს იფარებს,
მერე ნელ-ნელა იხედება.) განქრა ჩვენება... ძლივს...
გმაღლობ შენ, უფალო!.. (მიღის კარებისეკენ. უეცრივ
შეჰერლებს და უკან იწევს) აღამია, რას ჩამაცივდი, შორს
ჩემგან!.. (შემოდის ბიჭი)

ბიჭი. ბატონო, ყველა ტყვეები გაქცეულან; საკანი ცარიელია!

თურა. (გაოცებული) რაო?!.. ხომ არ გავიუდი?!.. რას ამბობ? გაიმეორე!

ბიჭი. ტყვეები გაქცეულან; საკანი ცარიელია!

თურა. ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია? რა მე-
მართება? ხომ არ გავგიუდი? სიზმარში ხომ არა ვარ!
ბიჭო! როგორ... ვის შეეძლო გაქცევა?!.. ვინ გა-
უშვა?!.. ვინ მიღალატა?.. ბიჭო! როგორ გაქცეუ-
ლან?

ბიჭი. ზევიდგან თოკი ჩამოუშვიათ და თოკით
ასულან კერზე.

თურა. მერე ვინ გვიღალატა? ვინ არის ჩვენი
დამღუპავი?

ბიჭი. შიგ ციხეში მხოლოდ გულ-შემოყრილი
ქალი უპოვნიათ!

თურა. ოჰ, ოჰ! (ჰკვნესის ბრაზებისაგან) გადი, გა-
ეთრიე! (მიჸი მიღის) მოიცა! (ბიჭი ბრუნდება) ვერსად
ვერ გამექცევიან! ეხლავე დაადევნეთ ცხენოსნები!
ისინი ჯერ გალავანს არ იქნებიან გაცილებულნი!..
ეხლავე, ამ წუთაში უკან გამოუდექით!.. ეჭვი არ
არის, კიდევ მოვასწრობთ! გასწი!.. (ბიჭი გარბის) ნე-
ტა ვიცოდე, ვინ არის ჩემი მოღალატე? ოჰ, რო-
გორ დავსჯი, როგორ ვაწვალებ, თუ ხელში ჩავიგ-
დე!.. (ისმის საშინელი ყვირილი და კივილი... სცენაზე შემოვარ-
დება მარინე თმა გაწეწილი, თითქოს ვიღასაც ექცევა და კი-
ვილით ჩაუვარდება ოტიას ხელში.)

IV.

ოტია, მარინე და მერე ყარაოდღი, ბოლოს ბიჭი.

მარინე. ოტია, მიშველე, მიშველე! ოსმალები მოსაკლავად მომდევენ!

ოტია. (გაოცებული) მარინე, რა მოგდის?!.. გონს მოდი! ვინ ოსმალები, რას ამბობ?

მარინე. ოპ, ოტია, ჩემო ღმერთო!.. შენ... შენ დამიტარე ურჯულოთაგან... მოსაკლავად მოდიან. ოტია, ჩემო სიცოცხლევ... შენც მოგკლავენ, გაუფრთხილდი!.. გავიქცეთ, თავს უშველოთ!..

ოტია. (არაფერი ესმის) მარინე გონს მოდი! რა გემართება, შე უბედურო! შენ ვინ გაგიბედავს ხელის შეხებას? მე აქ არა ვარ შენი ოტია!?! (ამ დროს ისმის ყარაოლლის ხმა)

ყარაოდღის ხმა. აქ შევიდა ის მოლალატე! აქ ორის, დაატყვევეთ!.. მოჰკალით! (თითონაც გამოჩნდება ხმალ ამოლებული)

მარინე. (იფარავს ოტიას.) არა, ურჯულოვ, არ მოგაკვლევინებ! ჯერ მე მოჰკალ და მერე ესა! (ისმის თოთის სროლა)

ოტია. რა ამბავია?..

ყარაოდღი. ოპ, შე ბოროტო, შენც ამის ამხანაგი ხარ! სულ გასაწყვეტები ხართ, გიაურებო!

ოტია. (გაოცებული) ბატონო, რა ამბავია?

ესრათდღი. თითქოს არ იცოდე, რაც აშბავია. განა არ ვიცით, რომ შენ და მაგან გაანთავისუფლეთ ტყვეები?. დაპარმაგ შეჩვენებულსა! (შეუტევს ხმლითა) თტია. შესდექ ურჯულო, ჩემს საყვარელს შენ არ მოგაკვლევინებ!

ესრათდღი. მაშ თუ აგრეა, შენც მოკვდი, გიაურო! (შეუტევს)

მარინე. (გააფთრებული) უმალ მე მომქალ! (დასცემს ხანჯალს ყარაოლლის და დასჭრის.) ოჰ, შე ურჯულო, აკი ვსთქვი, მაგის თავს არავის დავანებებ-მეთქი!..

ესრათდღი. (მომაკვდავი გარბის.) მიშველეთ, მიშველეთ! (ისმის თოფის სროლა)

თტია. გმადლობ, მარინე!.. ვაუკაცური დაკვრა იყო, მაგრამ, ის არ გერჩივნა, სანამ მიღალატებდი, ჩემთვის დაგეკრა ეს ხანჯალი?

მარინე. მაგას რად მეუბნები?..

თტია. მაშ ეგ შენა ხარ, ტყვეები რომ გაანთავ-სუფლე?

მარინე. დიალ, ოტია, მე ვარ, ჩემო სიცოცხლევ! მაშ რა მექნა, ძმას მიკლავდნენ?

თტია. მაშ შენ ჩემს თავს ძმა არჩიე? მაშ შენს ძმის მანაცვალე?..

მარინე. ოჰ, არა, არა, ოტია!.. შენზედ უსაყვარლესი მე არავინ მაბალია მთელს ქვეყანაზედ!.. შენა ხარ ჩემი სულყველა, ჩემი ღმერთი!..

თტია. ოჰ, შე ცბიგრო, შეგველო!.. ოჰ ღმერთო,



როგორ მოვსტუუვდი?.. როგორ გავსულელდა? მაგრამ შემომარცხავდა

მართენე. ოჯ, ოტია, ნუ იტანჯები აგრე, გულს ნუ მიკლავ!

თტია. პოპ, შე ბოროტო! მაშ შენის გულისათვის უნდა დავკარგო მე ყოველისფერი, რისთვისაც სული და ხორცი შემიწირავს?.. მაშ შენა ხარ ჩემი დამღუპველი, ჩემი ყელის გამომჭრელი?

მართენე. ოჯ, ოტია, არა!.. შენ მზეს ვფიცავ, შენი ღალატი თუ გულში გამეტარებინოს არ ვიყო შენი სიყვარულის ღირსი... დეე, აქვე შენ ფერხთ-წინ გამაქროს უფალმა!.. მაგრამ, ოტია, რა მექნა!.. მა... ჩემი სისხლ-ხორცი...

თტია. ოჯ მაცდურო, ბოროტო დიაცო!.. კი-დევ ჰბედავ სიყვარულზედ ლაპარაკს?.. შენ-კი არა, მე, მე მიყვარდი!.. ისე მიყვარდი, რომ მზა ვიყავ შენთვის თავი შემეწირა!.. შენ-კი როგორ გადამიხადე?.. შენ მე წამართვი ის, რაც ჩემს თავზე უფრო მიყვარდა!.. ჩემი ოცნება! ჩემი დიდება!.. შენ მტვრად მიქ-ციე ყველა ჩემი იმედი, ჩემი განზრახვანი, ყველა ჩემი გიფური მისწრაფებანი... ეხლა რაღად მინდა მე სიცოცხლე? რა ვარ მე? რის მაქნისი? რა მქვიან?.. (ხელებს იმტრებს ბრაზებისაგან)

მართენე. ოტია, ნუ, ნუ ღვთის გულისათვის... ნუ იტანჯები ეგრე, თორემ თავს მოვიკლავ! (შემორბის ბიჭი)

ბიჭი. ბატონო დავიღუპენით, ჯარი შემოვარ-



და გალავანში. საშინელი ბრძოლა ასტყუდა, ფუჭუდა შეიპყრეს... ოსმალთ ჯარი მთლად ამოწყვეტილია და ეხლა აქეთ მოღიან... გაიოზ ფალავა თავის ჯარებით დარბაზისაკენ მოექანება!

თრია. ჩქარა, ჩქარა დაჰკეტეთ ყველა გასასვლელები! ყველა გამოღით, კარები შეიმაგრეთ... აბა გასწი მალე! (ბიჭი გარბის) თუ სიკვდილის მეტი არა მიხსნის-რა, ძვირად მაინც დაუსვამ ჩემ სიცოცხლეს!.. (სახლს ცეცხლი ეკიდება. ხმაურობა, თოფის სროლა)

მარინე. (გამბედავის გრძნობით) ნუ გეშინან, ოტია, მე შენს თავს არავის არ დავანებებ, თუ გინდ ლმერთიც რომ ჩამოვიდეს!.. (ეხვევა)

თრია. შორს, არ მომეკარო!

მარინე. (ვედრებით) ოტია, ოტია!..

თრია. იქით, შე მაცდურო! შენ ამ ალერსით ვერ მომატყუილებ... კმარა, რაც მატყუილე!

მარინე. ოტია—ნუ, ნუ ამბობ მაგას, მე შენ-თვის არ მიღალატნია... ძმას მიკლავდნენ და სხვა რაღა უნდა მექნა?.. ჩემი სისხლ-ხორცი დავიცევი... შენ რომ ჩემს აღვილას ყოფილიყავი, ჩემსავით მოიქცეოდი!..

თრია. კარგად ვხედავ შენს ცბიერებას... შენ გინდა გული მომიგო, მაშინ როდესაც გამყიდე და მტრის გულისა გამხადე?.. არა, შენ არ გაგახარებ ჩემის უბედურებითა!.. შენ ორ ლმერთს ეთაყვანებოდი,

ერთს-კი უნდა მოშორებოდი: ან მე, ან შენი უნდა ყოთილიყო!..

მარინე. ოჰ, ოტია, შენ უღმერთოდ მექცევი, შენ გული არა გქონია...

თტია. რატომ აქამდინ არ იცოდი, რომ გული არ მქონდა?!.. (ისმის თოფის ხმა) აჲა, მოდიან გამარჯვებულნი... ისინი დასტკებებიან ჩემის დამცირებითა, მაგრამ არა!.. მაშ რა ოტია ვიქნები, თუ უკანასკნელ სიხარულსაც ვერ მოუწამლავ ჩემს მტრებსა...

მარინე. (ვეღრებით) ოჰ, ოტია, ოტია!..

თტია. გიხაროდეს, გაიოზი გამარჯვებული მოდის!.. მეც, როგორც სიძე, ამ გამარჯვებისათვის ფეშქეშს მივართმევ... შენ ხომ დამარხე ჩემი იმედები, მაშ შენც დაიმარხე!.. (დასცემს ხანჯალს და მოჰკლავს მარინეს) აჲა, ეხლა მოვიდნენ და გაიხარონ!..

მარინე. (მომაკვდავი) გმადლობ, ოტია? გმადლობ ჩემო სიცოცხლევ!.. თავს უშველე, ოტია... (შეჭივლებს) ოჰ, ძმა... აო, გაი... ოზ!.. (კვლება ისმის გაიოზის ხმა)

V.

ოტია და გაიოზი.

გაიოზის ხმა (კულისებიდამ) შეამტკრიეთ კარები! (სროლა სამჯერ) დალეწეთ, დალეწეთ!.. (გამოჩნდება კარებში თითონაც) ოჰ, შე წუწკო, შე მოღალატევ!.. სად

წამიხვალ!.. ხმალი, ოტია, ხმალი, თუ ლეჩქინ პარ
გხურავს!.. (შეებრძოლებიან ერთმანერთს ხმლებით, ოტიას
ხმალი გაუვარდება ხელიდამ, გაიოზიც ხმალს დაავდებს. გაი-
მართება ხელ-ჭიდაობა, ოტია ცდილობს გაიოზის მოკველას,
მაგრამ გაიოზი დროს მოიმარჯვებს და ხანჯალს დასცემს გულ-
ში) ჰაპ, ძალლს ძალლური სიკვდილი!! გეყო მაგდე-
ნი სიბოროტე! (დაინახავს მკვდარს მარინეს) ოპ, დაო!..
ჩემო მარო! (დაიჩოქებს) ჩემო საცოდავო!.. (ტირის
და ჰერცინის შუბლზე... ისმის შორიდვან გამარჯვების სიმღე-
რა მეგრელთ ჯარისა...)

ფარდა.

დასასრული.

ჩაინევას ჩაქოლია სკოდიან.

ვოდევილი—ხუმრობა ერთს მოქმედებად

(აზრი რუსულით)

Настоящій водевиль, подъ заглавием „С Д А-
ВА Й Т Е С Ъ“ В. Гуніа разрѣшена Г. Главнома-
чальствующимъ гражданской частию на Кавказъ на
основаніи 84 ст. уст. Ценз. изд. 1890 г. къ пред-
ставленію на сценахъ края. Января 10 дня, 1892 г.

Предсѣдатель Комитета М. Гаккель.

Секретарь Н. Меликъ-Нубаровъ.

მომენტები პირზე:

ნესტორ შვინდებე,	25 წლის ყმაწვილი კაცი.
მამო,	ახალგაზლა ქვრივი.
მაქო,	მამოს და, 17 წლისა.
ვარდო,	მოსამსახურე გოგო, ახალგაზლა.

მოქმედება სწარმოებს თბილისში.

ჩათრევას ჩაეთვა სჯობიან.

სცენა წარმოადგენს კარგად მორთულს ოთახს, შუაში—
მარჯვნივ და მარცხნივ კარებია, მარცხნივ ფანჯარაა, დივანი,
სავარძლები, სტოლი და სხვა ავეჯი. პატარა სტოლი ფანჯა-
რასთან საწერკალმით და დივანზე ქალის შალი ჰყიდია. დღეა.

I.

კარდო და მერე მაშო და მაჭო.

გარდო. (შემოდის და ყვავილით ქოთანი შემოაქვს,
ხელში ბარათი უჭირავს) დამტანჯეს, სწორედ, ამ ყვავი-
ლების ზიდვით! დღე ისე არ გავა, რომ ჩვენს ქალბა-
ტონებს ვინმემ ყვავილები არ გამოუგზავნოს... ღმერ-
თო, რა ბრიყვები არიან ზოგი ყმაწვილ-კაცები!
ის სულელები, ყვავილებს რო გზავნიან ყოველ დღე,
ვითომ ამით საქმის გარიგებას ლამობენ, თუ რა
არის? იმ უბედურებმა, როგორ არ იციან, რომ ქა-
ლების გული ეხლანდელს დროში ყვავილებით ვერ
მორგება. ეხლანდელ ქალების გულს ალბობს ოქ-
რო და ვერცხლი, თორემ ყვავილები რის მაქნისია!
არა, იმისთანა ტყუილია, როგორც ის ვაჟბატონი,
რომელიც ყოველ დღე დაეხეტება ჩვენს ქუჩაზე და
მშიერი მელიასავით შემოიყურება ჩვენს ფანჯარაში!

ხანდისხან ასჯერ მაინც გამოივლის, ლამე რაღაცაებს მღერის, სხვა არც ყვავილი და არც ნიახური იცის! (შემოდის მაშო)

მაშო. ეს ყვავილები ვის გამოუგზავნია?

გარდო. ბარათში იქნება მოხსენებული, ინებეთ!

მაშო. მაჩვენე. აბა, წავიკითხო ვისგან არის.

(კითხვას აპირებს, შემოდის მაკო)

მაგო. ეს ყვავილები საიდამ გაჩნდა?

გარდო. აი, იმ ბარათში იქმნება მოხსენებული.

მაგო. აბა, მაჩვენე! მაშო შენა გაქვს? მაშო, ვინ იწერება?.. რასა სწერს?.. კოლასაგან ხომ არ არის?.. აბა, მაჩვენე!

მაშო. მოითმინდე, ჯერ არ წამიკითხავს.

მაგო. ერთად წავიკითხო!

მაშო. ბარათი ჩემს სახელობაზე არის!

მაგო. (შეჰყურებს) სტყუი... აგერ ჩემი სახელიც სწერია.

მაშო. უჭი, მაკო, რა მოუსვენარი რამა ხარ? დამაცა წავიკითხო.

მაგო. (მოუსვენრად) წავიკითხო, წავიკითო! მეც მინდა წავიკითხო!

მაშო. უჭი, ღმერთო, ჩემო! აპა, წაიკითხე! არა ბარათს არ მოგცემ! ასე, შორიდამ წაიკითხე.

მაგო. (კითხულობს შორიდამ) „ჩემო კეკლუცო, მაშო, ჩემო ტურფა მაკო“. ღმერთმა შეარცხვინოს — შენ კეკლუცს გეძახის და მე-კი ტურფას!..

მაშო. მერე რა იყო?

მაქთა. რატომ მე არ დამიძახა კეკლუცი?

მაშო. მერე ეგ სულ ერთი არ არის — კეკლუცი და ტურფა?

მაქთა. დიახაც რომ არ არის!.. მე კეკლუციც და ტურფაცა ვარ!

მაშო. ოჰ, თქვენმა მზემ, მე-კი რა დავაშავე.

მაქთა. ვინა გწერს?

მაშო. რა ვიცი, ხელ-მოწერილი არ არის.

მაქთა. მაშ ეს ყვავილები ვის გამოუგზავნეს?

მაშო. რა თქმა უნდა, მე გამომიგზავნილა!

მაქთა. (აჯავრებს) რა თქმა უნდა, მე გამომიგზავნიდა! მე-კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყვავილები უთუოდ მე მეკუთვნის!.. ვარდო, ვის გამოუგზავნეს ეს ყვავილები?

გარდო. რა ვიცი, ბიქმა მოიტანა და სხვა არაფერი უთქვამს.

მაქთა. რამდენჯერ მითქვამს შენთვის, უსათუოდ ჰქითხე მეთქი, ვისაგან არის და ვის უგზავნიან-მეთქი. წადი, რასა დგეხარ! (ვარდო გადის) რად იცი-ხოლმე, მაშო, ჩემს საჩუქრებს სულ შენ დაიჩემებ-ხოლმე!

მაშო. შენ-კი არა ხარ უცნაური!.. აბა რითი დაამტკიცებ, რომ ეს შენ გამოგიგზავნეს?

მაქთა. იმით, რომ შენ ქვრივი ხარ და მე-კი გასათხოვარი... მაშასადამე, მე უფრო მეკუთვნის!

მაშო. მერე რა ვუყოთ, რომ ქვრივი ვარ?.. შენ-ზედ მახინჯი ხომ არა ვარ!

მაქთ. და ორც ჩემზე ლამაზი ხარ!..

მაშო. შენზედ უფრო ლამაზი რომ არა ვყოფილიყავი, მაშინ არც გავთხოვდებოდი შენზედ აღრე-

მაქთ. ოჯ, დიდი საქმე მომხდარა, რომ გათხოვდი! მერე რა იცი, რომ მე შენზედ პატარა არ ვყოფილიყავი, შენზე უფრო აღრე არ გავთხოვდებოდი? შენ აგერ კიდეც არის დაბერდი და მე-კი ჯერ 17 წლისა არც-კი ვარ... ცხრა წლითა ხარ ჩემზედ ხნიერი!

მაშო. ძლიერ მიჰქარავ!.. ცხრა წლით-კი არა, სულ ორის წლითა ვარ შენზედ უფროსი.

მაქთ. ვერ მოგართვით, კნეინა ჯან!.. მე ხომ ვერ მომატყუილებ.

მაშო. კარგია, ნუ მიჰქარამ, მეც ბრიყვი ვარ რომ შენ აგყევი.

მაქთ. ვითომ და ჩემზედაც კკვიანი ხარ!..

მაშო. არსაღა სთქვა, შენმა მზემ!.. (მიაქვს ყვავილები და მიდის)

მაქთ. ეგ ყვავილები სადღა მიგაქვს?

მაშო. ჩემს ოთახში.

მაქთ. მერე მე-კი არ მკითხავ! (გზას ულობავს)

მაშო. გამეცალე ერთი, რას ჩამაცივდი.

მაქთ. ჩაგაცივდი და ორც არა იცი-რა... აქ მოიტა ეს ყვავილები!

მაშო. ქალო, ხომ არ გაგიუდი!

მაქთ. არა, თქვენმა მზემ, გიურ მე-კი არა, თქვენა ბრძანდებით!..

მაშო. რა ღმერთი გიწყრება, ქალო!

მაჭო. ღმერთიც გიწყრება და ხატებიც!.. აქ მოიტა ეგ ყვავილები — ჩემია!

მაშო. მანამ გიკვნესია!..

მაჭო. გიკვნესია და ფეხებიც გაგიჭიმავს, მოიტა. (ართმეტს ყვავილს)

მაშო. (გაჯავრებული) აქ მოიტა, შე ქაჯო, შენა!

მაჭო. ვერ მოგართვი! ეს ყვავლები კოლამ მე გამოშიგზავნა.

მაშო. აი კოლა შენა და დარღუბალა! (ართმეტს ყვავილს)

მაჭო. მაშ თუ ძალადობაა, შენ-კი მოგერევი! (გივარდება და უნდა გამოსტაცოს)

მაშო. არ მოგცემ... არ მოგცემ, რო მოკვდე მაინც!

მაჭო. ვნახოთ... (ებლაუჯება და ართმეტს) მაშ თუ ასეა: არც შენ და არც მე! (მოიქნევს და ფანჯარაში გადააგდებს ყვავილებს. — ამ დროს ქუჩიდამ მოისმის ხმა:) „ვაი-მე, მიშველეთ!“

მაჭო და **მაშო.** (შეშინებულები) ღმერთო, ეს რა ამბავია?!

ხმა ქუჩიდამ. აი დარღუბალა თქვენს თავს! მოელი ბალი თავზედ დამაქციეს!..

მაჭო. ღმერთო ჩემო, ალბად ვინმე გამვლელს თავში მოხვდა!

მაშო. ახია შენზედ, მეტი არა მინდა-რა, ერთი შემოგივარდეს და გაგაბიაბრუოს!

დრამები და კომედიები. ვ. გუნია

ხმა ქუჩიდამ. (კვნესით) ით დაგწყევლოთ ჩემმა
გამჩენმა, თავი გამიხეთქეს!..

მაჭო. ვარდო, ვარდო! (შემოდის ვარდო) ვარდო
კარები დაჰკეტე, არავინ შემოუშვა!

მაშო. მე წავალ, დავიმალები! (გარბის ოთახში
მარჯვნივ.)

მაჭო. მეც თავს ვუშველი! ღმერთო, ეს რა მო-
მივიდა! (გარბის მარცხნივ)

გარდო. ალბად ის იქნება, რო ყოველ-დღე
დაეხეტება ჩვენ ფანჯრებთან. კარგი არ იქნება, რომ
შემოვარდეს! (ხმაურობა გარედამ, შემოვარდება შეინდაძე)

II.

იგიე და შვინდაძე.

შვინდაძე. (შემოვარდება აღშფოთებული. ცილინდრი
ხელში უჭირავს დაჭმუჭნული, მეორე ხელში ქოთანი უჭირავს,
ტანისამოსი მიწით აქვს გასვრილი, კოხტად არის ჩატული.
თავსა და პირზე მიწა აყრია.) ვინა სდგას აქა, ჰა? სად
არის შენი ბატონი, ის მხეცი ისა! სად არის-მეთქი?
ეს რა ხუმრობაა?! გაგონილა, მთელი ბალი თავზე
დამაქციეს, ჰა? სად არის-მეთქი შენი ბატონი, შენი
პატრონი!

გარდო. (შეშინებული) ბატონი შინ არ გახლავთ.

შვინდ. მიჰქარავ, სტყუი, ის აქ უნდა იყოს! ვერ-

Саад даамдемаалеяба!.. гаагонбондо, тქვენი ჭირიმეთ, შუა
დღეს, შუა ქალაქში, სოლოლაკის ქუჩაზე აგრე დაუხე-
დავად კაცა ჰკლავენ და მერე როგორ კაცა, დედის
ერთას!.. ეს ხომ აღა-მახმედ-ხანობაზედ უარესია! ეთი,
чортъ знаетъ, на что похоже! ეხლავ დამიძახე
შენს ბატონს... თორემ, ჩემს მზეს ვფიცავ, საქმეს
ვიზამ საარაკოსა!.. ამ წუთს აქ გაჩნდეს შენი პატ-
რონი, თორემ ეხლავ სუდში ვიჩივლებ, პროტაკოლს
შევადგენინებ, ციხეში ჩაგსვამთ, ციმბირში გიკრავთ
თავს, გესმის თუ არა!

ଫାର୍ମ. ଡାକ୍ଷିଣାତ୍ମିକ, ବାର୍ତ୍ତାନା. ଏହାରେ ରାଜ୍ୟ ପ୍ରଦାନ କରିବାକୁ ଆବଶ୍ୟକ?

Шюйбэсмә. Какъ это вамъ нравится, бү узин-
тотт... бү узинрот-жо арда ზარბაზნებსაც-жо დავც-
ლიდი, რომ შემეძლოს! бү узинрот!.. თქვე არამზა-
დებო, თქვენა! როგორ მოგწონთ... ასეთი ამბავი
ხდება ჯალაქში, საარისტოურატო ნაწილში, საქართ-
ველოს შუა-გულში, ესე იგი, такъ сказать, въ
центрѣ интеллектуального и физического нап-
ряженія!.. „ო ტემპორა თ მორეს!..“ წარმოიდგინეთ,
ორ საათზედ აი ამ ბალით ჰკლავენ კაცსა! არა, ჩѣть
это — შეუძლებელია!.. დამშვიდდით! არა, ერთი მი-
ნასუხე, მე რად მომხვდა უთუთდ თავში და არა
იმას, ვინც ჩემს გვერდით მოდიოდა... ჩѣть, არა,
აქ არის предумышленное преступление!..

კარდო. ბატონი, ყური დამიგდეთ!

შვინდაძე. არა, მე-კი არა, შენ დამიგდე ყური! ეხლავ მომგვარე შენი ბატონი თუ პატრონი, სულ ერთია!.. ჩემთვის, ვი ქვემით მომავალი არა არა და!

გარდო. ბატონი!..

შვინდაძე. შენ თითონა ხარ ბატონი! რას ჩა-
მაცივდი მაგ ბატონობით! შენ ესა სთქი, რასა ვგე-
ვარ მე ეხლა? რას ვემსგავსები ეხლა? ეს ჩემი ცი-
ლინდრი? (იხურავს) აბა ერთი შემომხედვე, რა ჯო-
ჯოხეთის მაშხალასა ვვევარ! ჩემი ცილინდრი 7
მანეთი ღირს... ასე არ შეგარჩინოთ! ჩემი ცილინდრი 7
ერთი მიპასუხე რა ვუყო ჩემს სერტუკს?

გარდო. მიბოძეთ, ბატონი, მე ეხლავ გა-
ვწმენდავ!

შვინდაძე. მაშ როგორ გეგონა! უსათუოდ გა-
წმინდე, გაასუფთავე. (იხდის) აი, წაიღე! (გადაუგდებს
სერტუკს) აქედამ ფეხსაც არ მოვიცვლი. უ მენა
желѣзный характеръ, діявольская натура! მე
კაცი-კი არა, მხეცი ვარ, გესმის, მხეცი ვარ-მეთქი,
ამიტომ, ყორთ ვას დერი... აქედამ არ წავალ! ეს
სახლი ეხლა ჩემი სახლია! მე აქ დავჯდები. (ჯლება
სტოლთან სკამე)

გარდო. ბატონი, ეს როგორ იქნება!..

შვინდაძე. ძლიერ კარგად იქნება! აი მიყურე!..
(შინჯავს სტოლზე ქაღალდებს, აიღებს ალბომს და სინჯავს)

ეს ვისი სურათია, ღმერთო, რა ჯოჯოა ეს და-
ლოცვილი!

გარდო. ეს ჩემი ბატონის სურათი გახლავთ.

შვინდაძე. კარგი შენ დაგემართოს, კარგი ბა-
ტონი შენა გყოლია, რა ჯოჯოა!

გარდო. (ოხვრით) მაგრამ გული კარგი ჰქონდა!

შვინდაძე. როგორ თუ ჰქონდა, განა ეხლა-კი
აღარა აქვს?..

გარდო. ეხლა მკვდარია!

შვინდაძე. მკვდარია? ვა, დაგეწაფე მავ აღის
ტუჩებში! ეს რა სასიამოვნო ამბავი მითხარი, მაშ
შენი ქალბატონი ქვრივია?

გარდო. დიახ ქვრივია, ბატონო!

შვინდაძე. რა კარგი ცუგრუმელია ეს წყეული!
შენი სახელი?

გარდო. ვარდო, ბატონო!

შვინდაძე. ვარდო? ჰო, შენი-კი ჭირიმე, ჩემო
ვარდო და ვარდის კოკობო! რა კარგი სახელი გქა-
ნია! ვარდო, ვარდო... პრელესტ, მოდი, ვარდო, ერ-
თი დაგუნისო!

გარდო. (მორცხვად) რას ბრძანებთ, ბატონო!

შვინდაძე. არაფერს, ჩემო ვარდო! (ხელს უსვამს
ნიკაპზე და წელზედ ხელს მოჰკიდებს) ჩემო ვარდის კოკო-
რო; ვარდო, ეკლიანი ხომ არა ხარ, ჰა! (ჰქოცნის)
ოჳ, რა შაქრის ტუჩები გქონია, ერთი კიდევ, ერთი!...

გარდო. (გაექცევა) ბატონო, სერტუკი უნდა გა-
გიწმინდოთ.

შვინდაძე. მოასწრობ იმის გაწმენდას, შენ ეს
მითხარი, შენი ქალბატონი ჯეელი ქალია?

გარდო. დიახ, ახალგაზდაა, დაცა ჰყავს უნც-
როსი.

შვინდაძე. მერე ისიც მომწიფებულია?!

გარდო. 17 წლისა გახლავთ.

შვინდაძე. Да это раздолье, чортъ меня
дери!

გარდო. რა ბრძანეთ, ბატონო!

შვინდაძე. (მხიარული) ბატონიცა ხარ და ხელ-
მწიფეც, ჩემთ ვარდო! აბა, სერტუკი მალე გამიწ-
მინდე, მე აქ მოგიცდი!.. (ულიტინებს) უჰ!..

გარდო. ეხლავე, ბატონო!.. რა მხიარული ყმაწ-
ვილი ყოფილა... (გარბის)

შვინდაძე. (მარტო.) რა კარგი ცუგრუმელა გო-
გონაა ეს წყეული!.. სამი ქალი და არც ერთი ვაჟი,
სწორედ საარაკო ამბავია. არა, დღეს, სწორედ, ბედი
მწყალობს. რამდენი ხანია ვცდილობ ამათ გაცნო-
ბას, და, დღეს ეს ბალი რო ჩემს თავზედ არ დაეხა-
ლათ, იქნება არასოდეს არ გამეცნო ესენი... რა
მიჰის... არა მკონია დამიწუნონ... კარგი დედის
შვილი ვარ, ლამაზიც, ფულები, მართალია, ცოტა
მაქვს, მაგრამ მაინც არა მიჰის-რა. ან ქვრივს ან
მის დას უსათუოდ ჩავიყოლიებ... ეთი რწევის

სამოხურდა

დწლი!.. არაფერს არ დავხედავ, იერიშით მივაღისდა
ვნახოთ ვინ გამიძლებს!.. შემოვა თუ არა დავვეცემი
მუხლზედ, თვალებს ავიპრუწამ, ხელებს გავშლი,
ოხვრას მოვყვები და ნუ თუ ამდენის მანქანებით
ვერაფერს გავაწყობ... თუ საქმე გაძნელდა ხახა-
ლ-
ствомъ возьму... не мытьемъ, такъ катаниемъ,
чортъ меня дери... ერთი სერტუკი მალე გამო-
მიტანოს ვარდომ, თორემ ვერაფერი სანახავი ვიქნე-
ბი ასე უცხო ქალებთან!.. (შემოდის მაკო)

III.

იგიჭე და მაჭო.

შვინდამე. (შეკროება) უკაცრავად... მე... მე...
უკაცრავად ახъ чортъ меня дери, виновать, безъ
сюртика, მაპატიეთ, я безъ галстука!.. (ხელს იფა-
რებს ყელზე.) მე, ქალბატონო, თქვენ ქალბატონო,
რომელიცა რომ... უკაცრავად... виновать, თქვენმა
გოგომ მითხრა, რომ ეს ქოთანი თქვენ მესროლეთ
თვში და ამიტომ... უნდა მოგახსენოთ, რომ რო-
მელიცა რომ... მე გახლავართ ნესტორ შვინდაძე!

მაჭო. ბოდიშს ვიხდი, მეტად დამნაშავე ვარ
თქვენთან, მაგრამ ეხლა რა გაეწყობა... აი ინებეთ
თქვენი ცილინდრის ფასი. (ფულს აძლევს)

შვინდამე. ოჲ, რას მიბრძანებთ, თქვენ მე...

вы меня обижаете... Мэ ეს ~~ამიტომ~~... რომ ~~ამაუციფიცია~~
რავად, უსერტუკოდ გახლავართ (შალს აიღებს სტო-
ლიდამ და იფრებს) პარდონ, ძლიერ პარდონ... ჰო,
დიახ, მე იმას შოგახსენებდით, რომ მეტად გაანჩხ
ლებული ვიყავი და იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ...
თორემ რომ მცოდნოდა, რომ თქვენისთანა მშვენი-
ერი ქალი იყო ჩემი მკვლელი...

მაკო. მკვლელი?!

შვინდამე. დიახ, მკვლელი, შეუბრალებელი
მკვლელი!.. თქვენ ხუმრობა ხომ არა გგონიათ, მეო-
რე სართულიდამ მთელი ბალი თავს დამანარცხეთ!..

მაკო. (იცინის) ჰა, ჰა, ჰა! მთელი ბალიო... ჰა,
ჰა, ჰა! ბალი-კი არა ყვაველები იყო!.. ახ, ახა-ახა!

შვინდამე. (იცინის) ჰა, ჰა, ჰა! ღმერთს გეფიცე-
ბით მთელი მუშტაიდი იყო... მერე რო იცოდეკ,
როგორ მომხვდა, პირდაპირ თავზე დამეხურა... დიახ,
კინაღამ არ მომკალეთ და თქვენ-კი იცინით და მე-
რე რანაირად იცინით... პაშია ალის ფერი ტუჩე-
ბით იცინით!.. (იქით) გენაცვალე მაგ ვარდის ფერ ტუ-
ჩებში... უკაცრავად, თქვენი სახელი?

მაკო. ჩემი სახელი მაკო გახლავთ.

შვინდამე. (სიამოვნებით) მაკო, მაკრინე, მაკრუშ-
კა!.. რა მშვენიერი სახელია... მე ძლიერ მიყვარს სა-
ხელი მაკო, მაკრინე... მე, უნდა მოგახსენოთ, ჩინე-
ნებული ყმაშვილი-კაცი გახლავართ... (თავს უკრავს)
ნესტორ შვინდაძე. მე მართალია, იმდენად ვერაფე-

რი ვარ... მაგრამ... ერთი კიდევ გაიცინეთ, ღვთის გულისათვის!

მაკო. დიდის სიამოვნებით, თქვენ, მართლა, ისეთი სასაცილო ხართ, რომ (იცინის) ხა, ხა, ხა! უკაცრავათ, სხვის სახლში, უცხო ქალთან, ჰა, ჰა, ჰა!

შვინდაძე. უკაცრავათ, ძიელ პარდონ, ღმერთს გეფიცებით, ჩემი ბრალი არ არის, ვარდომ წაილო გასაწმენდათ.

მაკო. ვარდოს თქვენ საიდგან იცნობთ?

შვინდაძე. ვარდოსაც ვიცნობ და თქვენცა! თქვენ რომ ქვრივი ბრძანდებით, უნცროსი დაცა გყავთ... გთხოვთ მიცნობდეთ — ნესტორ შვინდაძე! (თავს უკრავს)

მაკო. (იცინის) ჰა, ჰა, ჰა! ჩინებულია, თქვენმა მზემ; მერე საიდამ შეგიტყვიათ ჩვენი ვანაობა...

შვინდაძე. მე დიდი ხანია თქვენ გიცნობთ, შორიდამ, რა თქმა უნდა... მე უნდა გამოგიტყდეთ, მაპატიეთ კია... მე... თქვენ... თქვენ... მე... ერთი გაიცინეთ კიდევ, ღვთის გულისათვის.

მაკო. (იცინის) ჰა, ჰა, ჰა! რა უცნაურია, ღმერთო, ჰა, ჰა, ჰა!

შვინდაძე. ოჰ, რა კარგად იცინით... მე მზადა ვარ მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენთან გავატარო, ოლონდ-კი ამ სიამოვნებას ნუ მომაკლებ... ერთი კიდევ გაიცინეთ!..

მაკო. რა შვილი ბრძანდება, თქვენთან გავა-



ტარებ ჩემს სიცოცხლესო... მერე მე-კი არ შეითხავთ,
მეამება თქვენი ნახვა, თქვენთან ყოფნა?

შვინდაძე. უსათუოდ უნდა გიამოთ... მე ჩინე-
ბული ყმაწვილი ვარ. (უცბად) მაკრინე, მაკო, შე-
მიბრალეთ, მეტი აღარ შემიძლიან!..

მაკო. (გაოცებული) რა გინდათ, მე არაფერი
მესმის-რა!

შვინდაძე. არ გესმით, მაშ ეხლავე გაგაგე-
ბინებთ. მე თქვენ მიყვარხართ, ჯ ვასხ ინია, ი-
გალმერთებთ... მე თქვენ მიყვარხართ.

მაკო. მე თქვენ სულ არ გიცნობთ...

შვინდაძე. არა უჭირს-რა, მერე ვამიცნობთ...
მე ჩინებული ყმაწვილი ვარ... თქვენ ქვრივი ხართ,
მაგრამ არა უჭირს-რა... მე გევედრებით! ნუ ინე-
ბებთ ჩემი ყმაწვილ-კაცობის გაფუჭებას! თუ არ
თქვენ, მე სხვა არავინ მინდა... მე თავს მოვიკლავ,
და თქვენც მოგელავთ...

მაკო. ღმერთო, ეს რა გიჯს გადავეკიდე!

შვინდაძე. მაკო, მაკრინე! ჩემო კარგო, ჩემო
პატარა!.. (ხელს ჰელებს ხელებზე) ღმერთო ჩემო, ნუ
თუ მე ისეთი ბედნიერი ვარ, რომ ამ ხელების პატ-
რონი შევიქნები.

მაკო. ძლიერ სცდებით, ამ ხელის პატრონი
მე გახლავართ.

შვინდაძე. ეს მართალია, მაგრამ მეც მიწილა-
დეთ ცოტა...

მაქო. (იცინის) ხა! ხა! გიშილადოთ?

შვინდაძე. რაც გინდოდეთ, რაც გსურდეთ, ჩემთვის სულ ერთია, ჩემთვი წიპურკავ, ჩემთვი პუჭურკა!.. (ხელებს უკოცნის)

მაქო. თავი დამანებეთ, ჩემი და მოდის. (გაექცევა)

შვინდაძე. არა უშავს-რა, თქვენს დას თქვენთან რა ხელი აქვს... თქვენ ხომ ქვრივი ხართ... თავისუფალი...

მაქო. (იცინის) ჰა, ჰა, ჰა! რა უცნაური ხართ!

შვინდაძე. (იცინის) ჰა, ჰა, ჰა! რა უცნაური ვარ, ჩემო პატარა; ღმერთო ჩემო, რა პატარა ხართ, ჯიბეში ჩაგისვამთ და ისე მოგიტაცებთ!.. (ეხვევა და ჰელენის, შემოდის მაშო.)

IV.

იგინივე და მაშო.

მაშო. უჸ, ჩემს თვალებს, ეს რა ამბავია!

მაქო. აჸ, (გარბის)

შვინდაძე. Ахъ, виноватъ, უკაცრავალ... მე თქვენ დასთან შევექცევოდი... რა მშვენიერი და გყოლიათ...

მაშო. თქვენ ვინა ბრძანდებით?

შვინდაძე. არ მიცნობთ? ღმერთო ჩემო, მე ხომ უცხო არა ვარ, თქვენი ვარ... აი, ის, რომელსაც.

მთელი ბალი თავზე ჩამოაცვით... (თავის კვრივ) გთხოვთ
მიცნობდეთ — ნესტორ შვინდაძე! უკაცრავად, თქვენი
სახელი?

მაშო. თქვენ რა გეკითხებათ... ეხლავ მიბრძან-
დით აქედამ.

შვინდაძე. უკაცრავად... მე ასე აღვილად ვერ
წავალ.

მაშო. რა უზრდელი რამა ყოფილხართ... რა
საქმე გაქვთ უცხო სახლში!

შვინდაძე. სცდებით, მაღმოაზელ... მე რა უც-
ხოვარ... განა უცხო კაცს თავში ქოთანს ესვრიან?!.

მაშო. (იცინის) მაშ თქვენ ისა ხართ, რომ...

შვინდაძე. დიახ, სწორედ ის გახლავართ...
ნესტორ შვინდაძე! აი ჩემი ცილინდრიც, ერთი შე-
ხედეთ, რასა ჰგავს... ჩემი სერტუკი, მაგრამ უკაც-
რავად... ძრიელ პარდონ, თქვენმა გოგომ წაილო.

მაშო. სერტუკს ეხლავ მოგარომევენ და იმე-
დი მაქვს, რომ თავს დაგვანებებთ!..

შვინდაძე ნუ წარმოვიდგენიათ!.. მე აქედამ გა-
მსვლელი არა ვარ... მიკვირს, ღმერთმანი, ახალგაზ-
და გაუთხოვარი ქალი და ასეთი ანჩხლი!..

მაშო. ხა! ხა! ხა! გაუთხოვარიო... ხა, ხა, ხა.

შვინდაძე. რას იცინით, განა თქვენ გასათხოვა-
რი არა ხართ?

მაშო. (იცინის) ხა, ხა, ხა! გასათხოვარი გახ-
ლავართ... ხა, ხა!

შვინდამე. (თავისთვის) იცინის, ეხლა საჭმე კარგად არის... (მაშოს) მე თქვენ დას ველაპარაკე თქვენზე და დამარწმუნა, რომ თქვენც იმისთანა გულ-კეთილი ხართ. მართლა, თქვენი სახელი?

მაშო. ჩემი სახელი მარია გახლავთ, მაგრამ ძიელ კარგს იზამთ, რომ ეხლავ აქედამ გაბრძანდეთ და სხვა დროს მოგვიკითხოთ უფრო ზრდილობიანად და ჩაცმული.

შვინდამე. ახ, უკაცრავად, აკი მოგახსენეთ, რომ ეს ჩემი ბრალი არ არის, თქვენ ჩამაყენეთ ამ ყოფაში... მართლა, თქვენი სახელი?

მაშო: რა ვქნა, აკი მოგახსენეთ, მარია.

შვინდ. უკაცრავად... მარია, რა მშვენიერი სახელია და თქვენც ბევრად ჰგევხართ მარიამ ღვთის მშობლის...

მაშო. ეს საკენკი თქვენს კრუხებს დაუყარეთ...

შვინდ. (თავისთვის) არა, სხვაფრივ სჯობიან მოვიქცე. (მაშოს) მარია, მაშო, მაშიკო, თქვენ ვერ წარმოიდგენთ... რა რიგად ვიტანჯები, შემიბრალეთ. (მუხლებზე დაეცემა) მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან, მე თქვენ გაგიუებით მიყვარხართ!..

მაშო. ახ, რას ჩადიხართ, ყმაწვილო... რას ჩადიხართ!...

შვინდ. მგონია გასჭრა... ჩემო მაშურკა, მაშურუჩქა... ეხლავე გადასწყვიტეთ... მე კარგი ყმაწვილი ვარ... თქვენ ახალგაზდა ხართ, სრული წლო-

ვანი... წამომყეთ ცოლად... მე თქვენ გაგაღმერ-
თებთ... სულ ხელით გატარებთ!

მაშო. (ალერსით) ლმერთს გეფიცებით, მე არ
ვიცი...

შვინდ. (თავისთვის) საქმე კარგად მიდის. აბა, კიდევ
დავაყარო ჯორის ტლინკებისავით... მაშურკა, ჩემო
ლმერთო, ჩემო ლამაზო, მომეცი შენი ხელი და მომენ-
დე, როგორც კლდესა... (ხელებზე ჰკოცნის) რა ფაფუ-
კი ხელებია! (კოცნის, შემორბის მაკო)

V.

იგინივე და მაჭო.

მაჭო. (შემოვარდება და დაიკივლებს) ახ, ეს რა ამ-
ბავია!

შვინდ. ეხლა-კი გავები მახეში!

მაშო. შენ რა გეკიოხება, რა შენი საქმეა!..

მაჭო. როგორ თუ ჩემი საქმე არ არის?

მაშო. წადი-მეთქი.

მაჭო. ერთი იმას უყურეთ! (ხელს ჰკიდებს შვინდაძეს)
ბატონი შეინდაძევ, ეს რა ამბავია!?

შვინდ. არაფერი შენ შემოგევლოს ჩემი თავი...
შენს მაგივრად შენს დას ვკოცნი, შენს დას... ეგ
ხომ სულ ერთია!

მაჭო. როგორ თუ სულ ერთია?

მაშო. ეს რა მესმის!

შვინდ. (მაკოს) თქვენ ხომ ქვრივი ხართ, მაშა-
სადამე თავისუფალი ხართ, ამიტომ...

მაშო. მერე ვინ მოგახსენათ, რომ ეს ქვრივია?

შვინდ. (გალცებული) მაშ ქვრივი რომელია?

მაშო. ქვრივი ეს არის, მე-კი გასათხოვარი...

შვინდ. (სიხარულით) მართლა? ოჰ, რა სასიამოვ-
ნოა, მაშ ისევ თქვენ შეგირთავთ, თქვენც ხომ თა-
ვისუფალი ხართ! მართა, ნუ გვიშლით ბედნიერებას,
დაგვლოცეთ!

მაშო. თქვენ აკი სოქვით, რომ მე გიყვარ-
ვართ...

შვინდ. მართალია, შენც მიყვარხარ, ჩემო სუ-
ლიკო!

მაშო. ვერ მოგართვი... აკი თქვენ პირველად მე
მთხოვეთ ხელი! (მოჰკიდებს ხელს და მიზყავს თავისკენ)

მაშო. არა, ეგ მეტის მეტია! თქვენ მე მით-
ხოვეთ. (მიათრევს თავისკენ)

მაშო. არა, შენ-კი არა, მე მითხოვა პირველად.
(მიათრევს თავისკენ)

შვინდ. დამაცადეთ, ბატონებო, ასე ხომ შუა-
ში გამგლიჯამთ!

მაშო. არა, ეს მეტის-მეტია! (მიათრევს შვინდაძეს)

მაშო. დიახ, მეტის-მეტია! (მიათრევს შვინდაძეს)

შვინდ. დიახაც რომ მეტის-მეტია... მოშითმი-
ნეთ, დაშვეიდდით!.. აქამდინ ერთსაც არ გინდოდით

და ეხლა-კი შეუაში მხლეჩავთ!.. (მაკოს) შენ უფრო
მიყვარხარ!

მაშო. რაო, რაო, რა სთქვით?.. (მიათრევს)

შვინდ. შენ უფრო მიყვარხარ-მეთქი, ჩემო სუ-
ლიკო!

მაკო. (სტაციებს ხელს) რაო, რა სთქვი!

შვინდ. შენ უფრო მიყვარხარ-მეთქი, ჩემო
პაწიავ!

თრიგე დები. რას სტყუით, რას სტყუით!

შვინდ. დამაცადეთ, მე ორივე მიყვარხართ...
მე მზადა ვარ ორივე შეგირთოთ, ორივე!..

მაშო. ვარდო, ვარდო! ეხლავ პოლიციას დაუ-
სხე, ეხლავ გაათრიონ ეს ურცხვი, ესა!

მაკო. ვერ მოგართვით, მაგას ვერ იზამთ!

მაშო. როგორ თუ ვერ ვიზამ, მერე ვინ და-
მიშლის?

მაკო. მე დაგიშლი. ბ-ნი შვინდაძე ჩემი საქმროა.

შვინდ. (თამამად) დიახ, ეს ჩემი საკოლე გახლავთ
და თქვენ ვერ დაგვიშლით ერთად შეულლებას!

მაშო. (გაკაპასებული) ეხლავე გაეთრიეთ აქედან,
თორემ ღმერთს გეფიცებით, პოლიციას დავუძახებ!

შვინდ. (მაშოს ყურში) მაშოჯან, რას ჯავრობ!

მაშო. თქვენს თავს ნებას ნუ აძლევთ, გეუბ-
ნებით, ეხლავე გაეთრიეთ.

შვინდ. (ვეღრებით) მაშურკა, რად იცი ჩაციება...

შმაშ. საიდამ მოეთრია ეს უსინიდისო.

მაქო. (ხელს მოჰკიდებს შვინდაძეს) მე ნებას არ
გაძლევთ აქედან გახვიდეთ — აქ უნდა დარჩეთ ჩემთან!

მაშო. (გაყაპასებული მოჰკიდებს ხელს შვინდაძეს და
მიათრევს) ეხლავ გაეთრიეთ აქედამ!..

მაქო. არა-მეთქი! (შვინდაძეს აქეთ-იქით მიათრევენ)

შვინდ. კარგი ამბავია ჩემს თავს! ეთ, თაქ
სказათ, ორ—ცეცხლ შუა... ქალბატონებო, და-
მშვიდდით! ოქვე დალოცვილებო, უსერთუკო ხომ
ვერ გავალ ჭუჩაში!

მაშო. მე მაშინ დავშვიდდები, როცა აქედამ
გაბრძანდებით!.. (იძახის) ვარდო, ვარდო, სადა ხარ?

გარდო. (შემორბის და შემოაქვს სერთუკი) რა ამ-
ბავია, რა მოხდა!..

მაშო. წადი ეხლავე და პოლიციას დაუძახე!

შვინდ. (იცვამს სერთუკს) პოლიციასაო? ჩეთვა —
დუდკი! უკაცრავად ბრძანდებით, პოლიცია მე-კი
არა, თქვენ დაგჭირდებათ!.. ერთს წუთს დამაცადეთ!..
(მივა საჩქაროდ სტოლთან და სწერს)

სამნივე ქალება. ეს რას ნიშნავს!..

შვინდ. აი რას ნიშნავს, ეხლავე მოგახსენებთ.
მე მსურს ცოლად შევირთო მაკრინე, თუ თანახმა
ხართ, ხომ კარგი და თუ არა, აი რას ვიზამ! (ადის
სკამზედ და ფანჯარის მოაჯირზედ დგება) სანამ თქვენ
გულ-ქვადაო და ულმობელო ქვრივო-პოლიციას დაუძა-
ხებთ, მე აქედან ძირს ბრაგვანს მოვიღებ! მიხვდით? ეს

დრამები და კოშედიები. ვ. გუნია

წერილი ჯიბეში მექმნება... ამ წერილში იმასა ვწერ!... რომ ჩემი სიკვდილის მიზეზი თქვენა ხართ.

სამნიგე ქალები. უი, უი!

შვინდ. მაშ თანახმა ხართ?

მაგრ. თანახმა ვარ, თანახმა ვარ!

მაშო. თავის დღეშიაც არა, ვარდო პოლი-
ცია ჩქარა!

შვინდ. თქვენ მაინც თქვენსას არ იშლით, მაშ კარგი! (ტრალიკულად) მშვიდობით წუთის სოფელო! მშვიდობით ჩემო მაკო... მშვიდობით თქვენც შეუბრა-
ლებელო და ულმობელო ქვრივო... მე მივალ ამ ქვეყნიდამ საუკუნოდ უცხოეთში, თო ესტე—სამოთ-
ხეში!.. ამ სართულიდამ ქუჩამდე კარგი ექვსი საუკუნი
გახლავთ, მოკლედ რომ ვსთვათ, 18 არშინი ანუ
288 ვერშოკი... ხუმრობა ხომ არა გვონიათ... ამი-
ტომ მე შუშასავით დავიმსხვრევი და პოლიცია თქვენ
მოგვიდებთ ხელს, ჩემს სიკვდილს თქვენ დაგაბრა-
ლებენ... მაშ მშვიდობით!..

სამნიგე ქალ. უი, უი!

შვინდ. (თავისთვის) მგონია გასჭრა!

მაგრ. ნუ, ნუ დვთის გულისათვის!

შვინდ. მერე უნდა ნახოთ ჩემი გვამი დამტვ-
რეული და დასისხლიანებული! (ალტაცებით) ვინ და-
მიტირებს, ვინ მოგლოვს, ვინ დაღვრის ჩემზედ ცრემ-
ლებსა!! ეხლა-კი მშვიდობით, «ადიო, სპერანძო ჩიო!»

აქედან წადიო!.. (იკუზება და ვითომ გადარტომას ჰლამობს)

სამნივე ქალები. (ჰკიერან) უიჰ, უჰ!.. (გულს ეყრებათ)

შვინდ. ეხლა-კი გასჭრა ჩემმა ხერხშა, (გადმოვა ფანჯარიდამ) ახъ, چортъ возьми! რა ლამაზები არიან ეს დაწყევლილები... მეტადრე ეს გოგო, (ჰკიცნის სამნივეს)

სამნივე. ახ, ახ! (წამოდგებიან)

შვინდ. (შუაში დგას) მაშ თანახმა ხართ!

სამნივე. თანახმა ვართ, თანახმა!

შვინდ. კეთილი და პატიოსანი; ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „ჩათრევას...

მაქთ. (აწყვეტილებს) ჩაყოლა სჯობიანო! * (საერთო სიცილი)

ფარდა.

დასასრული.

თონდირე

ანუ

დარბაზს შესვლა შენ ხელთ არის,
გამოსვლა-კი ჰატრონისა.

ვოდევილი 1 მოქმედებად.

Настоящій водевиль, подѣ названіемъ „ОХОТНИКЪ“ В. Гуніа, разрѣшенъ Г. Главноначальствующимъ Гражданскойю частью на Кавказъ на основаніи 84 ст. уст. Ценз. къ представлению на сценахъ края. Декабря 4 дня, 1891 г. г. Тифлисъ.

Предсѣдатель Комитета М. Гаккель.

Секретарь Н. Меликъ-Нубаровъ.

მომენტები პირზი:

თავ. რეგიზ ნადირაშვილი, ქართველი მემამულე 35 წ-
ნურა, ამისი ცოლი 19 წლისა-
საჩიბალდა უშტორინაძე, ახლგაზდა ყმაწვილი 25 წ-
უცხოეთში ნამყოფი.

სოფიო, მსახური გოგო.

მოქმედება სწარმოებს გორის მაზრის ერთ-ერთს
სოფელში.

მონადირე.

სცენა წარმოადგენს სასტუმრო ოთახს ნადირაშვილის სახლში: შეუში და მარჯვნივ კარებია; შეუ კარიდგან მოჩანს ბაღი. სცენაზედ არის ტახტი, სავარძელი, კუშეტკა; შეუ სცენაზედ სდგას სტოლი, რომელზედაც დაყრილია უურნალ-გაზე-თები. მარცხნივ დგას ტახტი და კედლებზედ დაკიდულია თო-ფები, ხმლები, ირმის რქა და ყველა მონადირის იარაღები—ფარდის ახდამდინ ისმის ძაღლების ყეფა.

I.

რევაზს სძინავს, შემორბის ნუცა.

(რევაზს სძინავს დივანზედ. ახალუხი (მოკლე) და დიდი ჩექშები აცვია. ნუცა სიმღერით შემორბის, თან გაზეთები და ბა-რათები შემოაქვს.)

ნუცა. რევაზ, რევაზ! აი, ეს არის ეხლა მოიტანეს ფოსტა, პირდაპირ ქალაქიდგან არის! (აიღებს ივერიას და შლის.) შეხე რა ლექსია?.. ახ, აკაკისა ყო-ფილა! (მღერის) „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“; მღერთო, რა მშვენიერ ლექ-სებსა სწერს აკაკი! ნეტა გამაცნო მაინც! (მღერის) „ვინც შენატროს იმას სიკვდილს, უმალ მასვე და-ამიწებს“! (შემოდის სოფიო და თაიგული შემოაქვს.)

II.

იგინივე და სოფია.

სოფია. (სიმღერის დროს) ქალბატონო, ქალბატონო!

ნუცა. ჰა, რა დაგემართა, რა ამბავია?

სოფია. ქალბატონო, აი ეს თაიგული არჩილ უშტვინაძემ მოგართვათ.

ნუცა. ძალიან კარგი; აი, აქ დასდევით! (სოფიო თაიგულს სტოლზედ დასდებს)

სოფია. ქალბატონო, ის ყმაწვილი აქ იცდის, თუ შეიძლება და თუ დრო აქვს—უნდა ვინახულო შენი ქალბატონიო.

ნუცა. ძალიან კარგი; მე დიდად მოხარული ვიქნები! (სოფიო გადის) შენ ხომ წინააღმდეგი არ იქნები, რევაზ? მე დარწმუნებული ვარ, რომ დროს ჩინებულად გავატარებთ! ჰა?.. რაო? რას დაჩუმდი? აბა ერთი შეხედე, რა მშვენიერი თაიგული გამომიგზავნა? რა დაგემართა, რევაზ, რომ ხმას არა მცემ!? გესმის, წაგეჩხუბები, თუ ხმას არ გამცემ! ყმაწვილო, არ გესმას?! (მიხვდება რომ რევაზს სძინავს. რევაზი ხვრინავს.) ღმერთო, ეს რა მესმის! სძინავს და მერე რა მაგრად სძინავს!.. მე-კი მგონია, სიმღერას ყურს უგდებს მეთქი... ამას-კი თურმე სძინავს და ხვრინვით ბანს მაძლევს! არა, ეს მეტის-მეტია, უთუოდ

გვაღვიძებ, უთუოდ! (მივა ახლოს) რევაზ, ჩემო კონგრე! რას ჩადიხარ... საცაა დალამდება და შენ-კი გძინავს; რა დაგემართა, ყმაწვილო? როგორ არ გეცოდება ახალგაზდა ცოლი? (წყენით) აბა, რაღა ვქნა ეხლა? აი, ასე მიღის მთელი ჩემი დღეები! ვისთან გავატარო ეს საღამო? მე ჯერ არ მეძინება და ეს-კი ხვრინავს! მე დარწმუნებული ვარ, რომ რევაზს შევძულდი, თორემ ჯერ ოთხი თვეც არ არის, რაც შემირთო და როგორ მექცევა!.. რევაზ! რევაზ! (რევაზი უფრო ძლიერ ხვრინავს) აი ხვრინვა და დარღუბალა შენს თავს-აპა! (აჯავრებს) ხრრ... ხრრ... მე დარწმუნებული ვარ, რომ ეხლა ნადირობა ესიზმრება! (რევაზი ხვრინავს) აპა კიდევ... ღმერთო, რანაირი სიჩუმეა? უჰ, ნეტა მოვიდეს ვინმე!.. ის არჩიბალდ უშტვინაძე მაინც სადღაა აქამდინ?.. ნეტა მალე მოვიდეს! რევაზს თუმცა ძლიერ არ მოსწონს, მაგრამ მე ეხლა, მაგის გაჯავრებული, არჩიბალდთან უფრო თავაზიანად ვიქნები... (აჯავრებს) „უშტვინაძე ბრიყვი და სულელი არისო“. არა, თქვენმა მზემ, უშტვინაძე თქვენა ბევრათ გჯობნისთ, ათასჯერ გჯობნისთ... ათას-ჯერ, გესმის!.. (სიხარულით) მოვა თუ არა, ჩვენ ისეთ ალიაქოთს ავსტეხავთ, რომ ძილი-კი არა — გიშსავით გარბოდეს აქედან... მაშინ გაიღვიძებს ეს დათვი, ესა! (ხმა უშტვინაძისა გარედან: ხომ შეიძლება) აი ისიც!..

III.

იგინივე და არჩიბალდ.

არჩიბალდ. (მშვენიერად ჩატულია საზაფხულოდ, რევაზს ვერ ხედავს. თავისთვის) მარტო ყოფილა... (მაღლა) დიდათა გმადლობთ, კნეინა, რომ ნება მოშეცით და მიმიღეთ!

ნუნა. მეც მადლობელი ვარ, რომ არ დამივიწყეთ და მნახეთ!..

არჩიბ. მე დიდი ხანია რაც დიდი სურვილი მაქვს თქვენსა ყოფნისა...

ნუნა. დიდათა გმადლობთ თაიგულისათვის!..

არჩიბ. (თავისთვის) მგონი ჩემი წერილი არ უნახავს... თქვენ ალბად ძალიან გიყვართ ყვავილები.

ნუნა. აბა ყვავილები ვის არ უყვარს? აი ჩემს ქმარს ნადირობის მეტი არაფერი უყვარს და სულ ნადირობაში ატარებს თავის დრო და ეამს.

არჩიბ. მეც თქვენი გემოვნებისა ვარ! მე ვიცი რომ თქვენს ქმარს ძლიერ უყვარს ნადირობა და თქვენც ხშირად მარტო ბრძანდებით ხოლმე...

ნუნა. მერე თქვენ საიდამ იკით?

არჩიბ ეჭმ... საიდამ ვიცი!.. ამის მეტი რა ვიცი? მე ისიც-კი ვიცი, რომ თქვენ ხშირად მოწყენილი ხართ ხოლმე... მარტოდ-მარტო...

ნუცა. მერე საიდან იცით ესრე დაწვრილებით
ყველაფერი?..

არჩიბ. საკვირველი რა არის?.. მე დაწვრილე-
ბით ვიცი აქაური ქმრების ხასიათი და ყველა მათი-
ზე-ჩვეულება, ჩემო მშვენიერო მეზობელო!

ნუცა. (თავისთვის) მშვენიეროვო!

არჩიბ. ნადირობა?.. უნდა მოგახსენოთ, რომ
ჩემის აზრით ნადირობა ველურობაა,— აი, ჩვენში,
ესე იგი, პეტერბურგში, პარიჟში,— იქ ნადირობა-
სრულებით არ იციან... აბა წარმოიდგინეთ, რა და-
აშავა მელამ ან კურდლელმა, რომ სიცოცხლეს არ-
თმევენ იმ საცოდავებს!?.

ნუცა. რა ჩვილი გულის პატრონი ყოფილ-
ხართ?..

არჩიბ. ჩვილი გული და ეგრე! ჩემი გული სწო-
რედ სიყვარულით და გრძნობით სავსე თონეა!.. მაგ-
რამ მოგახსენოთ: მაგალითად ჩვენში პეტერბურგში,
პარიჟში ცოლები ქმრებს ნებას არ აძლევენ, რომ
ინადირონ და თუ ქმრებმა თავისი მაინც არ მოი-
შალეს, მაშინ მათი მშვენიერი ცოლები შურს უგე-
ბენ და ვაჟბატონებზედ ნადირობენ... ხა! ხა! ხა!
(თავისთვის) ვგონებ კარგად ვსთქვი! (მაღლა) ჩემის აზ-
რით ეს საუცხოვო შურის ძიებაა!.. თუ თქვენი ქმარი
ასე ველურად გექცევათ და თქვენისთანა მშვენიერს ან-
გელოზს მარტოდ-მარტოს გტოვებთ, მაშინ თქვენი
ქმარი ლირსია, რომ სამაგიერო გარდაუხადოთ, ესე

იგი... თქვენ ნუ იფიქრებთ, რომ მე იმის დროის მცირებულება
ვიყო! არა, ღმერთმა დამიტაროს!.. მე... მხოლოდ
თქვენი გულისთვის...

რეგაზ. (ძილში ამბობს) არიქა, მურკა, მურკა...
არიქა! დახე-დახე!..

არჩებ. (შეშინებული წამოხტება) ვაი მე!..

ნუცა. (იცინის) ნუ გეშინიანთ, სიზმარშია და ძალ-
ლებს ეძახის...

არჩებ. (შეშინებული ჩუმად) ღმერთო ჩემო, ეს რა
მიყავით, მშაენიერო კნეინავ, რად არ მითხარით,
რომ თქვენი ქმარი შინ იყო!.. (შემკრთალი) მე სხვა
დროს მოვალ და მაშინ მოვილაპარაკოთ... მე ბევ-
რი რამ მაჭვს თქვენთან სათქმელი...

ნუცა. (არ უშევებს) ნუ მიღიხართ! რისა გეში-
ნიანთ? მაღლა ილაპარაკეთ! ნუ გრცხვენიათ! წარმო-
იდგინეთ, რომ ქმარი შინ არა მყავს!

არჩებ. კეთილი და პატიოსანი, კნეინავ, მაგრამ
როგორ წარმოვიდგინო, როდესაც აქ გვერდზე
არის; წევს და ხვრინავს!.. არა, მე წავალ, იქნება
მეტი ვსთქი რამე! იქნება... მაპატიეთ...

ნუცა. არაფერი, არაფერი! ღმერთო ჩემო, რა
მშიშარა ყოფილხართ? ან იქნება თქვენა გგონიათ,
რომ ჩემი ქმარი თქვენზე ეჭვს აიღებს?

არჩებ. დიალ მაგისი მეშინიან!

ნუცა. თქვენზე ეჭვი? (იცინის) ხა! ხა! ეს შეუძ-
ლებელია; მე თქვენ გარწმუნებთ, რომ არაფერი არ

საქონლებული
პიგვერის მიერ

იქნება! ან თქვენ ისეთი რა სთქვით, რომ ეჭვი შეიტანოს?

არჩიბ. მე... მე არაფერი არ მითქვამს, მაგრამ მაინც...

ნუცა. არც მაგრამ და არც—მაინც, დაბძანდით!

არჩიბ. არა, არ შემიძლიან, სხვა დროს მოვალ...

ნუცა. თქვენი წასვლა შეუძლებელია! აქ დაბრძანდით! ერთად ვავატაროთ ეს საღამო, თორემ მე ძალიან მოწყენილი ვარ! გეთაყვა, დაბრძანდით!..

არჩიბ. (შეშინებული აქეთ-იქით იხედება, დაბლა) ოჰ, მშვენიერო კნეინავ, რომ იცოდეთ!.. მაგრამ წარმოიდგინეთ!..

ნუცა. მალლა ილაპარაკეთ! რას ჩურჩულებთ? (ჯება) თქვენც დაჯექით! (არჩიბალდ შეშინებული დაეშვება) აბა, ილაპარაკეთ, მე ყურს გიგდებთ!..

არჩიბ. (ოხვრით) ოხ, ნეტა სხვა დრო იყოს!.. კნეინა, თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ რა მემართება-ეხლა... თქვენ თაიგული არ ვაგიშინჯავთ, თორემ მიხვდებოდით ჩემის გულის თქმას... (უნდა აიღოს თაიგული და თავისთვის) ბიჭი არ ვიქნები თუ არ ჩაგიგდეხელში! (ამ დროს რევაზი მალლა ხერინავს) ვაი მე!.. (გაუშვებს თაიგულს ხელიდგან) არა, სხვა დროს მოვალ, უკაცრავად!..

ნუცა. (თავისთვის) ღმერთო, რა დაემართა, როგორ იქცევა! (იმას) თქვენ მგონია, ერთ დროს სამხედრო სამსახურში იყავით!

არჩია. დიალ, ვიყავი, მაგრამ დედი-ჩემის სიყვარულით გამოველ და გარდა ამისა ვერც ავიტანე სამხედრო სამსახური...

ნუცა. სწავლა სად მიიღეთ, აქ თუ უცხოეთში?

არჩია. დიალ, აქაც ვსწავლობდი, დედა მასწავლიდა, ხან დეიდა, მერე პეტერბურგში და საფრანგეთშიაც ვსწავლობდი...

ნუცა. კიდეც იმიტომ ხართ ასეთი უცნაური! ალბად უცხოეთში სხვანაირი სწავლა სკოლნიათ.

არჩია. არა, სულ გამუდმებით უცხოეთში როდი ვსწავლობდი,— ერთხელ დედა ჩემმა გიმნაზიაშიც მიმაბარა.

ნუცა. მართლა?

არჩია. მაგრამ გიმნაზიაში როდი გავძელი.

ნუცა. რატომ?

არჩია. წარმოიდგინეთ, მარტო პირველ კლასში სამი წელიწადი დავყავი და მერე მეოთხეზე არ დამარჩინეს.

ნუცა. ალბად ზარბაცობდით?

არჩია. რას ბრძანებთ, ზარბაცობა რა სახსენებელია! მიზეზი სულ მასწავლებლები იყვნენ! ოჰ, ეს მასწავლებლები!.. ოჰ, რამდენი სისხლი გამიფუჭეს, რომ იცოდეთ, მაგრამ, მოგეცათ სიცოცხლე, არც მე ვაყენებდი იმათ ხეირსა!.. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ხანდისხან მთელი ერთი სათოს განმავლობაში გაკვეთილს მიხსნიდნენ, მაგრავ აპა-პა-პა!

თქვენც არ მომიკვდეთ, თითქოს ჩინურ ენაზედ მე-
ლაპარაკებიანო, ისე მქონდა ყურები დაშვებული,
ისე გავსულელდებოდი ხოლმე ჯიბრზედ, რომ ყვე-
ლანი ვიროს მეძახდნენ!..

ნუცა. (იუნის) ხა! ხა! ხა! რა ახირებული ყმაწ-
ვილი ყოფილხართ! მერე ვის ეჯიბრებოდით?

არჩებ. მასწ ვლებლებს!.. დიახ, თუმცა ისინი
სისხლს მიფუჭებდნენ, მაგრამ მეც ბევრს გაუსივე
ნალველი! გიმნაზიიდამ გამოველი და უნივერსიტეტ-
ში მინდოდა მომზადება, მაგრამ მითხრეს, რომ იქაც
ინტრიგები იციანო და ამიტომ რუსეთს თავი დავა-
ნებე და საფრანგეთში დავასრულე ჩემი სწავლა-გა-
ნათლება!

ნუცა. (დაუნვით) მაინც რა ხელობა შეისწავლეთ!?

არჩებ. (მხიარულად) ხელობა რად მინდა, დურ-
გალი ხომ არა ვარ!.. მე ხუთ ენაზედ ვლაპარაკობ,
ყველა ტანცები ვიცი, ყველა ოპერეტების კუპლე-
ტები თითქმის ზეპირად ვიცი.

ნუცა. აბა ერთი იმღერეთ! მე ძლიერ მიყვარს
კუპლეტები.

არჩებ. დიდის სიამოვნებით, მაგრამ თქვენი
ქმარი...

ნუცა. ნურაფრისა ნუ გეზინიანთ! ჩემს ქმარს
როცა სძინავს, ზარბაზნებიც რომ დასკალონ, მაინც
ვერ გააღვიძებენ! აბა, დაიწყეთ!

არჩებ. (არჩიბალდი ნელის ხით იწყობს, შეშინებული

თან იხედება რევაზისაკენ, მერე თან-და-თან უმატებს და თა-
მამად მღერის ბოკაჩიოს ხმაზედ. ნუკა ეუბნება ხოლმე, „მალ-
ლა“, რევაზი ბანს აძლევს ხვრინვით)

უცხოეთი მოვიარე, რესიეთის ყველგან გიუავი,
კიცი მღერა, ტანციობა, მთელი ქვეშნის ამბავი,
მაგრამ არსად არ მინახავს თქვენისთვის ღამძაზი,
ჩემი რედა ბრედა, დათვი რომ გყავს ქმირია!
აბაზი, აბაზი...

ნუცა. (იუნის) ხა, ხა, ხა! ძალიან კარგი, მაგრამ
ეგ აბაზი, აბაზი რაღა არის!

არჩებ. რითმებისთვისაა საჭირო კნეინავ, ლა-
მაზი, აბაზი, ლამაზი, მალხაზი, პრიკაზი და სხვა...

ნუცა. (იუნის) ხა! ხა! ხა! რა პოეტური ნიჭი-
გქონიათ?

არჩებ. მაშ, როგორ გევონათ? ლექსებს ისე
ვსწერ, თითქოს ჭადებს ვაცხობდე! (ესმის რევაზის
ხვრინვა) ვაიმე!..

ნუცა. რა იყო?

არჩებ. არა, კნეინავ, მე გეახლებით!.. მე ეხ-
ლავე აქ გავჩნდები!.. (მიღის ქუდის ასაღებად) მე ეხ-
ლავე აქ გავჩნდები, ნახვამდინ! (შიშით იხედება)

ნუცა. სად მიღიხართ, სად? (აიღებს თაიგულს)

არჩებ. უთუოდ გეახლებით, ათი წუთის შემ-
დეგ გეახლებით! საქმე მაქვს!.. (თავისთვის) თაიგული
აიღო! ეხლა-კი უთუოდ დაინახავს ჩემს წერილს და
მაშინ ჩემი საქმე გაჩარხული იქნება! (გადის თან რე-
ვაზისაკენ შიშით იხედება.)

IV.

ნუცა და რეგაზ.

ნუცა. ღმერთო, რა ბრიყვი ყოფილა! მე ისე მეგონა გამამხიარულებს, გამართობს-მეთქი, ეს-კი არა, სულელი ყოფილა! ჩემი ქმარი მაინც არ იღვიძებს და არა... ვერც სიმღერა, ვერც თამაშობა ვერ გა- აღვიძებს! ერთი შეხედეთ რასა ჰგავს? ერთი კვირაა წვერი არ მოუპარსავს! ღმერთო, რა მოწყენილი ვარ!.. (ჯდება და ამთქნარებს)

რეგაზ. (ამთქნარებს) მგონი ცოტად მიმძინებია...

ნუცა. (ვერ ხედავს მღვიძარე რევაზს) უწინ ისე მექ- ცეოდა, თითქოს უჩემოდ სიცოცხლეც არ შეეძლო... ეხლა-კია?.. სულ სძინავს და ხვრინავს, ხვრინავს და სძინავს!.. მთელი დღეები სანადიროდ დაეხეტება... მე-კი სულ დამივიწყა; მოდი და ნუ გაჯავრდები!

რეგაზ. ბიჭოს! ხომ არ შეიშალა! როგორ თა- ვისთავად ლაპარაკობს, ჰა? ღმერთო, მიშველე!

ნუცა. ეს რაღაც ნადირობა გაუჩნდა და სულ ტყეში იკარგება! ნეტა ვიცოდე, რა სიამოვნებას ჰქედავს იმ ნადირობაში?.. ახალგაზდა ცოლი შინა ჰყავს და თითონ კი ტყეში გარბის... სულელი!

რეგაზ. ნადირობა! ეჟე! ჩემზედ ჰქონია ბაასი! მოდი ისევ მძინარედ ვეჩვენები! (ხვრინავს)

ნუცა. (აჯავრებს ქმარს, ბოხის ხმით) გამარჯვე- დრამები და კომედიები. ვ. გუნდა

ბა, ნუცა! როგორ გაატარე დღევანდელი დღე?!. (თავის ხმით) არაფერი, ისე როგორც ყოველთვის! როგორ ინაცირე? (აჯავრებს ქმარს) ოჭ, შე პატარავ, საშინლად მოშშივდა, სადილი მაკამე, თორემ შენ შეგვამ! (თავის ხმით) მზად გახლავს! (ქმარს აჯავრებს) გეთაყვა, ნუცა, არ გეწყინოს რომ ისე დამიგვიანდა, ძალლისავით დამშეული ვარ, აბა მალე!.. მერე და-ჯდება და დაიწყებს ლაპარაკს ძალლებზე, კურდლებზე, დათვებზედ... თითონაც დათვია და რაღა უჭირს!.. ის-კი არ იცის, რომ მთელი დღე მარტო-ობაში მოწყენილი ვარ!.. აბა რა ოხრად მეპრიანება იმისი კურდლელი, ძალლი, მწევარი, დათვი, მგე-ლი... ოღრო ჩოლრო! (ტირილით) მტრედი, ხოხობი, წამალი, თოფი, ტყვია, მურკა, შავკა!.. ნეტა ვიცო-დე რა ოხრად მეპრიანება ყველა ეს მხეცები!..

რეგაზ. (თავისთვის) ეჭე!.. იი საქმე რაში ყო-ფილა!...

ნუცა. (ცრემლებს იხოცავს) მაგრამ ვნახოთ, ბო-ლოს ვინც გაიცინებს; მეყო ამდენი სისულელეც, მეც მინდა სიამოვნება, დროს გატარება; მე რომ ნადირობა არ ვიცი, სხვა შესაქცევარს ვერ მოვიგო-ნებ-თუ?.. იი ვნახოთ! (მივა გაჯავრებული ქმართან, მაგ-რამ ისევ დაშვიდდება) არა, არ შემიძლიან, მეტად მიყვარს ეს დათვი ესა; სჯობია რომ ისევ ალერ-სით მოვაბრუნო, თორემ სიანჩელით ვერაფერს გა-ვაწყობ!.. ოჭ, რა სიჩუმეა? (ჯდება) რა მოწყენილი

ვარ?.. ოჰ, ნეტავი მეც დამეძინებოდეს! (ამთქნარებს) ბედნიერია, ვისაც ძილი შეუძლიან... ოჰ, მეძინება... (ამთქნარებს) ოჰ, ოჰ, ოჰ!.. (მიჩუმდება და ეძინება. თუ თეატრში მუზიკა (ორკესტრი) იქნება რასმეს დაუკრავს სამს წუთს.)

რევაზ. (ცოტათი წამოდგება და ცოლს ათვალიერებს) მგონი დაიძინა! ეს კარგი ამბავი გავიგონე, თქვენმა მზემ!.. კარგია რომ დროზედ გავიგე, თორემ დავიღუპებოდი: ქალს თუ დროზედ ვერ მოასწარი— მშვიდობით! (უშტავს) ჭიტუუ... ხელიდგან გაგეცლება! მეც დამნაშავე ვარ! ახალგაზდა ცოლი და მარტოობა!..— მესმის რად არის მოწყენილი— ზაფხულია და გვერდზედ უნდა ყავდეს ვინმე კაცი, თორემ, რა თქმა უნდა, მოსწყინდება! (ამ დროს ძილში დაუვარდება ნუკას თაიგული) ბიჭოს, რა მშვენიერი თაიგულია... ბიჭოს— ბიჭოს! ვისგან იქნება?!.. მოდი ვნაზო! რა ხელოვნურად გაუკეთებია! (უნდა გასინჯოს, ამ დროს გამოვარდება წერილი) ბიჭოს! ეს რა ამბავია? წერილიც!.. მაშ ნუკას ჯერ არ დაუნახავს! ნეტა ვიცოდე, ვინ გაბედა ამ წერილის მოწერა? ატა-ტა-ატა-ტა! საქმე ცუდად გათავდებოდა, რომ არ გამლვიდებოდა!.. ვისი ხელობაა ეს წერილი? ჰა? უთუოდ ჩემი მეზობლისა იქნება— უშტვინაძესი! თუ მართლა უშტვინაძესია, ისე ავაშტვენ რომ თავის დღეში არ დაავიწყდეს! (ისმის არჩიბალდის ხმა: შეიძლება? გოგოს ხმა:— მობრძან დით!)

რევაზ. (თოფს გადმოიღებს) აჸა, იმისი ხმაა... მო-

ბრძანდი, ბატონო, უშტვინაძე! (იმალება თოფით კუთხეში.)

V.

იგინივე და არჩიბალდ.

არჩიბ. (შემოიხედავს, მერე უყურებს დივანს, სადაც რევაზს ეძინა.) ოჰო!.. მონალირე სანადიროდ აბარგებულა!.. კეთილი ნუცას სძინავს; ან იქნება თავს იმძინარებს?!.. ვიცი, ვიცი!.. ოჰ, ეს ქალები!.. ალბად ჩემს წერილს წაიკითხავდა... (მივა და მუხლებზედ დაეშვება ნუცას წინ) ჩემო ანგელოზო, ნუცა! მგონი სძინავს, ეს უფრო კარგი—ეხლა-კი ჩვენ ვიცით: ნუცა, ჩემო ღმერთო!

რეგაზ. (ემიზნება) მე გიმიზნებ მარცხენა ყურში!

არჩიბ. (შემკრთალი იხედება და იქვე გაშეშდება) ვაიშე!..

რეგაზ. (მთელი ეს სცენა მიღის სწრაფად და ჩუმად) ტსს... შესდექ და გაქვავდი, თორემ ეხლავე გა-გაქრობ!

არჩიბ. (კიდევ დაჩიქილი) მაპატიეთ... შემიწყალეთ, ღვთის გულისთვის! ამაცილეთ ეგ თოფი... მე მზადა ვარ, რომ... რომელიც... რომ...

რეგაზ. (დაუშვებს თოფს, აიღებს თაგულს და უძინს არჩიბალდს) აქ მოდი და პისუხი გამე, ბატონო უშტვინაძე! აბა ერთი დაუშტვინე!

არჩიბ. მაპატიეთ!

რევაზ. დაუშტვინე-მეთქი!

არჩიბ. ამ საათში... (უშტვენს) ტჭუუ!...

რევაზ. პარიეში აგრე იციან შტვენა?

არჩიბ. (შეშინებული) დიალ!

რევაზ. იქ მშიშარები ბევრნი არიან?

არჩიბ. (შეშინებული) დიალ!

რევაზ. დუელზედ უარს ხომ არ იტყვი?

არჩიბ. დიალ!

რევაზ. დიალ-კია არა, დუელი-მეთქი!

არჩიბ. დუელი! მაპატიეთ!..

რევაზ. მიპასუხე-მეთქი, ხომ თანახმა ხარ!

არჩიბ. (კვნესით) დიალ!

რევაზ. მართალს მეტყვი რომ გკიოხო რამე.

არჩიბ. დიალ!

რევაზ. ეს წერილი შენ დასწერე?

არჩიბ. დიალ!

რევაზ. გამომართვი ეს თაიგული! (აძლევს)

არჩიბ. (გამოართმევს შიშით) დიალ!

რევაზ. ხომ ხედავ ეს წერილი გახსნილი არ არის?

არჩიბ. დიალ!

რევაზ. მაშასადამე, ჩემ ცოლს არ წაუკითხავს.

არჩიბ. დიალ!

რევაზ. აი თაიგული, აი ეს წერილიც! (შეარ-
კობს წერილს თაიგულში) აი ესა მიზანი იქნება! (დააყე-

ნებს კუთხეში თაიგულით) აი აქ დადექი, ეს თაიგული ზევით ასწიე—თავზედ დაიჭირე, მაგრამ არ დაიძრა! (აძლევს თაიგულს და ხელს აუწევს) აი აგრე, მე-კი აქედან წერილს გავხრეტავ!

არჩიბ. (შეშინებული) გახვრეტავთ! მერე როგორ?

რეგაზ. შენ ხომ ძალიან გიყვარს ოპერა და ოპერეტები? მე მინდა მოგაგონო ერთი სცენა ვილელმ ტელიდგან.

არჩიბ. (კანკალებს და იგრიხება) მე... მაპატიეთ...

რეგაზ. ტსსს... ხმა გაქმინდე! (ემიზნება) თორემ მოგკლამ! (უმიზნებს და უხარიან, რომ არჩიბალდ თრთის—დიდი ხანი ემიზნება)

არჩიბ. (არჩიბალდს მუხლები უკანკალებს, თითქმის გული უღონდებაო) ერთი სიტყვა მათქმევინეთ...

რეგაზ. (ემიზნება) სთქვი, მაგრამ მალე გაათავე!

არჩიბ. (მალე და აკანკალებულის ხმით) მე მშიშარა არა ვარ, მაგრამ... მე მზადა ვარ სიკედილს მივეგებო... მამა...ცურა...ცურა... მამაცურად... მაგრამ ცოლი შეიბრალეთ, თორემ თოფის ხმა მოჰკლავს!..

რეგაზ. (დაუშვებს თოფს) ყოჩალ! რანაირად მომიარა! საიდამ გამოაძვრინა თავი? აი შე მშიშარავ! გამომართვი ეს წერილი და ამ წუთაში მიირთვი! (აძლევს წერილს.)

არჩიბ. როგორ თუ მივირთვა?

რეგაზ. ისე მიირთვი, რომ შესჭამე!

არჩიბ. აბა როგორ შევჭამო?

რეგაზ. კბილებით დაღეპე და გადაყლაპვე!
არჩიბ. მაპატიეთ!..

რეგაზ. მალე-მეთქი! (თოფს დაუმიზნებს) მალე-
მეთქი!

არჩიბ. (შეშინებული) ეხლავე! (ლეპავს წერილს და
თან კანკალებს) ეს თოფი მაინც მომაშორეთ! (ლეპავს)

რეგაზ. არა უშავს-რა, ასე უფრო გემრიელად
გეჩვენება.

არჩიბ. (გადაყლაპავს) გავათავე!

რეგაზ. ეხლა ეს ვარდიც ზედ დააყოლე მურა-
ბის მაგიერ.

არჩიბ. (სჭამს ვარდს) დიალ, ეხლავე!..

რეგაზ. ეხლა ეს ყვავილები გულზედ გაიკეთე!
(უკეთებს თითონ და იმასაც აკეთებინებს, ყველა ლილის აღ-
გილში სჩრის თვითო ვარდს)

არჩიბ. ეგ რა საჭიროა?..

რეგაზ. ქალებს უფრო მოეწონები.

არჩიბ. მაპატიეთ!.. კნიაზო, თუ შეიძლება ეგ
თოფი იქით წაიღეთ.

რეგაზ. (უმიზნებს თოფს) აბა ეხლა გასწი, მაგ-
რამ ისე გასწი რომ ტყვია არ მოგეწიოს! (არჩიბალ-
დი გარბის და თან სკამებს წააწყდება) ხა! ხა! ხა! როგორ
გარბის! ლმერთსა ვფიცავ კურდლელიც ვერ გაიქ-
ცეოდა ისე! ხა! ხა! ხა!

ნუტა. (ილვიძებს) რა ამბავია! რა იყო?

რეგაზ. ის იყო, ჩემო მშვენიერო, რომ დალუას
იქეთ ნადირობისათვის თავი დამინებებია!

ნუცა. აი შე დათვო! ალბალ ყური დაუგდე ჩემს
ჩივილსა!

რეგაზ. სრულებითაც არა.

ნუცა. მაშ სანაციროთ არ წახვალ-ხოლმე?

რეგაზ. არ წავალ და ამ დღეებში ქალაქში
ამოვყოფთ თავსა!

ნუცა. შენი კირიმე, ჩემო დათვო!

რეგაზ. ჩემო პატარავ! (ჰელინის ერთმანეთს)

არჩაბ. (მობრუნდება კარებში) გაამოო!.. უკაცრა-
ვად ქუდი დამრჩა!..

ნუცა. {
რეგაზ. } (სიცილით) მობრძანდით, მობრძანდით!

ფარდა.

დასასრული.

საც ას მესაგება—ას შემესაგება

ანდაზა ერთს მოქმედებად.

Настояцій водевиль, подѣ заглавiemъ „НЕ ВЪ ПАРУ“ В. Гуніа, за отсутствиемъ Г. Главноначальствующаго, Помощникомъ его на основаніи 84 ст. уст. Ценз. разрѣшенъ къ постановкѣ на сценахъ края. Октября 2 дня, 1892 г. г. Тифлісъ.

Предсѣдатель Комитета М. Гаккель.

Секретарь Н. Меликъ-Нубаровъ.

მომენტები პირზე:

თავადი ზეალ წაღქოტაშვილი, უწყინარი კაცი, სამხედრო სამსახურში ნამყოფი, ეხლა გადაყენებული, 55 წლისა, რუსული საზაფხულო კიტელი აცვია.

ნინო, ამისი ქალი, ცქრიალა და ეშმაკი, სწავლა დაუსრულებელი, 20 წ.

ქნეინა ეფრთსინე ლაბეგარიშვილისა, ქვრივი, ნინოს დეიდა, ცოტა კაპასი ქალია, 40 წლისა, ფერუმარილს ხმარობს.

თავადი ლუბა ამირზაური, მილიციის პორტჩიკი, ცოტათი სულელი, 50 წლისა.

მიხეილ გარდოსანიძე, ახალგაზდა კაცი, მასწავლებელი, სათვალეებს ატარებს.

ბესო, მსახური წალკოტაშვილისა, იმერელი ცულ-ლუტი ბიჭია.

მოქმედება სწარტოებს გრძის მაზრის ერთ-ერთს სოფელში.

რაც არ მერგება—არ შემერგება.

სცენა წარმოადგენს ოთახს ქართულად მორთულს, ტახტი მუთაქებით და ხალიჩებით, სკამები, ჰატარა სტოლი და სხვა ჩვეულებრივი მოწყობილობა. კედელზედ სარკე. შუა კარების უკან მოსჩანს ტყე და აივანი, მარჯვნივ ფანჯარა და კარები, მარცხნივ კარები. შუა დღეა. ფარდის ახდის დროს ნუკა ფანჯარასთან სდგას, ხოლო ვარდოსანიძე გარედ.

I.

ნინო და ვარდოსანიძე.

ვარდოსანიძე. (ფანჯარის იქით) მაშ ვერაფრით ვერ დაარწმუნე მამა შენი?

ნინო. რამდენი არ ვეჩიჩინე, რამდენი არ ველიტინე! არ იქნა; ნებას არ მაძლევს რომ ვითამაშო... რა შენი საქმეა თეატრი, სცენა და როლებით... შერცხვები, სიტყვასაც ვერ იტყვიო; რად გინდა რომ ყველამ დაგცინოს!..

ვარდოსანიძე. რა უცნაური კაცია მამა შენი! აქ ქალაქი ხომ არ არის, რომ ძალიან გავიჭიმოთ და როლები არ გავაფუჭოთ... ვინდა დაგცინებს, როცა ბევრი-ბევრი ერთი ასამდე კაცი მოგროვდეს და ისც ორი მესამედი აქაურები იქნებიან.

ნინო. განა მე-კი არ ვუთხარი ესენი, მაგრამ ვერას გზით ვერ დავათანხმე... სხვა როლი რომ იყოს კიდევ ჰოვო, თორემ თალიკოს როლი „ბაი-უშში“ ყოვლად შეუძლებელია, რომ კარგად შეასრულოვო. შენ არ გინახავს თბილისში როგორ თამაშობენ ამ პიესას, თორემ მაშინ არ გაბედამდიო... როგორ არ მინახავს-მეთქი, ბარემ ხუთჯერ მინახავს „ბაიუშშის“ თამაშობა-მეთქი, სულ ვიცი-მეთქი. შევფიცე როლს მშვენივრად ვისწავლი-მეთქი, სულ ზეპირად მეცოდინება-მეთქი, მაგრამ ამაზედ იცი რა მიპასუხა, შენ რომ სწავლა და დაზეპირება შეგძლებოდაო, ეხლა ინსტიტუტში იქნებოდი და არ გამოგაბრძანებდნენ იქიდანაო!.. და სულ შენი ბრალი-კი არის, რომ ინსტიტუტიდგან გამოველ!

გარდოსანიძე. მერე რა ცუდი ჰქენი... ერთი კაცმა გკითხოს, რა შენი სწავლის დროა!.. არ ხედავ, რასა ჰგევხარ!.. შენ ეხლა ორ-ორი შვილი უნდა გყვანდეს!

ნინო. ბრიყვი და სულელი! რა გაუზრდელი რამა ხართ ყველა მასწავლებლები!.. რა მიზეზია, რომ ყოველისფერს წამოაყრანტალებთ ხოლმე?..

გარდოსანიძე. ის მიზეზია, ჩემო კარგო, რომ მართლის თქმა გვიყვარს...

ნინო. ჰი, თავი დამანებეთ, თუ ღმერთი გწამთ, თქვენის მართლის თქმითა!.. როგორ არა გრცხვენია? მართალი და მართალი!.. აბა სადაური სიმართ-

ლეა ჩემი და შენი საქციელი!.. მამას, თუ უკრა ან
აუკრძალავს ჩემთვის შენთან შეხვედრა და ლაპარა-
კი, მაგრამ მაინც ძრიელა სწყინს. შენ-კი მელასა-
ვით სულ ამ ფანჯარისთან ხარ ატუზული და, ვინ
იცის, რეებს არ მასწავლი!.. მამას რომ ვატყუილებ,
განა ეს სიმართლეა?!

გარდოსანიძე. ეჭე-ჰე... მაშ აი როგორ დამი-
წყეთ ეხლა ლაპარაკი! მშვენივრად ლაპარაკობთ,
ქალბატონო... მაშ, ეს რა არის? აი? (ამოიღებს ჯი-
ბიდან მთელ დასტა წერილებს) განა თქვენ არ მომწერეთ
ყველა ეს ბარათები?.. რომ ერთად შევკრათ კარგა
ქართლის ცხოვრების ოდენა წიგნი გამოვა... მერე
ნეტა დღეში ერთს მწერდეთ; ზოგჯერ ხუთი წერი-
ლი ერთად მომდის!.. საწყალი ბესოს, ვგონებ, ფე-
ხები მოვარდეს ამდენის სიარულით!

ნინო. (წყენით) მერე თუ ძლიერ გწყინთ, ბატო-
ნო, რაღათ მოდიხართ ხოლმე... მე სრულებით არ
მეგონა, რომ თქვენ გეზარებოდათ...

გარდოსანიძე. მე-კი არ ვიცოდი, რომ ასე გა-
თავდებოდა საქმე. თვითონ გამოიტანძლა, გამაჯავ-
რა და ეხლა მევე შიჯავრდება!

ნინო. მაშ როგორ გეგონათ!

გარდოსანიძე. მე ის მგონია და უკეთესიც იქ-
ნება, რომ შენ საქმეს რიგიანად მოსჭიდო ხელი.
მართლა, ბავშვი-კი არა ხარ და ტყვილად თავს ნუ
იყატუნებ, რომ არაფერი გაგეგება!.. დაათანხმე მამა

შენი ჩვენ ქორწილზე, თორემ საცაა ზაფხულის გვა-
თავდება და მაშინ, ხომ იცი, ისევ ჩემს ხელობას
უნდა მივყო ხელი და ქორწილისა აღარ მეცლება!..
ამაზე რას მეტყვი?..

ნინო. (იხედება აქეთ ჭით) მოიცა არვინ მოგვა-
სწროს,—თორემ, ხომ იცი, დეიდაჩემს რა რიგად
ეჯავრები... ოჯ, მიხაკო, რომ იცოდე, როგორ გა-
მიწყალა გული დეიდამ... მამა მარტო რომ იყოს,
სიცოცხლე მაქვს, მალე დავათანხმებდი, მაგრამ დეიდა!
ლმერთმა დაიფაროს ყოველი ჩემი მტერი დეიდასაგან!..
(აჯავრებს) უბრალო მასწავლებელი რა ჩვენი სასი-
ძოო... შენ თავადის ქალი ხარ და თავადმა უნდა
შეგირთოსო და, მართლაც, ვიღაც თავისთანა უხეი-
რო და ბებრუცუნა გამოუძებნია—თავადი ლუკა
ამირზაური და, ვვონებ, მამასაც მოსწონს... სწორედ
ოთხი ჩემი ხნისა იქნება...

გარდოსანიძე. სხვა არა მინდა-რა, რომ შეგირ-
თოს იმ ბებრუცუნამ... ახი იქნება შენზედ!..

ნინო. მიხა, რათ იცი უბრალოდ გამტყუნება...
შენ, თუ ესეთი ვაჟკაცი ხარ, აიღე, მომიტაცე და
შემირთე!..

გარდოსანიძე. არა, ქალბატონო, მაგისთანა სი-
სულელეს მე არ ჩავიდენ... საქმე ასე აზ გარიგდე-
ბა... ეხლა ცოლს თუ მზითევიც თან არ მოჰყვა,—
გროშ-კაპეიკად არა ლირს ესეთი ცოლ-ქრობა!..



ნინო. მაშ შენ მზითევზე ჯვარს იწერდეთ მეტა
კი მზითვად მიგუევარ?..

გარდოსასანიძე. აჲი, კიდევ დაიწყო სულელო-
ბა? მაგას რომ მეუბნები, განა არ მიცნობ ვინცა
ვარ, როგორიცა ვარ?..

ნინო. რა ვიცი, ვაჟკაცები სულ ეგეთები ხართ:
ფული, ფული და ფული!—ეს არის თქვენი სულის
დგმა, ბეღნიერება და სალოცავი!..

გარდოსასანიძე. რო გეუბნები სისულელეს თა-
ვი დაანებე-მეთქი, ტყვილად-კი არ გეუბნები. ქა-
ლო, განა ფული რასმე უშლის ჯვარის-წერას,
ცოლ-ქმრობის ბეღნიერებას? პირიქით ბევრში-რამ
შველის, ხელს უწყობს და ცხოვრებას უადვილებს...
მაშ რათ გიკვირს, რომ შენთან მზითევიც გამოვართ-
ვა მამა შენს! განა გვაწყენს მამიშენის ფული?

ნინო. (კალუცად) შენ, ეჭ, ჭკვა თუ გაქვს, მა-
გეებს თავი დაანებე და დროზე შემირთე, თორემ
საცაა ის ვიღაც რომ არის, იმას მიმათხოვებენ და
მაშინ-კი დარჩები პირში ჩალა გამოვლებული!..

გარდოსასანიძე. კიდევ!.. მიგათხოვებენ! ქალო,
უსულდგმულო ნივთი-რამ ხომ არა ხარ, რომ არც
აიღონ-დაიღონ და ვისაც უნდათ იმას მიგცენ. შენ
შენი საკუთარი გული, გონება და თავისუფლება არა
გაქვს?

ნინო. საკვირველია ღმერთმანი, ეგ მასწავ-
ლებლები სულ ერთ ლარზე ხართ გარანდული!..

შენ აქ ფილოსოფოსობ და მე-კი არ მკითხავ, ქოს არ იცოდე, რომ ისე გამათხოვებენ, რომ არც-კი მკითხამენ!..

გარდოსანიძე. ქალო, ნუცა, ის დრო წავიდა!.. წავიდა და არც მობრუნდება!..

ნინო. მოიცა, ვიღაც მოდის... კარგი, წალი, თუ რამე უშენოთ მოულოდნელი რამ-შემემთხვა, მაშინვე შეგატყობინებ... .

გარდოსანიძე. კარგი, ნახვამდინ!.. ეცადე მამა-შენმა ნება მოგცეს სცენაზე გამოსვლისა, მაშინ რეპეტიციებზე ბევრი ლრო გვექნება ერთმანერთის ნახვისა... (ხელზე ჰკოცნის) ნახვამდინ!..

ნინო. იცი, მიხა, რა მაგონდება ეხლა: სცენა „რომეო და ჯულიეტიდან“... შენ ფანჯრის ქვეშ და მე-კი აქა... .

გარდოსანიძე. ეჭ, შენ სულ რომანებში და ოცნებაში ატარებ შენს სიცოცხლეს! ნახვამდინ... აბა შენ იცი, ეცადე!.. (გადის)

ნინო. (მარტო) მოიცა მიხა!.. წავიდა... ოჭ ღმერთო, რა ოხრობა-რამ ყოფილა ეგ სიყვარული! როცა ჩემთან არის, მინდა სულ ვტანჯო და ვაწვალო, როცა წავა, მე თვითონ ვიტანჯები და გული არ მითმენს... ის ვიღაც პორუჩიკი რომ არის, მართლა, იმას-კი არ მიმათხოვონ, თორემ, ღმერთსა ვფიცავ, საარაკო საქმეს ვიზამ, არც ავიღებ—არც დავიღებ და ქალაქ თბილისში-კი ამოვყობ თავსა!..

სულელი, გუშინ სალამოზე მეუბნება, რა მშვენიერი
რამა ხართ ამ კაბაშიო. მე კიდევ, სიცოცხლე
მოგეცათ, მოკლედ მოვუჭერ სიტყვა: კნიაზო, მე ყო-
ველ ტანთსაცმელში მშვენიერი ვარ-მეთქი... რაღა
თქმა უნდაო, მიპასუხა, ჩაგრამ მე განსაკუთრებით
ამ ტანისამოსში მომწონხართო... უკაცრავად, კნიაზო-
მეთქი, მაგისთანა საკენკი თქვენს კრუხებს დაუყა-
რეთ-მეთქი და წამოველ ჩემთვის... რაღაც ბლრუ-
ტუნი დაიწყო, თითქოს ცხელ კართოფილით პირი
დაეწოვო!.. მაგრამ სულ დეიდას ბრალი-კი არის,
სულ ის მაჟანკლობს!.. ნეტა ვიცოდე, რათ უყვართ
ხოლმე ხანში შესულ ქალებს, მეტადრე ნათესავებ-
სა, ესეთი გულ მოდგინებით მაჟანკლობა! ქალი არ
ვიქნები, თუ რამე ოინი არ ვუყავი დეიდას და მის
ნაქებ საქმროსა!.. მაგრამ ჯერ მამა უნდა დავათანხ-
მო, ნება მომცეს თამაშობისა... ღმერთო, რა რი-
გად მინდა... რა რიგად მინდა სცენაზე თამაშო-
ბა... ისე ვითამიშებდი, ისე, რომ შაბაშ ყველა
აქტრისებს! ყველას გავათასებდი!.. ეხლა ვითომ თა-
ლიკოს ვთამაშობ: აი ასე მივიღოდი ტახტან და
დავუწყებდი მუთაქებს ლაპარაკს: „შე ოხერო, რა
იქნება ერთი რომ მაკოცო... მაკოცე-მეთქი, არ გესმის,
კოტე... კოტე... კოტე... აპა, თუ არ გესმის“ (ანჯ-
ლევს მუთაქას და კოცნის) ოპ, ღმერთო, როგორ მინდა
სცენაზე თამაშობა! მიხას რომ ცოლად წავყვები
უსათუოდ ქართულ თეატრში შევალ... (მღერით) აი,

დრამები და კომედიები. ვ. გუნია

„მაშინ ნახავთ ჩემს ქალობას. ტა-ტა-ტა-ტა-ტა-ტა-რა!“ აცა, ვიღაც მოდის! (მივა კარებთან) დეიდა ჩემია და ის არხეოლოგიური საქმრო. წავიდე—არ შემ-ხვდეს, თორემ მთელი დღისათვის გუნებას გამიფუ-კებს. (გარბის. შემოვლენ კნ. ეფროსინე და თავადი ლუკა ამირზაური)

II.

ପ୍ରକାଶନ ଓ ଅଧିକାରୀ

ეფრთხოებინე. კნიაზო ლუკა, სწორედ მაკვირ-
ვებთ, თქვენმა მზემ! პატარა ქალმა ისე როგორ შე-
გაშინათ, რომ ხმაც ვეღარ ამოგალებინათ!.. გახ-
სოვთ, წინათ რა ყოჩალი იყავით მაგისთანა საქმეებში?!

ეფრთხოებინე. მით უკეთესი თქვენთვის... რაღას
ყოყმანობთ?

ამირზაური. ყოველობით აღარ ვკოვნინობ,
მაგრამ როგორლაც მეძნელება, იქნება ეს იმით მო-

მდიოდეს, რომ ქალი ძლიერ ჯან-მრთელი და ცნოველია...

ეფრთხესინე. ღმერთო ჩემო, მით უკეთესი თქვენთვის...

ამარზაური. უკეთესად-კი უკეთესია, მაგრავ როგორლაც...

ეფრთხესინე. ოჰ, რა ლაპრის ხასიათი დაგჩემებიათ, კნიაზო ლუკა... ასე თუ ღეჭეთ და ღეჭეთ, არათერი გამოვა... წამობრძანდით, ბალჩაში გავიდეთ, ნუცა იქ იქნება... ლაპარაკი გაუბი-გამოუბით... ამაზე-იმაზე, აქეთ-იქით და ბოლოს გამოუცხადეთ თქვენი სურვილიც—მორჩა და გათავდა!..

ამარზ. რა გაეწყობა, ბატონი ბრძანდებით. მაგრამ, კნეინა ეფროსინე, ეგ საქმე თუ გარიგდა და თუ მე ნუცას პატრონი შევიქმენ, არ ვიცი სწორედ, როგორ უნდა გადაგიხადოთ მადლობა? (გადიან შეა კარებში. კულისებში ისმის ზალის ხმა)

III.

ბესო და ზაალ.

ზაალის ხმა. (კულისებიდან) ბიჭო, ბესო, ბესო!.. ჩემი სათვალები სადლა? ბიჭო, არ გესმის, სათვალები სადლაა-მეთქი? ბესო, ბესო! (შემოღის ბესო)

ბესო. იმე, გამიჭირა ბატონშა საქმე თავის სა-

თვალებით! დღეში ასჯერ მაინც დაკარგავს... მარტო ასე
ოხრად უნდა ის სათვალეები!..

ზაალის ხმა. ბიჭო, ბესო, სადღა ჯანაბა-
ში ხარ?

ბესო. ჯანდაბაშიაც ხარ და ამერიკაშიც! იმე!
აქანე ვარ ბატონო, აქანე!

ზაალ. (ვამოდის) ბიჭო, ბიჭო, სად ოხრობაში
არის ჩემი სათვალები? მთელი საათია იმის დავეძებ...
ხომ იცი, რომ უიმისოდ ვერას ვხედავ!..

ბესო. დედავ, ღმერთო! — რავა იქნება, ბატო-
ნო, ასთე?.. თუ სათვალე გვირდება, ბარემ სულ
მუდამ ცხვირზე იქონიეთ, თვარა მუდამ იხსნით და
მერე თქვენვე არ იცით სადა სდებთ, — წელან არ
მოგართვით?..

ზაალ. ბიჭო, რას ჯავრობ შვილოსა, თითქოს
ბატონი მე-კი არა შენ იყო!..

ბესო. ბატონო, ექანე ბატონობაზე არ არის
საქმე... საქმე საქმეზეა... სადღა მოიხადეთ მერე
სათვალები?

ზაალ. რა სულელი ხარ, ბიჭო! ხანდისხან ჭკვია-
ნი მგონიხარ და ზოგჯერ-კი ღმერთი გიშერება. აბა
რა ვიცი სად მოვიხადე, თორემ შენც არ შეგაწუ-
ხებდი!..

ბესო. მაშ ეხლა ისევ მოელი სახლი ავაქოთო?
მთლიად ავაქოთო აქაურობა.

ზაალ. ბესო, ნუ ჯავრობ ხოლმე... მთელი

სახლი რათ უნდა ააქოთო?.. ნუკას ოთახში არ იქნება, კნეინა ეფროსინეს ოთახშიაც არ ვყოფილვარ, სამზარეულოშიაც არ შევსულვარ. (მოაგონდება) ოჭ, მართლა, ვიცი... ვიცი... მაგრამ არა, მე იქ დღეს არ ვყოფილვარ... იქ გუშინ საღამოს ვიყავი. საღლა უნდა იყოს... სრულებით არ მახსოვეს...

ბესო. ერთი ჯიბეები გეიშინჯეთ—იქნება იქ არის.

ზაალ. ჯიბეები ყველა გავიჩერიკე.

ბესო. თქვენ უფრო კარგა გასჩერიკეთ—ლრმათ ჩაჰყავით ხელი... მე დღეს დილით რომ სერთუკსა ვწმინდავდი ვნახე, რომ ერთი ჯიბე გარღვეული იყო და იქნება ნახვრეტშიდ ჩავარდა სარჩულსა და პირ შეა...

ზაალ. (იშინჯავს ჯიბეს) მაიცა... მაცა... მაცა... იქნება მართლა ეს იყოს!.. (ამოიღებს სათვალეს) აჸა, სწორედ ეს არის... ყოჩალ, ბესო, ყოჩალ!..

ბესო. ეძებთ, ეძებთ და თქვენვე-კი გქონიათ... სათვალებს ფეხები ხომ არ აბია, რომ თვითონ ამოსკუპდეს ჯიბიდან?

ზაალ. ბიჭოს, კიდევ ჯავრობს... ეხლა რა გინდა შვილოსა, ბოდიში გინდა მომახდევინო... შენ თუ კარგი კაცი ხარ, დაინახე თუ არა, რომ ჯიბე გახეული იყო, გააკერინებდი. ეგ ხომ ადვილი სათქმელიც იყო და ადვილი გასაკეთებელიც!..

ბესო. ეხლა ბატონო თერძიკობას-კი ვერ ვი-

სწავლი და ისთე რას გავაკეთებ. აი კნეინა, თქვენი
ნათესავი, რომ ჩამობრძანდა აქა... უთხარით და გა-
აკერინეთ... ტყუილა რომ არის, საქმე გაუჩნდებო-
და მაინც!..

ზაად. ბიჭო, ბესო, რათ ჯავრობ ხოლმე!
(შემოდის ეფროსინე)

IV.

იგინიგე და ეფრთსინე.

ეფრთს. (გაჯავრებული) რა არის, ზაალ, რა ლვთის
რისხვაა!.. ეგ მეტის-მეტია... გაგონილა, თქვენი
კირიმეთ!..

ზაად. რა იყო, რა ამბავია, ცეცხლი ხომ არ-
საღ მოეკიდა!

ეფრთსინე. ცეცხლზე უარესია, რაც მე მე-
მართება... (ბესოს) გადი ბიჭო! უთხარ გავიდეს... სულ
ამაზე ამოვიყრი ჯავრსა!

ბესო. რეიზა კნეინა, რა დაგიშავეთ! ვეიპლეჩ,
რა ყოფილა მაგი!

ზაად. ბესო გადი, ნუ ჯავრობ ხოლმე.

ბესო. ჰიმე! (გადის)

ზაად. რა იყო ეფროსინე, რათ იცი ესრე გა-
დარევა კაცისა!

ეფრთს. ის იყო, რომ მე თქვენ სახლში აღარ

დამედგომება... თქვენი ქალი, მარტო ერთმა დამეოთხასა
მა იცის, რეებს არ ჩადის... შესულა ჩემს ოთახში
და სულ ერთიანათ აუქოთებია იქაურობა!.. ერთი
მობრძანეთ, რა ხელი აქვს იმას ჩემს ნივთებთან?

ზაალ. მე რა ვიცი!.. რა ვიცი, რა ამბავია
თქვენში!

ეფრას. ეგ მეტის-მეტია, თქვენმა მზემ... იმის-
თვის მომიწვიეთ, ბატონო, რომ შეურაცხყოფა
მომაყენოთ, თუ რა არის?

ზაალ. ჯერ ერთი რომ მე თქვენ არ მომიწვე-
ვიხადთ, თვითონ თქვენ ინებეთ მობრძანება, მეორე
ისა, რომ მე არ მესმის, რომელ შეურაცხყოფაზე
ლაპარაკობთ!..

ეფრას. მე თვითონ რომ გეახელით, ბატონო,
ტყვილად-კი არ გხლებივართ, თქვენი ქალის საქმრო
მოგიყვანეთ...

ზაალ. ბატონო, ვინა გთხოვდათ ჩემი ქალის
საქმროს!.. მე რომ მკითხოთ, სულაც არ მინდოდა
ჯერ ნუკას გათხოვება... ჯერ ახალგაზდაა, იცელ-
ქოს, იეშმაკოს!..

ეფრას. ოჰ, თქვენმა მზემ, კარგი სიცელქეა,
რომ ყველას პირში სწვდება და იმ ვიღაც ინსტი-
ტუტის თუ გენიაზიის მასწავლებელს კისერზე ეკი-
დება!...

ზაალ. არა, კნეინა, მაგაზე-კი უკაცრავად გახ-
ლავართ!.. ჩემს ნუკაზე მაგეებს ნუ იგონებთ!.. ნუ-

ცას მე თვითონ ვაძლევ თავისუფლებას, მაგრამ ეს
იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი სისულელე იღაპა-
რა აურნ ჩემს ქალზე... მაგაზე-კი უკაცრავად გახლავარ!
(შემოდის ნინო)

V.

იგინიგე და ნინო.

ზაად. შვილო, ნუცა, ეგ რეებს ჩადიხარ?

ნინო. რასა, მამილო! რას ჩავდივარ?

ზაად. შენ ნუ მეხუმრები, მე არ მეხუმრება!
რად აგიქოთება დეიდას ოთახი?..

ნინო. ოჭო, ამაზე მეკითხები?.. არაფერი, მა-
მილო! აი წარმოდგენას რომ მართამენ, იქ ფერ-უმარი-
ლი უნდოდათ... წამლები იმათ არა აქვთ, აქაც არა-
ვის ჰქონდა ფერ უმარილი; აბა ეხლა ვინა ხმარობს
ფერ-უმარილსა! ვერსად იშოვნეს... მე ვიცოდი რომ
დეიდას ჰქონდა ფერ უმარილი და ლ-ხუსტაკიც...
ვიფიქრე, დედიდას რაღათ უნდა-მეთქი, ის ხომ ბე-
ბერია და აღარ ხმარობს-მეთქი, ამიტომ იმის და-
უკითხავად წავილე. აბა სად არის აქ ცოდო და და-
ნაშაული?

ეფრთს. ჰმ... (თავის ქნევით) ცოდო და დანაშაუ-
ლი? თქვენ, ქალბატონო, ვინ მოგცათ ნება, დაუკით-
ხავად რომ ჰრევთ სხვის ოთახს?

ნინო. დეიდაჯან, თქვენ ხომ არა ხმაროსთ
ფერ-უმარილს და ლახუსტაკსა!.. მე მეგონა არა ხმა-
რობთ-მეთქი, თორემ როგორ გავბედავდი...

ეფრთს. ოჰ, რა გველის ენა აქვს... ასე თუ
განაგრძე, ძლიერ კარგი გამოხვალ, ჩემო ანგელოზო!

ნინო. თუ ანგელოზი ვარ, ძლიერ კარგიც გა-
მოვალ!

ზაალ. ჩუმად ნუცა! ხომ იცი, მე არ მიყვარს
ჭირვეულობა... სიმართლე პირველი საქმეა!.. აი ბე-
სო, ხომ იცი, რა თავხედი და ბრიყვი-რამ არის, მაგ-
რამ მართლის თქმა უყვარს და მეც იმიტომ მიყვარს...
შენც მართალი სთქვი ხოლმე. რაკი აწყეინე დეი-
დას, ბოდიში უნდა, მოსთხოვო...

ეფრთს. არა, თქვენმა მზემ, მე არც ბოდიში
მინდა და არც შეურაცხყოფა!

ზაალ. გაშ რა გნებავთ, კჩეინა?

ნინო. კჩეინას ის უნდა, რომ ციმბირში მიკ-
რან თავი!

ეფრთს. სულაც არა, თქვენმა მზემ... მაგრამ
ამას-კი მოგახსენებთ, რომ ვისაც უფროსისაღმი პა-
ტივი არა აქვს, ის თვითონაც ამ დღეში ჩავარდება.
(გადის)

ნინო. აჸა, ესეც დამწყევლა!.. სულ ტყუილია
დეიდას წყევლა!

ზაალ. შვილო ნუცა, მეტად ცელქი ნუ ხარ,

ხომ ხედავ რომ დეიდას სწყინს, უნდა თავი მოუკონო... რაც უნდა იყოს შენი დეიდაა!..

ნინო. მამა არ მომიკვდეს, რომ მე არაფერში ვიყო დამნაშავე... მაგრამ დეიდას მაინც ასეთი ხასიათი აქვს... არ იქნება რომ არ გაჯავრდეს...

ზაალ. ქალო, შენ სწორედ გაფუჭდები, თუ არ გაგათხოვე — შაპაშ შენ სიგიფეს!.. გაგათხოვებ და მაშინ ნახავ!..

ნინო. თუ გამათხოვებ-და, ისევ შენი დარღი არ იქნება!.. მაშინ მარტო დარჩები!

ზაალ ჰა, კუდიანო... იქნება მარტო არ დავრჩე! ისეთს კაცს მიგათხოვებ, რომ მე არ მომშორდეს... ნუკა... როგორ მოგწონს თავადი ლუკა?

ნინო. საშინლად მომწონს!.. ისე მომწონს, რომ მისთვის ყაჩალ ქიარიმას ტყვერას არ დავიშურებ...

ზაალ. სუს!.. შე ბრიყვო! მეორედ არ გაჰქიდო მაგის თქმა!

ნინო. არ გავბედავ, თუ ნებას მომცემ და სცენაზე მაჯამაშებ... მამავ, მამილო, რომ იცოდე როგორ მინდა... როგორ მინდა თამაშობა... მერე წარმოდგენაც რომ საქველ-მოქმედო საგნით არის!.. მე, როგორც ქალს, ნება არ მაქვს უარი ვსთქვა...

ზაალ. მერე ისეთი რა არის?

ნინო. ოჰ, რომ იცოდე, მამავ, შენ თვითონვე ძალათ მათამაშებდი... წარმოიღვინე, ჩვენ ვთამაშობთ იმ საქმის სასარგებლოთ, რომელსაც შენ

თითონ თანაუგრძნობ... წელს, არ გახსოვს, ბანკუს
კრებაზე რომ სჯა ჰქონდათ... ყველანი აღტაცება-
ში რომ მოვიდნენ...

ჭავალ. მერე რა არის, არ იტყვი!...

ნინო. ეს არის, მამილო, დიდი, საქვეყნო და
საერო სქამე—ქალთა სააზნაურო სკოლის საქმე...
იმის სასარგებლოთ ვთამაშობთ. ეხლა ხომ თანახმა
ხართ! ჰა? ხომ თანაუგრძნობ?

ჭავალ. რატომაც არა—თანაუგრძნობ, მავრამ
შენ ნებას არ მოგცემ, რადგანაც ტყვილად შერცხვე-
ბი... ესეც არ იყოს, რა ვიცი, ლუკა როგორ მო-
იწონებს... ნუცა, ცოტა ზრდილობიანად იყავი ლუ-
კასთან... მე-კი წავალ და დეიდა შენს დავამშვიდებ...
თორემ ძალიან გაცხარდა... (გადის)

ნინო. (მარტო) ბიჭოს; ესენი, მართლა, არა
ხუმრობენ... არა, ბატონებო, ეგ-კი ტყული იმედი
გაქვთ... ისეთი საქმე დაგმართოთ თქვენ და თქვენ
საქმროს, რომ სულ, ღმერთო უარესისაგან დაგვიხ-
სენიო, გაიძახოდეთ!.. არა, მაგათ უთუოდ რამე
ოინი უნდა მოვუხერხო, თორემ სულ აბუჩად ამიგ-
დებენ. (ფიქრობს) მშვენიერი აზრია... სწორედ ასე
მოვიქცევი (კარებში) ბესო, ბესო, ბესლან, სადა ხარ!
ბესო, აქ მო, მალე მოდი, მალე! (შემოდის ბესო)

VI.

იგივე და ბესო.

ბესო. (შემოღის) რას მიბრძანებო, კნეუნა?

ნინო. ბესო, მართლა მითხარ, ჩემი ერთგული ხარ თუ არა?

ბესო. იმე, ბატონო, რავა მეკითხებით მისთანა სიტყვას!.. რომ მეუბნებით, რავა გვონიათ, მეც აზნაურიშვილი ვარ...

ნინო. შენ მიპასუხე, ერთგული ხარ ჩემი თუ არა?

ბესო. დედავ-ლმერთო, შენ მომქალი და სხვა არაფერი! კნეუნა, რავა მიბრძანებ რა ვქნა? ეხლა ამ წუთშივე შიდ ჯოჯოხეთში შევაძვრინო თავი თუ ვისკუპო და ზეციდგან მარსკვლავი ჩამოვიტანოთ...

ნინო. (იცინის) ხა! ხა! ხა! კაცო, მე რასაც გეუბნები, იმაზე მიპასუხე!

ბესო. დედავ, რავა გიპასუხო. რავა მაკადრეთ მისთანა სიტყვა!.. მე რომ თქვენი ერთგული არ ვიყო, დედამიწა რავა მატარებს თავის ზურგზე... ერთგული-კი არა მთლად ასთე ვარ?.. (ყელზე ხელს ვამოისვამს) მაშ!

ნინო. მაშ კარგი; მე ვიცი რომ ერთგული ხარ ემი და მიხაც გიყვარს...

ბესო. დედავ, მიხა რავა მიყვარს მერე უნდა იცოდეთ! ჩვენს იმერეთში მისთანა პატიოსანი და ნა-

სწავლი კაცი არ არის და ქართლ-კახეთში ხომ სულ-
არ მოიპოვება...

ნინო. ყური დამიგდე, რას გეტყვი?

ბესო. ყურს დაგიგდებთ-კი არა, თქვენი გუ-
ლისათვის მთლად გავგიუდები...

ნინო. ჯერ ნუ გაგიუდები, კაცო; დამაცა, რა
გითხრა. კარგა გამიგონე-კია. პირველი ესა, რომ
ნურც მამას, ნურც დეიდას და ნურც იმ არხეოლო-
გიური პრაპორჩიკ! ნუ ეტყვი, რასაც ნახავ...

ბესო. ეგ პრიველი, მეორე?

ნინო. მეორე—ეცადე როგორმე, მე რომ აქ-
ვიქნები იმ დროს, დეიდა არ შემოვიდეს, ისე მოა-
ხერხე, რომ გარეთ იყოს...

ბესო. ცხონება თუ გნებავთ ჩემი, მისთანა საქ-
მე დამავალეთ, რომ დეიდა თქვენი გავაჯავრო და
კუჭზე მოვიყვანო... ისთე არა მიამება-რა, რავაც
იმის კუჭზე ხეთქა... მესამე?

ნინო. მესამე—ეს არის, რომ რაც გითხარი
ყველაფერი რიგზე აასრულე და ეხლავე მიხაյოსთან
გასწიე და უთხარი, რომ როგორმე ამოვიდეს და
ეცადოს, რომ თავადი ლუკა ნახოს—ნახავს თუ არა,
დაემუქროს რომ ასე და ისე გიზამ-თქო, თუ ნუცას
თავს არ დაანებებ-თქო... გაიგე?..

ბესო. დედავ, ისთე გევიგე რავაც, ვითომ მე
ვარიგებდე საქმეს... ერთი კიდევ ის კნიაზი, წეროს
რომ მიუგავს კისერი, ძლიერ მეჯავრება... კაკალ

ნინო. მეოთხე ეს არის, რომ მამას როგორმე
სათვალე მოაცალე!..

ბესო. მერე რავა მოვახერხო ეგ!

ნინო. როგორც გინდა, ისე მოახერხე... ხომ
მიხვდი, არ მინდა მამას სათვალე ჰქონდეს, მინდა
რომ კარგად ვერ ხედავდეს...

ბესო. მამა თქვენზე ნუ მაქნევინებთ ცუდსა,
იგი ძლიერ პატიოსანი კაცია.

ნინო. მერე ვინ გეუბნება, რომ რამე ავნო...
შენ მხოლოდ სათვალები მოაცალე!

ბესო. თქვენთვის, ბატონო, ამას-კი არა, სალ-
დათათაც-კი წავალ!.. მეხუთე?

ნინო. მეხუთე? თუ კარგად შეასრულე რაც
დაგავალე საჩუქარს მიიღებ... კაკალ სამ მანეთს...
ეხლა შენ იცი! (გადის)

ბესო. მე ვიცი, რავაც ვიზამ საქმეს... მარა
ცხონებაა, სწორედ, ჩვენი კნეუნა! ჭკვიანი, ლამაზი,
შნოიანი და კიდევ ყველაფერი, რაც ღმერთს კარგი
და სამილუჩი ვოუჩენია! ის ვინცხა ლუკა კნიაზი,
რომ არის... შე არ მომიკვდეს ჩემი თავი, მისთანა
საქმეს დავმართავ, რომ სულ დედა-ნანა ჩარირამა
იძახოს!.. რავა ბედავს ის სუნელი ჩვენი კნეუნას
შერთვას... მერე რათ უნდა, ერთი კაცმა ჰქითხოს!..
სულ სხვაა ჩვენი მიხეილი; იმან რომ შეირთოს, ისე

მეამება, თითქოს მე შემერთოს!.. ჩვენმა აყალიბაში
გაიხაროს და სხვამ, თუ გინდ, თავში ქვა იცეს!..
დეიდას ძალიან ნუ გააჯავრებო... ყველაფერს-კი
შევასრულებ დარიგებისა დაგვარად, მარა დეიდას-კი
წოუკიდებ ცეცხლსა... ისთე გავაცეცხლებ, ისთე,
რომ რკინაზე უფრო გაწითლდეს!.. რაცხა ვეჯავ-
რები, და არ ვიცი, რა მიზეზია... აქამდინ პატივს
ვცემდი და აწი მე ვიცი, რავაც მოვექცევი! (შემო-
დის ეფროსინე და მერე ზალ)

VII.

იგივე და ეფრთხისინე მერე ზაალ.

ეფრთხისინე. ბიჭო, ნინო სად არის...

ბესო. მე გამდელი ხომ არა ვარ მისი... რა
ვიცი სად წევიდა... (შემოდის ზალ) აი, ეხლა-კი მო-
გახსენებთ — კნეჟნა, ბატონო, ბალჩაშიდ თუ ზეარშია,
არ ვიცი, მომწყინდა დეიდასთან ჩხუბი და ვაი-ვაგ-
ლახიო... ცინბირში ყოფნა მირჩევნია, ვიდრე დე-
დასთანაო.

ეფრთხ. მცქარავ, ნინო მაგას არ იტყოდა.

ბესო. აწი არ დეიჯეროთ; ტყვილი რომ ვსთქვა,
ძალას ვინ მატანს, ასთე სთქვა: დეიდა ჩემი აქანე მა-
ჯისო!.. (კისერზე უჩვენებს)

ზაალ. გაჩუმდი ბესო; მაშ ზეარში წავიდა?

ბესო. კი ბატონი, იქანეა... მარა რაც შართალია-შართალია. მე ტყვილი ჩემს დღეში არ მითქვამს და არც ვიკადრებ. მაგრა ეს კია, რომ აქანე მაჯისო!... (გადის)

ეფრთხს. აჲა, ხომ ხედავთ, რა რიგად მექცევა თქვენი მოსამსახურე. მე თქვენი რომ ვიყო, ერთ დღესაც არ დავაყენებდი აქა ამ მაწანწალას.

ზაალ. რათა, კნეინა, რათ ლაპარაკობთ ასრე, ბესო ძლიერ კარგი ბიჭია, პატიოსანია, იშვიათათ თუ გამაჯავრებს... ჩემი ხასიათი ძლიერ კარგათ იცის... ქალისავით მივლის... რომ გავაგდო, ვილა დავიჭირო!..

ეფრთხს. ცოტა ლა გლეხ-კაცების ქალები და გოგოები გყავსთ—ყველა სიამოვნებით წამოვა... .

ზაალ. ოჲ, ღმერთმა დამიტაროს ტეტიებთან საქმის დაჭერა!.. მაგას თავი დავანებოთ, თქვენ ეს მიბრძანეთ, ეს ჩვენი საქმრო რალა გვექნა...

ეფრთხს. ალბათ ნუცასთან იქნება.

ზაალ. იცი, კნეინა, რას გეტყვი... როგორ-ლაც ეგ შენი საქმრო არ მომწონს... კაცი-კი კარგია, რა უჭირს, მაგრამ მეტად ხნიერია... ჩემი ამხანაგია, პოლკში ერთად ვიყავით ურიადნიკებათ... მე აგერ პოლკოვნიკობა მივიღე და ღენერლობაც მომცეს ოსტავკაში და ის-კი ისევ პორუჩიკად არის და ეხლაც სამსახურშია... აბა, ჩემი ნუცას ტოლი რომ არ არის!..

ეფრთს. რა ნაირი სჯა იცით ხოლმე, კუნიაზო
ზაალ. ახალგაზდა ჩვენში სადღაა სანდო და საიმე-
ლო!.. რა არის ეგ ახალგაზდა?.. ცხონებული ჩემი
ქმარი, თუ ბებერი იყო, რით სჯობდნენ მას ახალ-
გაზდები... ზოგნი ხანში შესულნი ბევრად სჯობნიან
თქვენს ეხლანდელს ახალგაზდებს.

ზაალ. არა, კნეინა, მე თქვენზე-კი არ ვამ-
ბობ!.. ლუკა ჩემი ხნის კაცია და, აბა, რა ნუცას
საქმროა... რა ვიცი, მე-კი არ გავბედავდი და! (შე-
მოდის ბესო სარწყულით)

VIII.

იგინივე და ბესო.

ბესო. (შემოდის და ხელში სარწყული (ლეიკა) უჭი-
რავს) კნეინა, ვინცხა მკითხავი გეახლათ, თქვენ და-
გიბარებიათ...

ეფრთს. მერე სად არის.

ბესო. იქ, ისაკას სახლშია. (თავისთვის) კი, შენ
ნუ მოუკვდი ჩემს თავს. (მაღლა) აქ ვერ შემოვალო
და თქვენი გთხოვათ...

ეფრთს. ეხლავე ვნახავ... მკითხავი დავიბარე,
მინდა ნუცაზე ვაკითხვინო. (გადის)

დრამები და კოშედიები. ვ. გუნია

ზაალ. ნეტა-კი ნუცას სულ თავს დაანეზებდეთ,
ბევრად ემჯობინებოდა!..

ბესო. კი, მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ბრძა-
ნებთ, ბატონო, ძალუენ ბევრი პატრონი გამოუჩნდა
ეხლა კნევნას და სულ ეგ არის მიზეზი, რომ შინ
არ ისვენებს და სულ ბალჩაშიდ და ზვარშიდ დარ-
ბის, ხან იქით და ხან აქეთ!.. (გაიქნევს სარწყულს და
ზალს შეაშხაპუნებს ვითომ-და უნებურად)

ზაალ. აი დაგლახვროს ღმერთმა, სულ ამომწუ-
წე, შე შაჩვენებულო. ბესო, ხანდისხან რა სულელი
რამა ხარ, შე ოჯახ-ამობუქულო. ერთი მითხარ, რა
ოხრათ გინდა ოთახში ეს სავერანო სარწყული!.. აქ
ბალჩა ხომ არ არის?.. სულ ამომწუწე!.. (მოიხსნის სა-
თვალეს და სწმინდავს)

ბესო. უკაცრავად, ბატონო, რათ სწუხდებით,
მე მიბოძეთ, მე გავწმინდავ! (თითქმის ძალით გამოართ-
მევს სათვალეს)

ზაალ. ბიჭო, ხელი გაუშვი, მე თვითონ...

ბესო. დედავ, თქვენ რავა შეგაწუხებთ, მე და-
ვასველე მევე გავასუფთავებ! (დაუვარდება ძირს სათვალე)

ზაალ. ბიჭო, რას ჩადიხარ... არ გასტეხო! ბი-
ჭო, ბიჭო, ფეხი, ფეხი არ დაადგა!..

ბესო. ვუი მე! (ფეხს დაადებს და ვითომ უნებურად
სტეხავს.)

ზაალ. ვუი შენ და ლვთის რისხვა! ეს რა ჰქენი, შე ოჯახ-ამობუქულო! ბიჭო ბესო, შენ ჰკვიანი მეგონე და ხანდისხან რაღაც ლმერთი და ხატი გიშ-ყრება ხოლმე... ეს რა ჰქენი?

ბესო. უკაცრავად, კნიაზო, მაპატიეთ,—გიზ-ლამთ...

ზაალ. (აჯავრებს) გიზლამთ! რათ მინდა შენი ნაზლვევი? სულელო, ვინ გეხვეწებოდა რომ გამომართვი... აი დაგლახვროს ლმერთმა!.. რა ვქნა ეხლა უსათვალოთ?.. ბიჭო, რა გემართება დლესა... რა უბედურ მთვარეზე ამდგარხარ... ერთი მითხარ, რა ვქნა ეხლა, როგორ ვიყო?

ბესო. არაფერია, ბატონო, მე გიშოვნით სათვალეს: ერთს-კი არა მთელ დუუინს... აქ რომ მასწავლებელი სცხოვრობს, აი ჩვენს გვერდით, მიხეილ ვარდოსანიძე, იმას ერთი-კი არა ბარემ ათი სათვალე აქვს.

ზაალ. მერე იმისი მე რას გამომაღვება...

ბესო. რავა არ გერგება, სწორედ თქვენთვის ზედ გამოჭრილია... თუ მიბრძანებ ავალ და მოგართმევთ.

ზაალ. იბა ერთი, შენს გაზდას... თვითონაც სთხოვე ამობრძანდეს. მოიცა, მეც წავიდე, თორემ აქ ცხვირ-პირს დავიმტვრევ!.. (გადიან ერთად. შემოდის ვარდოსანიძე.)

IX.

გარდოსანიძე მერე ამირზაური.

გარდოსანიძე. (შემოდის ჯოხით ხელში და აქეთ-იქით იხედება) ეგ რა მოუგონია კიდევ ნუკას... თავადი ლუკა ამირზაური ნახე და კარგი აურზაური უყა-ვიო... რაც შეიძლება დაემუქრეო!.. ბესომ ხომ არ მომატყუილა?.. მაგრამ, არა, ის ჩვენი ერთგულია... კარგი მაშ, თავად ლუკასაც ვნახავ და ვეცდებო ძლიერ დავემუქრო... მაგრამ, ვაი თუ, იმანაც დამე-მუქროს და უარესიც მიყოს... მაშინ? ის, რაც უნდა იყოს, სამხედრო და ჯარის კაცია, გულადი იქნება. იქნება თავის სიცოცხლეში—ომში და ლაშქრობაში ასი კაციც დაუხოცია... მე-კი, მხოლოდ ერთხელ მომივიდა ჩხები პოლიციელებთან სტუდენტობის დროს და ისიც ამხანაგებ შორის ვიყავი და მაშინვე უჩასტკაში გვიკრეს თავი!.. ეჭ, რაც იქნება-იქნეს?.. ვგონებ ფეხის ხმა ისმის... მოდიან... კიდევ კარგი თუ ის არის... (შემოდის შუა კარებილამ ამირზაური) სწორედ ეგა ბრძანდება... ძალლი ხსენებაზეო... (თავს უკრავს) უკა-ცრავად...

ამირზაური. უკაცრავად, თქვენ ალბათ სახლის პატრონი გენდომებათ...

გარდოსანიძე. (თავისთვის) როგორ დავიწყო!

(მალლა) არა, ბატონო, მე სწორეთ თქვენი შემოწიდა
ზართ...

ამირზ. მეე? (ჯდება)

გარდოს. დიახ, თქვენ... ალარ მიცნობთ ვინ-
ცა ვარ. (თავისთვის) ვგონებ შეეშინდა!

ამირზ. არა, ბატონო, მე თქვენ ალარ ვიც-
ნობთ და ალბად არც თქვენ მიცნობთ; მე თავადი
ლუკა ამირზაური გახლავართ.

გარდოს. (ვითომ გაჯავრებული) ვიცი ვინცა ბრძან-
დებით; ამირზაური... მეც ისეთს აურზაურს დაგაყე-
ნებთ, რომ დიდხანს არ დამიწყოთ! (თავისთვის) ვაი
თუ ეგ ხმალი კისერში მდრუზა!..

ამირზ. ვგონებ გიურა ვილაც... ყმაწვილო, რა
გნებავს რომ არ მესმის.

გარდოს. (თავისთვის) მეტი ლონე არ არის უნ-
და გამოვუტყდე! (იმას) ეხლავე გიამბობთ—თქვენ,
კნიაზო, კნიაზნა ნინოს შერთვას აპირებთ?

ამირზ. ვაპირებ და შევირთავ კიდეც...

გარდოს. რაო? შევირთავო? (თავისთვის) ეხლა-კი
მართლა გავჯავრდები! (იმას) შეირთავო? აი ამ ჯოხს
ჰედავთ!!!

ამირზ. ბიჭოს!.. როგორ მიბედავთ?

გარდოს. ისე გიბედავთ, რომ სულ გუდასავით
გაგბერავთ ცემითა... მე ნუ მეხუმრებით თქვენა; ისე-
თი მუშტები ვიცი, რომ ლვთის რისხვა და კექა-კუხილი

გეგონებათ!.. თუ თქვენ ნუცას შერთვა გოგონებან
არ ამოგიბერტყნიათ და თვითონაც მალე არ აყრილ-
ხართ აქედგან, იცოდეთ, ცოცხალი არ გადამირჩე-
ბით! გესმის, ოცდა ოთხ საათში აგიგებთ წესსა!..
ამირზ. ბიჭოს, გიფია ეს ვიღაც ოხერია!

გარდოს. გიფიცა ხარ და მუტრუკიცა!.. აბა
ერთი შენ თავს შეხედე... განა შენ ნუცას ტოლი
ხარ?!. როგორც გითხარ—თუ არ მომეცლები, საქმეს
გიზამ საარაკოსა!

ამირზ. შენ ჰეი, ჩუმად იყავ, თორემ მე ვიცი
შენი! (წამოდგება)

გარდოს. აბა თუ კაცი ხარ და ლეჩაქი არა
გხურავს! (შეუტევს) ისე დაგზელო, რომ ქალი ქაჯათ
გეჩვენებოდეს და ვირი აქლემად გეგონოს... (მო-
უღერებს ჯოხს როგორც თოფს და დაუმიზნებს) ეხლავ მოგი-
ღებ ბოლოს!

ამირზ. (შეშინებული დაეშვება სკამზე) ვაიმე, მიშ-
ველეთ, მომკლეს! (შემოვარდება ჩინო გლეხ-დედაკაცის
ტანისამოსში)

X.

იგივე და ნუცა.

ნინო. (შემოვარდება გლეხ-დედაკაცის ტანისამოსში,
ბებრულათ თავ-შეხვეული და მივარდება ვარდოსანიძეს, ხმას

იცვლის) ვუი, თვალები დამიღეს... რას არადიხორა
ქრისტიანო... გასწი, გაეცალე, შე ცოდვის შვილო!
(გარეთ გაჰყავს ვარდოსანიძე—თავის ხმით) კარგი გასწი,
არავინ დაგინახოს (ვარდოსანიძე გადის) წავიდა ის ავა-
ზაკი, ისა!..

ამარტ. (გახარებული) წავიდა? მაღლობა უფალს!
ვინ იყო, ის დამთხვეული... კინალამ თოფი მესრო-
ლა!.. კინალამ სული გამანაბინა! ვაჲ, გაგონილა,
ნინოს ნუ შეირთამო!.. ბიჭოს, ეგ ვიღა ოხერია,
რომ მიბრძანებს!!.

ნინო. ნინოსაო! ოჲ, ეხლა-კი მესმის, კნიაზო...
ეს საქმე მე ძლიერ კარგად ვიცი; თუ ნინოზე გე-
დავებოდა, სჯობია თავი დაანებო, თორემ მართლა
რასმე უბედურებას შევამთხვევს. ვინ არ იცის იმა-
თი ამბავი... რახანია ერთმანეთს ჰყარობენ...

ამარტ. ჰყარობენ? ეგ კარგი ამბავი!..

ნინო. მაშ ქა... მე მკითხე, მე გიამბობ... ტყვი-
ლად არ მოგატყუილონ, კნიაზო! მე მკითხეთ, მე
გიამბობთ ყველაფერს დაწვრილებითა! (ისმის ზალის
ხმა „ბიჭო ბესო, სადა ხარ ბიჭო! ნუცა შვილო, სა-
და ხარო... ემ შეჩვენებულმა სათვალე დამი-
მტვრია და ძლივს-ღა დავდივარ... ბიჭო ბესო,
შვილო ნუცა!.. ეხლა დრო არ არის, კნიაზო, და სხვა
დროს მოგახსენებთ ყველაფერს დაწვრილებითა!.. მე
მკითხეთ—მე გიამბობთ ყველაფერს! (წასვლა უნდა)

ამარტ. (მოეწევა და არ უშებს) ვერ მოგპოთვი, ვერ წახვალ, აქ დარჩი... ეგ რაღაც დარდუბალაა ჩემს თავზე!.. აქ რაღაც ამბავია!.. აგერ თვითონ ზა-ალიც მოდის, ერთი ვკითხო, მართლა მატყუებდა!!.

ნინო. კნიაზო, მერე გეახლებით... ეხლა არა მცალიან! (წასვლა უნდა)

ამარტ. (იპერს) Стой смирино! аრсац წამიხვალ, თუ მართალი ხარ, აქვე ზაალთანა სოქვი, აქვე ილი-არე შენი სიმართლე! (შემოდის ზაალ გრძელის ჩიბუხით)

XI.

იგინიაკე და ზაალ.

ზაალ. (შემოდის გრძელის ჩიბუხით) სადლა გადი-კარგნენ ეგ ოჯახ დასაქცევნი! არც ბესო, არც ნუ: ცა, არც ეფროსინე, არც ისაკა!..

ამარტ. აჟა, ზაალ, მობრძანდით და ყური დაუგ-დეთ, რეებს გაიგებთ თქვენს ქალზე... განა ასე უნ-და! ამხანაგი კაცი მეგულებოდი... ისე გენდობოდრ, როგორც ძმას, შენ-კი მატყუებ!?.

ზაალ. შენ თავად ჭკვა არა გქონდა და ეხლა სრულებით გადარეულხარ!.. რას მიედ-მოედები, რას როტავ? რის ამხანაგი, რომელი ტყვილი!!!.

ამარტ. ისა, კნიაზო, რომ შენს ქალს საყვარე-ლი ჰყოლია?..

ზაალ. რაო?.. საყვარელიო!.. შენ ჰებრეული კავ, ჩუმად იყავ თორემ ამ სიბერის დროს ისე მი-გჯოხავ ამ ჩიბუქის ტარით, რომ ორიც ვერ დათვალო! შენ ღმერთი და ხატი ხომ არ გაგწყრომია, რეებს არახუნებ?!

ამირზ. მე-კი არ ვარახუნებ და ჩემი თუ არა გჯერა, აი იმასა ჰყითხე!..

ზაალ. ეგ ვიღაა? დედაკაცო, შენ რა გინდა?.. ვინა ხარ?

ნინო. (შეშინებული) მე, კნიაზო, აქაური გახ-ლავართ...

ზაალ. ვინ აქაური? განა აქაურს სახელი და გვარი არა აქვს?..

ნინო. მე, კნიაზო, ფეფე გახლავართ, გიუნა თხაპუზანთშვილის ცოლი...

ზაალ. ამისთანა რომ მე ამ სოფელში არავინ მეგულება... მერე რა გინდა?

ამირზ. რატომ არ ამბობ, შე ოჯახდაქცეულო, რაც გინახავს და რაც იცი?

ნინო. რა ვსოდე, კნიაზო... ის მოგახსენეთ რომ ნინოს და ვარდოსანიძეს ერთმანერთან ხშირად ვხედავდი-მეთქი!..

ამირზ. არა, კიდევ, კიდევ რომ მითხარი!?

ნინო. კიდევ ისა, რომ ჰკოცნიდნენ ერთმანერთ-სა-მეთქი...

ზაალ. რაო, ჰკოცნიდნენო!.. (გაჯავრებულფ) მითხვა
ჰქარავ, შე კუდიანო! აბა აქ მოდი!

ამირზ. აბა, კიდევ რა იცი, კიდევ!?

ზაალ. კიდევაო? ხომ არ გაგიჟებულხართ, თქვე
უსინიდისებო, თქვენა!.. ეს რა მოუგონეს ჩემს ნუცას.
დამაცა მე შენ... ბიჭო, ბესო!.. ნუცა!.. ნუცას და-
მიძახეთ... დამაცა მე შენ... ჰა, შე კუდიანო!..

ნინო. ჸა, ჩემი რა ბრალია, კნიაზო! (გარბის)

ზაალ. ჰა, გაიქეცი... შეგეშინდა... ვერსად წა-
მიხვალ, ვერსად... (ჩიბუს ესვრის) ბიჭო ბესო!.. სად-
ლა ეშმაკებში გადაიკარგნენ! ბიჭო ბესო, შვილო
ნუცა! (გადის)

ამირზ. (მარტო) იქნება მართლა ტყუილი იყოს!..
სწორედ ტყუილი იქნება... ალბათ იმ ვიღაც ავაზა-
კის გამოგზავნილი იქნება!.. როგორ გამაბრიყვეს!..
კაცი არ ვიქნები, თუ შევარჩინო მე იმასა!.. რა
უბრალოთ გამალანძლვინა პატიოსანი კაცი, პატიო-
სანი ქალი... პაპი, ის ავაზაკი-ისა. ეგ კუდიანი ქა-
ლიც რომ გაგვექცა... სულ მათრახით და როზგით
უნდა ამეცრელებინა მაგისათვის ზურგი!.. ის კუდია-
ნი-ისა!.. როგორ მომატყუილა და... მაგრამ ვაი თუ
ტყუილიც არ იყოს... ერთი ნეტა ნუცა მენახა მაინც
ეხლა... სხვა არა მინდა-რა... მაშინვე შევატყობ-
დი, მაშინვე! (შემორბის ნუცა)

XII.

1. იგივე და ნინო.

ნინო. (შემორბის თავის ტანისამოსით, მღერით და მხიარულათ) აჲ, უკაცრავად, კნიაზო!

ამარტ. ნურასფერს... მეც თქვენი ნახვა მინდოდა! (თავისთვის.) რა ლამაზია!.. ჯან!

ნინო. (თავისთვის) რა მშვენიერად მოვატყუილე, ვერც-კი მიცნეს! კნიაზო ლუკა, ერთი მიბრძანეთ, რისთვის ჩამოხველით ჩვენსა?..

ამარტ. უცნაური კითხვაა, კნეუნა... მე იმის-თვის გეახელით რომ... რომ...

ნინო. რომ დეიდა ჩემი შეირთოთ! ძლიერ კარგს იზამთ, ძლიერ კარგსა... მე, თუ გნებავთ, გიმაჭანკლებთ კიდეც... ისეთი მაჭანკლობა ვიცი, ისეთი რომ ცაგარლის ხ.ნუმაც ვერ მაჯობებს...

ამარტ. (თავისთვის) დამცინის, თუ როგორ არის, მაგის საქმე?

ნინო. კნიაზო ლუკა, ერთი თუ გიყვარდეთ ლეკური ითამაშეთ!

ამარტ. ლეკური? კნეუნა, რა მელეკურება!..

ნინო. ვითომ რათა? იქნება, მართლა, ისე დაბერებულ ხართ, რომ ფეხებს ძლივს-ლა დაათრევთ?.. ოჲო? ქარები გვირთ? ოჲო? ვაი დეიდა ჩემის ბრალი, რა საბრალო ქმარი ეყოლება!..

ამარტ. (თავისთვის) ეს რა სულ დეიდასთან შეშეაფა
ნის... კნეენა ნინო, თქვენ ტყვილად გგონიათ, რომ
მე დეიდა ოქვენზე მაქვს თვალი...

ნინო. ოპ-ოპ, ვიცი, ვიცი! ჩემთან ტყვილები
არ გაგივათ... დეიდასაც ძლიერ უყვარხართ... კნია-
ზო, ერთი სიმღერა რამე სთქვით... ოქვენზე ძლიერ
კარგ მომღერალს ამბობენ... აბა ერთი... მართლა,
გამაგონეთ თქვენი სირინოზის ხმა... აბა?

ამარტ. (თავისთვის) ხომ არ დამკინის! (მაღლა)
თუ გნებავთ, ბატონი ბრძანდებით. (მღერის) „საყვა-
რელო ნინიავ, ჩემო პაწა ფინიავ!“

ნინო. (იცინის) ხა! ხა! ხა! რა ლექსია, თქვენი
ჭირიმეთ! აფსუს პოეტებო! რა მშვენიერი ხმა გქო-
ნიათ, კნიაზო ლუკა!.. მართალია, ცოტა გაბზარულ
ქვევრის ხმასა წაჭვავს, მაგრამ მაინც საუცხოვო სი-
მღერა გცოდნიათ, მეტადრე ლექსები!.. ხა! ხა! ხა!

ამარტ. (გახარებული) ლექსები ჩემი საკუთარი
გახლავთ!

ნინო. ზედ არ ეტყობა! „საყვარელო ნინიავ,
ჩემო პაწა ფინიავ!“ ნინია ხომ კაცის სახელია? ხა!
ხა! ხა! მართლა, კნიაზო, სირბილი არ შეგიძლიანთ?

ამარტ. რატომ არა, თუ გამიჭირდა!..

ნინო. აბა დამეწიეთ... აბა! (თავისთვის) ქალი
არ ვიქები, თუ არ გადავრიე!

ამარტ. (თავისთვის) გიჟი ხომ არ არის! რა ძა-

ლიან აწუხებენ... მეც ეშხში რომ მამიყვანა... ჯან! (მაღლა) მაში ვირბინოთ?

ნინო. დიახ, აბა თუ დამეწევით!..

ამარზ. რატომაც არა. (გარბიან ორივენი. შემოვლენ ბესო და ვარდოსანიძე)

XIII.

ბესო და ვარდოსანიძე.

ბესო. (წინ მოუძლვის ვარდოსანიძეს) მოპრძანდით, ბატონო, აქანე... ნურატრის ფიქრი ნუ გაქვთ... კნეუნამ ქე გააქცუნა კალოსაკენ ის კნიაზი... ძალუანი-კი გააბრიაბრუეთ ის კნიაზი...

ვარდოსანიძე. ეგ ყველა კარგი, ბესო, მაგრამ თუ ზაალს არ მოველაპარაკე, საქმე ცუდათ იქნება... კნეინა ეფროსინე ძლიერ მეწინაალმლეგება...

ბესო. კნეინას მე-კი ვუზამ საჯაყო საქმეს!.. სათვალე ხომ აქანე გაქვთ?.. ამ სათვალით გარიგდება თქვენი საქმე... უფეშქაშეთ ზაალს და მერე ნელ-ნელა ქე მოუქონეთ თავი... აბა, შევიდეთ მის ოთახშიდ... ეხლა იგი დაბნეული ინდოურივით იჯდება სადმე... ბატონო, ერთი სათხოვარი მაქვს, კნეუნა ქე დამპირდა, მაგრამ თქვენც დამპირდით... როცა ჯვარს დეიწერთ, მე ლაქიათ წამიყვანეთ...

ვარდოსანიძე. ლაქიათ-კი არა მეჯვარეთაც წა-

გიყვან, თუ საქმე გარიგდა? (ისმის ზალის ხმა: „ბე-
სო, ბესო, სადა ჩარ. ბიჭო!“)

ბესო. აბა შევიდეთ, ეხლა სწორედ კარგი დრო
იქნება. (შევლენ ორნივენი. შემორბის ნინო სიცილით და
კასკასით, უკან მოსდევს ამირზაური ფქვილში გასვრილი)

XIV.

ნინო და ამირზაური.

ნინო. (შემორბის სიცილით) ხა! ხა! ხა! როგორ
გაგორდა... ხუთჯერ მაინც გადატრიალდა! ხა! ხა! ხა!
ერთი უყურეთ ამის სეირსა... როგორ გადავრიო!..
აბა აქტრისობას ეხლა გამოვიჩენ!..

ამირზაური (ცხვირ ჩამოშეებული, თმა აბურძვენილი
და ჩალით საესე, ტანისამოსი ფქვილში და მტკერში გასვრი-
ლი, მუხლებიც გასვრილი და ცოტათი კოჭლობს.) კნეუნა,
შემიბრალეთ, ღვთის გულისათვის... მეტი აღარ შე-
მიძლიან!

ნინო. არა, კნიაზო ლუკა, რა-კი გამომიტყდით
და ჩემი შერთვა გდომებიათ, უნდა ყველაფერში გამო-
გცადოთ... მაშ როგორ გეგონათ!.. კნიაზო ლუკა, ხომ
მართალ ვამბობდი აპე? (ამ სცენის დროს მასხარაობს, ვითომ-და
გიქს და სულელს თამაშობს. აქეთ-იქით ატრიალებს ლუკას, ხან
დააჩოქებს, ხან დასვამს და ხან სარკეში ახედებს სიტყვებს სხვა
და სხვა პირებიდან ამბობს.) „გესმით, გესმით!.. აგერ!..

(ტრაგიკულად) „ოჰ, ჩემო სულთამხუთავო, ჩამოვარდნენდი? განა შესაძლებელ არს რომ, რომელიც... რომ... (დაიკივლებს) „ოჰ, იქით, იქით შე სასიზღარო! არ მომეკარო, არ მომეკარო!“ — რა საძაგელი და საზიზღარო რამა ხარ!.. (ნელი ზმით) „ჩემო საყვარელო ძმაო და მეგობარო. უნდა შეიბრალოთ თქვენი უმანჯო და უპატრონო და... სადა ბრძანდება მშვენიერი დელოფალი დანი-ისა?“ (მღერის ოფელის სიმღერას „ჰამლეტიდან“)

„ქადა, კით გრძნა შენი სატრიტო,
მითხვარ რა აქვს ნიშანი?
უაკარჯენა ხედთ უჭირავს,
ფეხით ატვირ ქალამანი!“

ამინდ. ლმერთო დიდებულო, სწორედ შეიშა-
ლა ეს საცოდავი!..

ნინო. (გაიხარხარებს) ხა! ხა! ხა! (მოპკიდებს ლუკას ხელს) „შენ შენს სამშობლოზე ლაპარაკობ და იმის მეტი არა გავაჩინია-რა, მაგრამ რატომ მე არა მკით-ხავ, მე ქალი ვარ და ჩემი სამშობლო სიყვარულია!“ (მოუქნევს ხელს და სხვა ხმით) «ოჰ, შე უბედურო!» (უერივ ჰატეტიურად) «ოჰ ზეცისა ძალნო, ოჰ, ცავ და დედამიწავ, ზღვავ და ხმელეთო!» რად, რად მარგუ-ნე მე ესეთი დაქამული და ზაფრის ქარებით დაჭ-საქსული მეუღლე! (იატაკიდან აიღებს მამის ჩიბუხსდა შიგ მუცელში ატაკებს ლუკას) „მაშ მოკვდი, შე სასიკვდი-

სამოხატვა

ლო და შთახვედ ტარტაროზსა შინა!“ კინებილებნ
შენ ხარ უმგზავსი და მუნიანი! (ტრაგიულად სდგას)

ამირზაჟრა. სწორედ გაგიქდა!.. არ მომკლას
კია!.. არა, ღმერთმა დამიტაროს მავის შერთვა! ერთს
მშვენიერს მთვარიან ლამეს, რომ მოუაროს და მძინა-
რეს წამიჭიროს კისერში, ან ქვით გამიხეთქოს თავი
და ძალლსავით სული გამანაბინოს!.. არა, ღმერთმა
დამიტაროს!..

ნინო. (თავის ხმით და ჩვეულებრივად) რას ჰეთიქ-
რობთ, კნიაზო ლუკა?

ამირზ. მე?.. მე... არაფერს... ისე ჩემთვის..
თქვენ ხომ კარგათა ბრძანდებოთ?..

ნინო. მე რა მიკირს... მე ყოჩალათა ვარ!..

ამირზ. მე-კი ძლიერ ცუდათა ვარ!..

ნინო. (მკაცრად) მაშ შემირთავთ?

ამირზ. მე?.. მე... რა მოგახსენოთ?

ნინო. (დაპირის და შეუტევს) მაშ ეხლა შემირ-
თავთ?

ამირზ. (ყვირის) აჲ, არ მომექაროთ, ღვთის გუ-
ლისათვის!.. (შემოვლენ: ზაალ, ვარდოსანიძე, ეფროსინე
და ბესო.)

XV.

იგინივე, ზაალ, კარდოსანიძე, ეფეროსინე და ბესო.

ეგელანი. რა იყო, რა ამბავია?..

ნინო. არაფერი, მამილო, კნიაზ ლუკასთან ასკინ-
კილას ვთამაშობდი და ფეხი იღრძო.

ამირზაური. ფეხს ვინდა სჩივის; კარგია კიდევ
რომ კისერი არ ვიღრძე და უვნებელი დავრჩი! ძრიელ
ცელქი რამ არის შენი ქალი, ზაალ!

ზაალ. ეხლა ყველაფერს მივხვდი... ნუცა მი-
ხეილმა ყველაფერი მითხრა... მაშ, შე საძაგელო, ეგ
სულ თვალთ-მაქუიობა იყო?

ნინო. რა, მამილო? (მივა მამასთან და ვარდოსა-
ნიძესთან)

ზაალ. იo შე კუდრაჭა-შენა! ძალიან აქტრისა
ყოფილხარ! (ერთად დგანან და ჩუმად ლაპარაკობენ)

ამირზ. ეგ მე მკითხეთ, ბატონო, მე!..

ეფრთს. კნიაზო ლუკა, მოვილოცოთ?.. მორიგ-
დით კიდეცა!

ამირზ. არა, კნეინა, სად მე და სად ნუცა!

ეფრთს. მაშ როგორ, ვერ მორიგდით!?

ამირზ. არა, კნეინა, ხომ იცით ჩვენებური ან-
დაზა: «რაც არ მერგება, არ შემერგებაო» მე ნუ-
ცას ტოლი არა ვარ და დევ, ვინც უყვარს იმას ერ-
გოს, ხოლო მე, თუ თქვენც დამეთანხმებით, სიამოვ-
ნებით გაგხდით თქვენ კნეინა ამირზაურისად!..

ეფრთს. (მორცხვად) ვუი ქა!.. დამიღვეს თვა-
ლები!..

ბესო. (თავისთვის) აწი ქე დაგიდგება თვალები
მაგისთანა ქმართან!

დრამები და კომედიები. ვ. გუნია


ამიღვ. მაშ ასე კნეინა, ხომ თანახმა ზორავრისა
ასე სჯობიან, მე და ჩემმა ღმერთმა; ნუცას ეგ ყმაწ-
ვილი ჰყვარებია, თქვენ კიდევ მე!.. შენც ხომ თა-
ნახმა ხარ, ჩემო ზაალ!?

ზაალ. მეც ძლიერ მიხარიან, რომ ასე გათავ-
და საქმე, თორემ ღმერთს ვაწყეინ ებდით და ხალხ-
საც... აქ მო, ნუცა, აპა, შენი სასურველი საქმ-
რო... მაგას უფრო ერგები...

ნანო. და შევერგები კიდეც, მამილო! (საერთო
სიმხიარულე)

ფარდი.

დასასრული.



არც აქეთ, არც იქეთ!

ვოდევილი—ხუმრობა ერთს მოქმედებად

(აზრი ნემცურიდან)

Настоящий водевиль, подъ названием „СЪ МѢСТА ВЪ КАРЬЕРЪ“, В. Гуніа, за отсутствиемъ Г. Главноначальствующаго, Помощникомъ его разрѣшенъ на основаніи 84 ст. уст. Ценз. къ постановкѣ на сценахъ края. Сентября 24 дня, 1892 г. г. Тифлисъ.

Предсѣдатель Комитета М. Гаккель.

Секретарь Н. Меликъ-Нубаровъ.

მომქმედნი პირნი:

ცარასი მშიერიძე, ახალგაზდა კაცი, ქართული
თეატრის აქტორი.

ანტონ ვარდევანჩაძე, დარბაისელი კაცი, აღმინი-
სტრაციის მოხელე.

ჯირჯანაშვილი, სასტუმროს პატრონი.

ბარას გეგა, მრეცხავი ქალი.

ითრდანე, სასტუმროს მოსამსახურე.

ბიჭი, მეჩექმისა.

აბრამ-ბალია, ურია, მეწვრილმანე.

მოქმედება სწარმოებს პროფინციის ქალაქში ჩვენს
დროს.

არც აქეთ, არც იქეთ!..

სცენა წარმოადგენს ოთახს სასტუმროში, ღარიბად მორ-
 თულია, ლოგინი, სტოლი, სკამები, სარკე; სტოლზედ რვეულე-
 ბი და სხვა ქაღალდები აწყვია. აქეთ იქეთ სხვა და სხვა პერან-
 გები, საცვალები და ტანისამოსები დაყრილია. სტოლზედ უ-
 რიელი ბოთლები და გვერდზე კუთხეში პირ-დასაბანი ჭურ-
 ჭელი და პირსახოცი. იატაკზედ ქაღალდები და ნამწვი პაპი-
 როზები ჰყურია. ლოგინის გარდა, ყველაფერი კედლიდგან მო-
 შორებით არის, ასე რომ ოთახში თავისუფლად შეიძლება სირ-
 ბილი, ყველაფერი არეულ-დარეულია. დილაა.

I.

ტარასი მშიერიძე.

ტარასი. (ფარდის ახლისას ლოგინზედ წევს, პირ-დაუბა-
 ნელი, მოუპარსავი. ღამის პერანგზედ უილეტი და ვიზიტე-
 აცვია, საყელო აწეული აქვს, ერთს ფეხზედ ჩექმა აცვია, მეო-
 რეზედ კალოში; უსტვენს „სტირის ნინოს“ ხმაზედ.) ეჭ, რამ-
 დენიც გინდა უსტვინე, არაფერი არ გამოვა! და-
 სწყევლოს ეშმაკმა აქაური სცენის მოყვარეთა სა-
 ხელი! გაგონილა, თქვენი ჭირიძე! აგერ თექვსმეტი-
 დღეა, რაც აქა ვარ უგროშ-უკაპეიკოთ და ახლოს
 მომავალშიაც მოსალოდნელი არა მაქვს-რა... სულ-კი
 აქაური სცენის მოყვარეთა ბრალია. აბა, რა მაგათი

საქმეა სცენა, თეატრი, წარმოდგენა! ფუი! ამავდროება
რა რიგად მშიან! გროში რა არის, გახვრეტილი
გროში? — ისიც სანატრელია ჩემთვის!.. გუშინდელს
აქეთ პაპიროსი არ მომიწევია. (წარმოდგება და მიღის
სტოლთან) აქ ხომ არსად არის? არა, არც აქ არის.
(იატაკზე იყურება) ეჰე! რა არის ბედოვლათობა-და! რა
მრჯიდა, ცოტა ხელ მოკლედ ვყოფილვიყავი, მაგ-
რამ არა! რაღაც ქაჯი და ეშმაკი სულ ხელსა მკრავს
ხოლმე, და სულ იმას ჩავდივარ, რაც ურგებია და
უსარგებლო!.. წამოველი ტფილისიდგან, ვიფიქრე ზაფ-
ხულია და რასმე გავარიგებ-მეთქი... სეზონი 8 თე-
ბერვალს გათავდა, ვიფიქრე დიდ-მარხვისათვის მაინც
შემრჩება-მეთქი ფული, პირ-იქით დრამატიულ კო-
მიტეტის ვალიც დამედო... ფუი! ანასუნი ამისთანა
ცხოვრებას!.. ქვეყანაზედ ბევრი რამ ცუდი ხელობა
არის, მაგრამ ასეთი ყოვლად შეუძლებელი და ყოვ-
ლად შეუწყნარებელი ხელობისთანა არაფერი გაუ-
ჩენია ღმერთს, როგორც ქართული თეატრის აქტო-
რობა არის. ოთხი, ოთხ-ნახევარ თვე გეძლევა ჯა-
მაგირი, და ისიც იმდენი რომ სასმელ-საჭმელის
ხარჯს გაუსწორდე, და შვიდი-რვა თვე-კი ისე ხარ
ხახა გამშრალი, ენა გაღმოგდებული, ცხვირ ჩამოშვე-
ბული და კუჭი გამოლაგებული!.. ამბობენ სახე-
ლიაო! რის სახელი, რას მიჰქარიამენ! უკანასკნელი
ქარვასლის ნოქარი რა არის, შტაბის უკანასკნელი
მწერალი რა არის? — ისინიც-კი მთელი წლის განმავ-

ლობაში მაძლრები აჩიან!.. ლაქიებზე-კი ნუ-მყასაჭა
ხავთ—ისინი ხომ სულ ბატონები არიან. შარშანდე-
ლი ლაქია, დღეს ჩემი სასტუმროს ბატონ-პატრო-
ნია. ჩვენ-კი აქტორები? ფუი! აი აქტიორები!.. (და-
ფურთხებს და ფეხით გასრესამს) უკვირთ კიდევ რომ ჩვე-
ნი დრამატიული და სასცენო ხელოვნება სასურველ
დონეზედ არ არისო! ბიჭოს-და, როგორ უნდა იყოს
სასურველ დონეზედ, როდესაც ჩვენ ჩვენს ლონე-
ზედ არა ვართ სიმშილისა და წყურვილისაგან. ეხ-
ლა კიდევ რაღაც სცენის მოყვარენი გამოჩნდნენ!..
ესეც მოღაა რაღა!.. ყოველი საქმე მოცულილი
დოკულაპია და ნაცარ-ქექია ვაჟბატონი და ქალ-
ბატონი წარმოდგენას მართამს, ვითომ-და რაღაც
საქველ-მოქმედო აზრით, და ნამდვილად-კი, თუნდა 12
სახარებაზედ დავიფიცავ, თითონ იჯიბამენ!.. (დაღრ.)
აი აქაც!.. მინდოდა წარმოდგენა გამემართა, ცოტა
მაინც სარჩო-საბადებელი მეშოვნა, რომ სექტემ-
ბრამდე მიმელწია, სანამ სეზონი დაიწყობოდა. ჯერ-
ხანად საქმეც კარგად მიდიოდა... სცენის მოყვარე-
ებსაც თავი ერთად მოვუყარე, ჩემის სასტუმროს პატ-
რონის ქალიც დავიყოლიე, ერთის სიტყვით საქმე
გავჩარხე... და უეცრივ, თითქმ ზეციდგან ჩამოვარ-
დაო, აქაური კნიაჟნა-კნიაზები, საქველ-მოქმედო
წარმოდგენას მართავენ... ბილეთები სულ დაჰყიდეს
და დავრჩი ისევ პირში ჩალა გამოვლებული!.. სას-
ტუმროდან მითხოვენ, სადილს ნისიად აღარ მაძლე-

ვენ... ერთის სიტყვით ვმარხულობ რაღა!  კარგი, რომ ზოგჯერ ვითომ-და პატივის-მცემელნი მპატიუბნენ, მაჭმევენ და მათრობენ... ის ოჯახ-და-ქცეულები ორ-სამ თუმნობით ხარჯამენ, და ის კი არ იციან, რომ მე თვითო აბაზი მენატრება!.. ჩექმაც დამეხა, სარეცხი არ მოაქვსთ, სასტუმროს პატრონის ქალიც მეარშიყება—რა დროს სიყვარული და არშიყობის დროა, ერთი კაცმა მყითხოს—ჯიბეში-კი რა ხანია თაგვები ნავარდობენ!.. მოდი და გუ-ლი ნუ მოგივა... ფუი!

II.


იგივე და იორდანე.

იორდანე. (შემოდის პოლის საწმედი ჩოთქით) ფრო-სია გეძახის, ბატონო.

ტარას. ფროსია! ვაი შენ ჩემო თავო! ცალი ჩექმა რომ არ მაცვია? ჯერ არ მოუტანია ბიჭსა?

იორდანე. არა, ბატონო, ისტე რა გიჭირთ? აქა-ნეა ეივანზედ.

ტარას. აქანეა, აქანეა; ვიცი რომ აქანეა, მაგ-რამ როგორლაც მეჩოთირება ასე ახალგაზდა ქალ-თან... მაგრამ ეჲ! სულ ერთია... მოიცა ერთი სარ-კეში ჩავიხედო! (თმებს ივარცხნის და ლამაზდება) რა გა-ვხდი ამ წყეულ ქალაქში! თვალები ჩამივარდა, პი-რი გაუპარსავი მაქვს, ფუი! (უნდა გავიდეს)

 ითოვდანები. ბატონო, ცოტა ფრთხილად გავაშენება
ხაზეინმა არ დაგინახოს, მგონია გაგებული აქვს.

ტარას. ბიჭოს! მერე რა უნდა, ხომ არ შე-
მიჭამია იმისი ქალი?

ითოვდანები. კი მარა მაინც, რაც უნდა იყოს,
სიფრთხილე სჯობიან.

ტარას. შენ ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო იორდანე.
მაგისთანა საქმეში მე ნამდვილი არტისტი ვარ (მღე-
რით) «მიყვარს და მიყვარს მე ლამაზები...» და ბევ-
რი ქალი მიგდია ხელში!» (გადის)

ითოვდანები (მარტო, ალაგებს ოთახს) ჩემს დღეში არ
მინახავს ამისთანა მდგმური!.. რა რიგად აუქოთებია
აქაურობა! დღეში რომ ათჯერ მიალაგო, ათჯერვე
არევს ყოლიფერს. ხუმარა კაცი-კია, ლვთის წინაშე.
ჩვენი ხაზეინისთანა ძუნწი ქვეყანაზედ ძნელად მო-
იპოვება, მარამ ამასაც-კი უქონავს ხოლმე თავს...
აგერ სამი თუმანი გართებს, მარა ჯერ ხმას არ იღებს.
აქტიორი კაცია — მაშ როგორ იქნება! დედა, დედა!
ერთხელ რომ ვნახე მაგათი წარმოდგენა, სიცილით კი-
ნალამ გავსკდი... რაცხა «ბაიყურშს» არდგენდნენ, და
მისთანა არაფერი მინახავს ჩემს სიცოცხლეშიდ... ერთ
სომეხ პრიკაშჩიქს ქე მოახიეს სერთუკის კუდი... მერე
ერთმინეთი სცემეს!.. ცირკს ბევრად ჯობიან!.. ეხ-
ლა-კი ზის აგერ სამი კვირაა და პაპიროზის ფულს
მე მესესხება ხოლმე... იმ დღეს სამთელიც მე ვუყი-
დე! მალე გავმდიდრდებიო... ღმერთმა ჰქნას, თორემ

ჩემი კავალი სამიმანათი, შვიდი შაური და ორი მატყებური
ქე დამეკარგება. რა ძალიან გამეხარდა, რომ ჩვენი ხა-
ზეინის ქალს ეჩურჩუნება. ახია იმაზედ. ისტე ამა-
ყია, რომ პირველი სორტის ჰელნია თავისი თავი...
არც-კი შემხედავს ხოლმე. აპა, ბიჭი არ ვიქნები, თუ
იმ აქტიორმა აქტრისად არა გახადოს იგი, და
თბილის ქალაქში არ ამოაყოფიოს თავი. ისთე გა-
მეხარდება—ისტე, რომ გზის ფულსაც არ დავუჭერ!..
(შემოდის ბიჭი ჩექმით)

III.

იგივე და ბიჭი ჩექმით.

ბიჭი. (ჩექმით შემოდის, თითონ გამურულია და ჭუკ-
ყიანი, შეა კარში ჩერდება)

ითრდ. რა გინდა ბოვშო?

ბიჭი. აქტიორი რომ არის, აქ არის?

ითრდ. აქ არის!

ბიჭი. ამ პოლსაპოშეს პაჩინკა ვუყავით და ეხ-
ლა მოვუტანე.

ითრდ. მოიტანე-და დასდევი აქანეი და წალი
შენთვის.

ბიჭი. (ჩუმად არის)

ითრდ. არ გესმის ბიჭო! რას გაჩერებულხარ?
ეხლა აქ არის. დასდევი რაღა და გასწი შენთვის...

ბიჭი. ოსტატმა — უფულოდ ნუ მისცემო.

ითრდ. უფულოდ ნუ მისცემო!.. იმე!.. რა დი-
დი ფულია მერე? რამდენია?

ბიჭი. ექვსი ჟაურია.

ითრდ. თუ გინდა დაუტოვე, თუ არ გინდა წა-
ილე და მერე მეიტანე.

ბიჭი. მერე მოვიტან. (ვადის)

ითრდ. აჲა, ასთეა მისი საქმე. ექვსი ჟაური არა
აქვს, რომ ჩექმა ჩაიცვას... გარედ არ გასულა... მე-
რე ვისი ბრალია, სულ თავიანთი ბრალია... ქე იყ-
ვნენ ამ სამი კვირის წინად კარგად აქანე ყველანი:
თრიატიც კარგა იყო და ხალხიც ქე დაიარებოდა
მათთან... მერე რაცხაზე, სულ უბრალოზედ ჩხუბი
მოუვიდათ, თვრალები იყვნენ და სულ ერთიანად
გადეირია მაგათი საქმე... ზოგი ისევ უკან დაბრუნ-
და ტფილისში, ზოგი ბათუმს წევიდა და ეს-კი აქანე
დარჩა. ეგონა რასმეს გავაკეთებო, მარამ ქე არის
აგერ სამი კვირა უსაქმოთ... მარა აქტიორების საქ-
მე სულ ასთე ყოფილა!.. თურმე არ იქნება ერთი
თვე ისთე გავიდეს, რომ ჩხუბი არ ჩამოაგდონ, მერე
სულ უბრალო საქმეზედ. თორემ, რო ერთად იყვნენ,
რა უკირთ. მთელი ქალაქი მაგათთან დაღიოდა და
ეხლა-კი თვითონ უჩექმოდ დადის... (შემოდის ტარასი)

IV.

იგივე და ტარასი.

ტარას. (შემოდის ფეხ-აკრეფით და უკან იხედება) მაღლობა ღმერთს! ვგონებ არ დაუნახვივარ!.. თუ შემიტყო, სწორედ გამაგდებს აქედგან...

ითრდ. ბატონო, ბიჭი იყო აქანეი!

ტარას. ვინ ბიჭი?

ითრდ. ჩექმა მეტანა.

ტარას. მერე რა უყავი?

ითრდ. ისთევე უკან წეილო.

ტარას. მერე რად მიეცი?

ითრდ. რა მექნა, ბატონო, ექვსი შაური ფული ითხოვა!

ტარას. მერე ექვსი შაური ფულია? ფურ, თქვენს საქმეს!.. მაშ ეხლა რა ვქნა, მთელი დღე შინ ვიჯდე?

ითრდ. ისთევ მეტანს, ბატონო...

ტარას. გეთაყვა ერთი ნახე, უთხარი მოიტანოს!.. იმ ოხერს რა ჰელინია, კალოშით ან ფეხ-შიშველა ხომ ვერ ვივლი ქუჩა-ქუჩა!..

ითრდ. წავალ, ბატონო, ვეტყვი ეხლავე.

ტარას. იორდანე, შენ ფიქრი ნუ ვაქვს... შენს ფულებს ერთი-ორად დაგიბრუნებ.

ითრდ. თქვენი იმედი მაქვს, ბატონო. (გადის)

ტარას. (მარტო) ხლესტაკოვი მაგონდები და კარის ვიზორშია, ჩემს თავს რომ დავხედავ! ისლა მაკლია რომ პოლიციაც მესტუმროს... საშინელ ცუდს მდგომარეობაში ვიქნები, თუ ჩექმა არ მომიტანეს. არა, ბედია, მაშ რა ოხრობაა!.. სწორედ ამ გაჭირების დროს მომედო სიყვარულის აღი. არც ფული, არც ნისია, და არც ფეხ-საცმელი. ამაზედ უარესი უბედურება-ლა იქნება რამე!? (შემოდის ვარდყინჩაძე)

V.

იგივე და გარდენჩაძე.

გარდენჩაძე. (შემოდის შუა კარიდგან, იქვე შეჩერდება) ბატონი ტარასი?

ტარას. (მობრუნდება) გახლავართ. რას მიბრძანებთ?

გარდენ. ნება მიბოძეთ, გამოგემცნაუროდ: ანტონ ვარდყინჩაძე.

ტარას. ძლიერ სასიამოვნოა. უკაცრავად. დაბრძანდით, ბატონო.

გარდენჩაძე. მადლობას მოგახსენებთ! (ჯლება. პაუზა.)

ტარას. უკაცრავად... ცოტა არეულობაა ჩემს ითახში... ერთი ფეხიც დამისივდა და კალოშში.

გახლავართ. უკაცრავად... რას მიბრძანებთ! რისთვის გარჯილხართ?

გარდეინ. მოგახსენებთ, ბატონო... რა თქმა უნდა, თქვენი პირადი ცნობის შემთხვევა ჯერ არა მქონია, მაგრამ დიდი ხანია გიცნობთ და თქვენი დიდი პატივის-მცემელიც გახლავართ... მეც და ჩემი ცოლიც სცენის დიდი მოყვარენი ვართ... არტისტობას ვერ დავიჩემებთ, მაგრამ მაინც, რაც შეეხება პროვინციას...

ტარას. ძლიერ სასიამოვნოა. (იქით) ნეტა რა უნდა!

გარდეინ. უნდა მოგახსენოთ, თქვენი აქ ყოფნა რომ მცოდნოდა, სწორედ ერთს საათსაც არ დავაყოვნებდი და მაშინვე გიახლებოდით...

ტარას. (იქით) სტუუის! როგორ არ იცოდა, როცა ყოველ დღე მხედავდა.

გარდეინ. აბა, უთქვენოდ ჩვენ როგორ გავმართავდით წარმოდგენას... თქვენი ნიჭი, თქვენი გამოცდილება ბევრად დააშვერებდა ჩვენ წარმოდგენას...

ტარას. რას მიბრძანებთ, ბატონო, მაგდენად არათერს...

გარდეინ. წარმოიდგინეთ, ბატონო, აგერ ორი კვირაა, რომ ვემზადებით ამ წარმოდგენისთვის, ყველა ბილეობი გავყიდეთ და...

ტარას. თქვენ ალბად საქველ-მოქმედო წარმოდგენაზე ბრძანდები.

გარდეინ. სწორედ იმაზედ მოგახსენებთ. ჩემი ცოლი და ჩემი უფროსის ცოლი ძალიან არიან ერთ-მეორესთან გაწყობილი და საშინლად უყვართ ორთავეს ტეატრში თამაშობა... ამის გამო, რა თქმა უნდა, არც ერთს საქველ-მოქმედო წარმოდგენას არ ასცდებიან და ხშირად თითონ მეთაურობენ ხოლმე. ამ უამაღაც ჩემი უფროსის ცოლმა — კნ. ელენემ მოიწადინა წარმოდგენის გამართვა. ბევრი სჯისა და თათბირის შემდეგ აირჩიეს ერთი უძნელესი პიესა, „ოტელო“, შექსპირისა.

ტარას. ამ პიესაში რომ ქალებს საიმისო როლები არა აქვთ-რა!

გარდეინ. საქმეც ეგ არის და!.. უნდა მოგახსენოთ, რომ აქ ჩენა გვყავს ერთი სცენის მოყვარე ვაჟბატონი, რომელსაც თავისი თავი როსსიზე უფრო მეტი არტისტი ჰგონია... და ამასთანავე ქალებიც ანებივრებენ, განსაკუთრებით ჩემი უფროსის ცოლი კნ. ელენე, და, გამოგიტყდებით, ჩემი კნენაც...

ტარას. უკაცრავად, რომელზედ ბრძანებთ, მე არ ვიცნობ?

გარდეინ. ალბად უნდა იცნობდეთ. აი ის მალ-მალალი რომ არის... არა, არც მალალი, ისე შუა ტანისა, შავ-ულვა შებიანი, ზორბა ტანისა, თვალები

ავაზაკს რომ მიუგავს... უნდა გეცნობოდეთ... სპი-
რიდონ ბუტიაშვილი.

ცარას. ჰმ! ვიცი, ვიცი, ვიცნობ... აი ის მუდამ
ხელში კეტი და თავში რეტი რომ აქვს!..

ვარდეკინ. ჰო, ჰო, სწორედ ისა! გცოდნიათ...
მართალი ბრძანეთ, ნამდვილი სთქვით!.. აი ამასა
ჰქვიან არტისტი... მე რომ ათი წელიწადი მეფიქრნა,
მაინც მაგისთანას ვერ ვიტყოდი. ჩინებულია: ხელ-
ში კეტი, თავში რეტი! ხა! ხა! ხა!

ცარას. უკაცრავად, ერთი პაპიროზი მასესხეთ!

ვარდეკინ. ინებეთ, ინებეთ! მერე, ბატონო, ისე
გადარია ქალები, რომ „ოტელოს“ დადგმა გადააწყვე-
ტინა... და აგერ თრი კვირაა, რაც ვწვალობ და ვი-
ტინჯები: როლების აღმსრულებლების ძებნა, თუ
ტანისამოსის შოვნა, ერთის სიტყვით... მოვკვდი!

ცარას. მერე თქვენ რაღა გრჯით, ბატონო?

ვარდეკინ. ჯერ ერთი-რომ მე თითონ ბრაბან-
ტიოს ვთამაშობ და ძლიერაც მიყვარს სცენა. მეორე
ისა-რომ ჩემი უფროსის ცოლი კნ. ელენე მეთაუ-
რობს. მთხოვა შემეწიეო, და, ხომ მოგეხსენებათ,
ეხლანდელ დროში ცოლები უფრო არიგებენ კა-
ცის ბედ-ილბალს, ვიდრე მინისტრები...

ცარას. ჰო, ეხლა მიეხვდი...

ვარდეკინ. ჰო-და, იმას მოგახსენებდით... ძლივ-
ძლივობით მოვამზადეთ... მოგეხსენებათ, რომ შექს-
პირი მეტად უხერხული მწერალია: იმას სრულებით

არა ჰქონია სახეში ჩვენისთანა სკენის მოყვარენი
და მოქმედნი პირთა რიცხვი აურიცხველია... ამიტომ
ბევრი ვინმე გამოვაკელით, ასე რომ გავანახევრეთ...
ჰო, იმას მოგახსენებდით... „ოტელო“, როგორც
იყო მოვამზადეთ, დღეს უნდა ვითამაშოთ, მაგრამ...
მაგარი ეს არის, რომ თვითონ ოტელო დაგვეკარგა!..

ტარას. როგორ თუ დაგეკარგათ!..

გარდეინ. ისე რომ დაგვეკარგა, ნამდვილად
დაგვეკარგა!.. მოგეხსენებათ ყველგან და განსაკუთ-
რებით ჩვენში—იმერეთში ინტრიგებს, ჭორებს, შე-
ცილებას, ყოველ არამზადულ ქცევას, განხეთქილე-
ბას და პარტიობას ხომ დასასრული არა აქვს. ამ-
ამბობენ, ეხლა ქართლ-კახეთშიაც დაიწყესო. ღმერთ-
მა ხელი მოუმართოთ! ჰო, იმას მოგახსენებდით,
რომ ინტრიგობამ და პარტიობამ ამ წარმოდგენა-
შიაც იჩინა თავი; ორ დასად გაიყვნენ და საქმე
იქამდის მიიყვანეს, რომ ოტელო დაგვეკარგა.

ტარას. მაშ დაგეკარგად—დაგეკარგად?

გარდეინ. დღევანდელი წარმოდგენისათვის-კი
დაკარგულია-და, მერე თავში ქვა იხალოს... რალად
გვინდა ის ხელ-კეტიანი, თავ-რეტიანი.

ტარას. მაინც სად არის?

გარდეინ. ეშმაკმა იცის იმისი თავი!.. წუხელის
თურმე მეორე პარტიის მომხრეებს ვახშმად დაუბა-
ტიუნიათ, კარგად ლაზათიანად გამოუთვრიათ და
მერე, ლვინით გახურებულნი, ამდგარან, ჩამსხდარან

დრამები და კომედიები. ვ. გუნია

ერტლში, წასულან სტანციაზედ, სტანციიდგან შესულან ვაგონში და ჰერი... ზესტაფონში-კი ამოუყვიათ თავი! აი ეხლა-ხან მომივიდა დეპეშა... კარგია კიდევ რომ დეპეშა გამომიგზავნა ჩემმა მეგობარმა. (ამოიღებს და კითხულობს) „თქვენი ოტელო მთვრალი გამოხეთქილია, ამ სალამოს წარმოდგენაზედ-კი არა, ვგონებ ერთი კვირაც ვერ გამოფხიზლდეს“. როგორ მოგწონთ ჰა?

ტარას. დიახაც რომ ცუდი საქმე დაგმართნიათ?

გარდეთ. ეხლა თუ გვიშველის ვინმე, ისევ თქვენ, ბატონო ტარასი; ლვთის გულისათვის, მოგვეხმარეთ და გამოგვიყვანეთ ამ მდგომარეობიდგან. აჯამშეთ ოტელო ამ სალამოზედ.

ტარას. რას ბრძანებთ, ბატონო, ხომ არ დამცინით? ასე მალე ოტელო როგორ-ლა მოვამზადო? ეგ ხომ ვოდევილი არ არის, ეგ შექსპირია, ბატონო, შექსპირი!

გარდეთ. ეჭ, ეგ სულ ერთია! შექსპირი იყოს თუნდა შილლერი. თქვენ ოლონდ დათანხმდით. როლი მაინც და მაინც დიდი არ არის, შეიძლება, სადაც ბევრი სალაპარაკო არის, შევამოკლოდ... როლი კარგია, ტანისამოსიც კარგი ვიშოვეთ... აქ ვიღასაც მასკარადისათვის შეუკერვინებია, ჩინებული რამ არის!.. სახეც ზედ მოხდენილი გაქვთ ამ როლისათვის...

ტარას. რას მიბრძანებთ, ბატონო! მე ჩემს დღე-ში არ მითამაშნია ტრალიკული და დრამატიკული როლები, მე სულ კომედიებში ვთამაშობ.

გარდეინ. თქვენგან არ მიკვირს! ტრალედია „ქოროლლში“ რომ თამაშობთ?

ტარას. ბ., სად „ქოროლლი“ და სად „ოტელო“!

გარდეინ. ეჭ, ნუ ნაზობთ ბ. ტარასი! თქვენის-თანა ნიჭის პატრონს რაღა გაუჭირდება... ხოლო რაც შეეხება დანარჩენ მოთამაშეებს, ფიქრი ნუ გაქვთ. ბრაბანტიოს მე ვთამაშობ, და სწორედ გე-სიამოვნებათ რომ მნახოთ!.. იაგოს ახალგაზდა ყმაწ-ვილი გრიშა დავითაშვილი თამაშობს და არა უჭირს-რა, თუმცა ცოტა ენა ბლუა, მაგრამ რაც შეეხება დესდემონას, მაგისთანა მოთამაშეს, გარწმუნებთ, თქვენს დასშიაც ვერ იპოვით. ნეფოსთანა დეზ-დებონა იშვიათია!..

ტარას. ნეფო ვინდა?

გარდეინ. ნეფო ჩემი კნეინა გახლავსთ. უკანასკნელ მოქმედებაში, როცა ოტელო აღრჩობს, ისე ჰკივის რომ გაგიკვირდებათ... ერთხელ რეპეტიციაზედ ისე დაიკივლა, რომ ქუჩაში მთელი ქალაქი მოგროვდა—ასე ეგონათ ვილაც მოჰკლესო, ბოლოს პოლიციაც მოვიდა... მაშ, ისეთი ყოჩალი რამ არის...

ტარას. არ იქნება როგორმე „ოტელოს“ მაგიერსხვა პიესა დასდგათ?

გარდეინ. ყოვლად შეუძლებელია. ჯერ ერთა

რომ, ასე მალე ვინ-ლა მოვამზადოთ და მეორე ისტორია
რომ თუ ჩემს ნეფოს დეზდემონა არ ვათამაშე, სწო-
რედ გამეყრება. ოთხი კაბა შეაკერვინა, ხუმრობა
ხომ არა გვონიათ!.. მაშ, ასე რაღა, ამ სალამოს ვთა-
მაშობთ?

ტარას. არ ვიცი, ღმერთმანი, რა ვქნა! ვითამა-
შო და როგორ ვითამაშო, არ ვითამაშო და რო-
გორ ვიყო!

გარდეინ. ეჰ, ბატონო ტარასი, არც აქეთ და
არც იქეთ, —ითამაშეთ და 15 მან. მოგარომევთ.

ტარას. (ფიქრობს) ეჰ! რაც იქნება იქნეს! ვთა-
მაშობ!.. ერთი წიგნი ან გადაწერილი როლი მაინც
მქონდეს, ეხლავე შევუდგებოდი სწავლას.

გარდეინ. აჲა ინებეთ როლი... მე წინ დახე-
დული კაცი ვარ. (აძლევს წიგნს)

ტარას. (გამოართმევს) რა გაეწყობა, უნდა ვი-
სწავლო. (შლის წიგნს) ოჲ, ოჲ! ღმერთო, ლექსად
არის!.. ამას ვინ ისწავლის?

გარდეინ. რა უყოთ რომ ლექსით არის, თქვენ
პროზითა სთქვით!..

ტარას. სუჭლიორი ხომ მაინც კარგი გყავთ...
ეჲ, სადა ხარ ეხლა ჩვენო სუჭლიორო, კოლა?!!

გარდეინ. სუჭლიორი ჩინებულია, წმ. გიორ-
გის ეკლესიის დრაკვანია, მერე ისე სხაპა-სხუპით
კითხულობს, რომ ბედაურითაც ვერ მოეწევით... მაშ

იმედი მაქვს რაღა? დღეს 12 საათზედ რეპეტიცია
გვექნება.

ტარას. როგორ! მარტო ერთი რეპეტიციით?
გარდეთ. ეჭ! თქვენგან არ მიკვირს, ბატონი
ტარასი! რა გეუცხოვათ, მეტადრე თქვენ,
ვგონებ თქვენ სიცოცხლეში როლი ზეპირად არა
გცოდნიათ. ხა, ხა, ხა! (მიღის კარებისკენ) მაშ მოგე-
ლით რაღა?

ტარას. (მოეწევა) ბატონი ანტონ!

გარდეთ. მიბრძანეთ!

ტარას. ურიგო არ იქნება ცოტა-რამ ჭუჭუი
დამიტოვოთ.

გარდეთ. სიამოვნებით, რამდენი გნებავსთ?

ტარას. ნახევარს რომ მომცემდეთ...

გარდეთ. სიამოვნებით მოგარომევთ, მაგრამ
ეხლა რად გინდათ ამდენი, იკმარეთ ერთი მანეთი.

ტარას. (გახარებული) რა გაეწყობა, საზოგადოდ
მე ვაკრობა არ მიყვარს.

გარდეთ. ხოლო ერთს რასმე გთხოვთ ბატ-
ტარასი, ღვთის გულისათვის, არსად წახვიდეთ-კია.
(შეხედავს ბოთლს) ეს ოხერი ბოთლებიც მოიშორეთ.
ვინ იცის—კაცნი ვართ. იქნება როგორ მოგინდეთ
დალევა. ნუ დამლუპავთ და ნურც ვისმე წაჰყე-
ბით საღილად, თორემ კიდევ უბედურება არ შე-
გვემოხვევს. აქაური ამბები რომ ვიცი, არც-კი გა-
მიკვირდება, რომ დაგათრონ ან მოგიტაცინ საღმე!..

ცარას. ფიქრი ნუ გაქვთ! ერთს წვეთსაც არ დავლევ!

გარდეთ. მე მჯერა, რომ არ მიღალატებთ და ამიტომ მე სრული იმედი მაქვს თქვენი... ინებეთ. (აძლევს ერთ მანეთს)

ცარას. გმადლობთ, გმადლობთ! ჩემზედ ნუ გეფიქრებათ. როლს ისე შევისწავლი, რომ ყველა გავაკვირვო, წარმოდგენა-კი არა კონცერტი იქნება, ნამდვილი კონცერტი!..

გარდეთ. აბა თქვენი იმედი გვექნება. მაინც და მაინც მე მირჩევნია, რომ სადილად დლეს ჩემთან იყოთ; მე არსად არ გავიშვებთ და არც არას დაგალევინებთ. ხოლო წარმოდგენის შემდეგ, სულ ყირამალა გატარებთ. აბა თქვენ იცით, ბევრი უნდა ეცადოთ. იმედი მაქვს როლს კარგად ისწავლით, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც ოტელო ამბობს: (დეკალაციით)

„მშვიდობით ჩემთ მხიარულო კმაყოფილებაკ,

მშვიდობით სპანო ჭიდოსანნო, დიდნო ბრძოლანო!

მშვიდობით ჩემის თავ-მომწონე ცხენის ჭისკინო,

გულის აღმძერელო დაფ-დაფებო, ომის მეგეთრო სმავ,

მშვიდობით“...

(ჩვეულებრივის კილოთ) მაქვს პატივი გამოგეთხოვთ!..
(სწრაფად გადის)

ცარას. (მარტო. პაუზა) პა, „ოტელო“ უნდა ვითამაშო, რაღა? ვაიმე სირცხვილო! ეჭ! რაც იქნე-

ბა—იქნეს! ეს კარგი შემთხვევაა. ბევრი ხალხი იქნება. უნდა ვეცადო კარგად შევასრულო. დავჯდები და სულ ჯანს გავიგდებინებ სწავლაში. თუ მოვინდომე—მოვერევი. დავჯდები აქა და თუნდა მთელი სახლი გადიწვას, ფეხსაც არ დავძრავ!.. ვისწავლი და ვისწავლი!.. ვრც უნდა მოვიდეს, ყურსაც არ ვათხოვებ, თვალს არ მოვაშორებ რვეულს, სანამ კარგად არ ვისწავლი! (წვება ლოგინზედ და ნელის ხმით კითხულობს ხან ხელების და ხან თავის ქნევით. ცოტა ხნის შემდეგ შემოვლენ ჯირჯინაშვილი და იორდანე).

VI.

იგივე, კირჯინაშვილი და იორდანე.

კირჯინაშვილი. (ბიჭს წინ გაიძლოლებს) შედი, ბიჭო, რას გეშინიან ღლუბერნატორი ხომ არ არის? ასე როგორ იქნება, ქალი გადამირია!..

იორდანე. ბატონო, ბატონი გეახლათ! (პაუზა)

კირჯინ. თქვენთან საქმე მაქვს. (პაუზა)

იორდ. ბატონო, ხაზეინი გეახლათ, ხაზეინი!

ტარას. (თვალს არ აშორებს წიგნს. ხელს იქნევს) ნუ მიშლით, ნუ!..

კირჯ. არც გიშლით და არც არაფერი. მე რუსის სალდათი ხომ არა გგონივართ. მე ნებას არავის მივცემ, რომ ქალი გადამირიონ...

ითრდ. ფროსიაზე მოგახსენებთ, ბატონო, ჩვენ
ნი ხაზეინი...

ჯირჭ. ისეთი მშვიდი ქალი იყო და ეხლა
თქვენ გადაგირევიათ მთლად. თუ პატიოსანი აზრი
გაქვსთ რამე, ჩვენც გაგვაგებინეთ, როგორც მშობ-
ლებს!.. იმიტომ რომ რიგი და წესია ასე მოიქცეს
ყოველი პატიოსანი კაცი. თორებ ასე გარედან...
როგორ იქნება!.. (ბიჭს) რა არის, რომ ხმას არ იღებს?

ითრდ. თქვენ მოგახსენებენ, ბატონო, თვითონ
ხაზეინი გეახლად ფროსიას გულისათვის!..

ცარას. (ისევ ისე) ნუ მიშლით-მეთქი, ნუ მიშ-
ლით!..

ჯირჭ. ნუ მიშლით რომელია?.. რა ხანია ფულს
არ იძლევით და კიდევ ნუ მიშლითო? მე პატივსა
გცემდით, როგორც კეთილშობილ კაცს და თუ ასე
უკადრისად მომექცევით — ინებეთ და მიბრძანდით,
არც თქვენი ფული მინდა და არც თქვენი აქ ყოფნა!..

ითრდ. ბატონო, რატომ ხმას არ გასცემთ ხა-
ზეინს?

ცარას. (წამოხტება უეპრივ და ხმა მაღლა კითხუ-
ლობს როლს, თითქოს სუნაზე თამაშობსო)

«დე იჯავროს! მე მგონია რომ იმის ჩივილს
ამ ქვეუნისადმი ჩემი ღვაწლი ხმას შეუმოკლებს!..»

(ხელს დაუჭერს იორდანეს)

«და ეს იცოდე შენც, დაგო, რომ ჩემს ცხოვრებას,
ცის ფრინველივით თავისუფალს არ შესუთავდი,

სახელმწიფო რომ მოუნიჭათ ოკეანზედ,
თუ დეზდემონას სიუკარული გუდის არ ჩამჭროდა.
ეს კინ არიან? ეს რა აღი მოსხანს იქიდგან?»
(იორდანე და ჯირჯინაშვილი იხედებიან ფანჯარაში)

ითრდ. ბუხრიდამ კომლი ამოდის, და ალს-კი
არსად ვხედავ.

ჯირჯ. მე დედამანაზე-კი არ გელაპარაკებით,
ფროსიაზედ გელაპარაკებით. ის ვიღაც დედამანაა,
ის თქვენი საქმეა, მაგრამ ფროსიას-კი ხელი გაუშ-
ვით, თორემ საქმე კარგად არ გათავდება. (დიდი პაუზა)

ითრდ. რალას გაჩუმდით, ბატონო, უპასუხეთ...
იქნება თქვენი ბრალი არ არის? იქნება თვითონ
ფროსია სჩაღის?

ცარას. „დარბაისედნო, პატივცემულნო, ბატო-
ნო ჩემნო*. (თავს უკრავს)

თრდვე. (თავს უკრამენ და ერთმანეთს უცქერიან გაშ-
ტერებული, ტარასი-კი როლს აგრძელებს)

ცარას. „მართალი არის—მე მოვტაცე ამ მოხუცს
ქალი“.

ჯირჯ. რაო? მოვტაცეო?!:

ცარას. (აგრძელებს და ყურადღებას არ აქციებს)

„ისიც სწორია, რომ მე იგი ცოლად შეკირთე“.

ჯირჯ. შეირთო კიდევ?

ცარას. „ეგ არის ჩემის შეცოდების თავი და ბოლო“.

ჯირჯ. თუ ასეა, ეხლა მე ვიცი. ეხლავ პო-
ლიციას შევატყობინებ... მე მინდოდა საქმე მორი-

გებით გათავებულიყო. რა-კი ასეა — რა გაეტყობა...

ტარას. (ხელს დაადებს იორდანეს)

„ჩემს დეზდემინას შენა გაბარებ ჩემო, იაგო,
გთხოვ შენი ცოდი მიუჩინო მას თანა-მსდებლად,
დრო რომ ჩაიგდო მაშინკე ჩემთან წამოიყვანე!..

(მოშორდება)

იორდ. მაშ, რავარც ეტყობა, ეს არა ხუმრობს,
ხაზეინ.

ჯირჭ. აბა ვნახოთ, როგორ შეირთავს; ან რო-
გორ ჩაგაბარებს შენა. ეხლავე პოლიციას შევატყო-
ბინებ. წამო, წავიდეთ. მაგისთანა მასხარა აქტორებს
ქალს როგორ მივათხოვებ!.. (გალიან)

ტარას. (აგრძელებს სწავლას და ლაპარაკობს)

„აბა წავიდეთ, დეზდემონა!
შენი ტრფობისთვის და სხვა-და-სხვათურ საქმი-
სათვის,

ერთი საათი დრო მაქს კიდევ“. (ჩვეულებრივის ხმით)
უფ! ძლივს პირველი მოქმედება მოვრჩი! რა ძნელია
ეს ოხერი, როცა როლი ლექსებით არის დაწერი-
ლი. (ყურს უგდებს) კიდევ აკაკუნებენ... ვინ უნდა
იყოს? აღმად ურია იქნება, აბრამ-ბალია. დევ აკა-
კუნოს, არავის შემოუშვებ. აბა დავიწყოთ. (სწავლობს
და აქეთ იქეთ დადის და ხელებს შლის) რომ ვერ მოვასწ-
რო? ეჰ! არც აქეთ, არც იქეთ!.. რაც იქნება იქნეს!..
(სწავლობს დადის და რალასაც დუდუნებს. შემოდის ბიჭი
ჩექმით.)

VII.

იგივე და ბიჭი ჩექმით, მერე აბრამ-ბალია.

ტარას. (მიექანება ბიჭისკენ და ეხვევა)

„ოჟი, ჩემთ დამძირო მეომართ!“

ბიჭი. ვაიმე მიშველეთ!

ტარას. (ხვევნით) „მარცებს დიდად, თან შექსა
მფენს სისარულისას,

რომ ჩემზე წინად აქ მოსულისარ, სულზედ უტბისო!“

ბიჭი. ჩექმა მოგართვით!

ტარას. „ძალო ციურნო, შეისმინეთ!

კედარ კახერხებ გამოვსთქვა ჩემი ნეტარება!..

ბიჭი. სულ ექვსი შაური ლირს.

ტარას. (აგრძელებს) „ოჟ! მეტა-მეტი არის ჩემ-
თვის ეს სისარული!“.

ბიჭი. უფულოდ აღარ შემიძლიან. (შემოლის
აბრამ-ბალია)

აბრამ. ბატონო, ნასკი, ჩულკი, პლატკი რომ
წაილეთ, იმის ფული მიბოძეთ... რა ხანია მპირდე-
ბით... ახალი ნასკი, ჩულჭი, პლატკი...

ტარას. (მივარდება და ყელში წაუჭერს აბრამ-ბალიას)

ბიჭი. ვაი მე მიშველეთ! (გარეთ გავარდება და
ჩექმას იქ დაგდებს)

ტარას. (ტრალიკულად) „ბილწო ქმნილებავ, ეს იცო-
დე, იცოდე-მეოჭი,

უნდა აშეარად დამიმტკიცო, თვალთ დამახასკო,
თორებ სულ კუთხა! — გერჩივნა შობილიუავ წუწბ
ძაღლის ლეპებ,
კიდრე ჩემს მდედრარე რისხას წინ დასდომოდა!“
აბრამ. შემიბრალეთ! ფულს აღარა გთხოვთ!..
ცარას. „ჩემის თვალით მაჩვენე მეთქმა, თორებ კაი
შენს თავს!..

აბრამ. ეხლავ კნიაზო, ეხლავ გაჩვენებ, პლატ-
კი, ნასკი...
ცარას. „ოჟ, თუ შენ ცილი სწამებ უმანეოებას,
და გული მიგმირავ, იმის უარეს ოჟ, მერწმუნე, გე-
დარას იზამ!“ (მოუღერებს მუშტს)

აბრამ. ვაი მე დედავ! ქრისტიანი არა ხარ? ნი-
სიათ მოგეცი და მევე ტყავს მაძრობ? ეგ საღაური
სამართალია!.. (მიიწევა ფანჯრისკენ)

ცარას. „მოიცა, აქ დარჩი, იქნება პატიოსანი სარ?“

აბრამ. ჩემს მზესა ვფიცავ, პატიოსანი ვარ.

ცარასი. „არა, იაგო, არა!

როგორც პონტის ზღვის ციკნი ზეირთნი გატა-
ცებული
მისდევენ ერთ გზას, ისრე მედგარნი ზრახვანი ჩემნი
უპა გერ წაკლენ! კუთხა, შეკასრულო ეს აღთქმა
ჩემი!..“

აბრამ. ვაი მე!.. არავინა ხართ ქრისტიანი? მი-
შველეთ! (შემოდის პარასკევა)

VIII.

იგინიგე და პარასკევა სარეცხით.

პარასკევა. (შემოდის სარეცხით) სარეცხი მოგარ-
თვით!

ტარას. (მოჰყიდებს ხელს პარასკევას ტრალიკულად)
„მოიგონე თუ ცოდგა გაქცე-რამ, ითხოვე ეხლავ,
მოგიტეოს ზეცით უფალმა, იღორე მალე!“

პარას. სალოცავი რა მჭირს!.. წინანდელით
სულ ორ-ნახევარი გახლავთ.

ტარას. (ისევ ისე) „ნუ აგვიანებ, ჩქარა იღორე,—
მუ-კა აქ ვიგდო!

არ მოგქდავ ისე, ვიდრე შენს სულს არ განიმზადებ,
სული არ მოგქდავ, დამითვროს დმერთმა მაგისაგან!“

პარას. რომ არ გადარეულხართ, რომ სიკვდილ-
ზედ ლაპარაკობთ! მე ორ ნახევარი მერგება; მალე
მომეცით, მოცდა არ შემიძლიან.

ტარას. „მითხარი, პატიოსანი ქადა სარ შენა?

პარას. რაო? როგორ მიბედავთ მაგისთანა შე-
ურაცხყობას! ძალიანაც მიჰქარავთ, მაგას რომ
მეუბნებით. პატიოსანი ვარ, მაშ არა-და თქვენის-
თანა ვიქნები, თქვენმა სიცოცხლემ!..

ტარას. უნდა მოკვდე, შე უნამუშო!

პარას. ვუ, თვალები დამიდგეს! უნამუსოვო?!
ოჲ, შე შარლატანო... უნამუსოცა ხარ და გაიძვერაც.

ტარას. (წაუჭერს კისერში ხელს და საწოლისაკენ შინაგანს) „დაგვიანდა, დრო ადამ არის!“

პარას. (გამოექცევა და მივარდება აბრამას) მიშველეთ, მიშველეთ!

აბრამ. გვიშველეთ! გვიშველეთ! (შემოვლენ ჯირჯინაშვილი და იორდანე პოლის ჩოთქით)

IX.

იგინივე, ჯირჯინაშვილი და იორდანე პოლის ჩოთქით.

ჯირჯინ. ქირადანე. } (ერთად) რა ამბავია?

ტარას. (აიღებს სტოლიდგან დანას და საწოლს, მუთაქებს და ბალიშებს სჩევლეტავს) „აჟა, აჟა, აჟა!“


უგეღანი. გაგიქდა სწორეთ! არიქა გვიშველეთ!

ტარას. (ჩვეულებრივის ხმით) რა გალრიალებთ, თქვე სულელებო? ეს რეპეტია იყო... არც აქეთ, არც იქეთ! დღეს მე ვთამაშობ!

უგეღანი. თამაშოოობთ!?!... (გაოცებულნი და პირდალებულნი არიან)

ფარდა.

დასასრული.



— — — — —

ს ა რ ჩ ე ბ ი

წინა-სიტყვათა	3 გვერდ.
I და-მძა, დრამა 5 მოქ. და 6 სურათ.	5 — „ —
II ჩათრევას ჩაეთდა სჯობიან, ვოდ. 1 მოქმედებად	107 „ —
III მონადირე, ვოდ. 1 მოქ.	133 „ —
IV რაც არ მერგება, არ შემერგება, ან- დაზა 1 მოქმედებად	153 „ —
V არც აქეთ, არც იქეთ!..	195 „ —



ისყიდება ყველგან

ვალერიან გუნდას-მიერ შედგენილი

ქართული მიწარ-მოწარის პრეგული

სრული და ვრცელი სახელმძღვანელო

სხვა და სხვა ბარათებისა და წერილების შესაფ-
გენად

ყოველ შემთხვევისთვის

სამს ნაწილად

ვასი ორი აბაზი.

ქართული თეტრი (1879–1889)

ისტორიულ-კრიტიკული განხილვა ქართულის თეატ-
რის ათის წლის განმავლობაში

შინაარსი:

ქართული თეატრის დასაწევისი და მისი თავ-გადასაცადი.
 ქართული სიმუდემის სცენა. რა ეჭირება ქართულ თეატრს.
 ქართველი დრამატურგები. ქართველი არტისტები. დრა-
მატიკები სელოვება. სასცენო ხელოვნება და თეატრის
 მნიშვნელობა უკალგან და ჩვენშიაც.

ვასი ორი აბაზი.

ვინც ხსენებულ წიგნებს თვითონ ავტორისაგან გამო-
იწერს, ის ფოსტის ხარჯს არ იხდის. უმთავრესი საწყობი გა-
მომცემელთან: თბილისი, ფრეილინის ქუჩა № 5.

თიფლისი, ფრეილინსкая ул. № 5. В. Гундა.

5 1/149



„წერა-ქითხების გამარტი. საზოგად.“ წიგნის მაღაზიაში
ისუადება შემდეგი წიგნები.

დრამები და პოეზიები, კალ. გუნასი. 50 კპ.

ჩართული თეატრი (1879—1889), მისიე 40 კპ. ც

ჩართული მიწოდ-მოწოდის კრებული

მისიე 40 კპ.

საქართველოს კალენდარი (დასურათებული), მისიე 45 კპ.

უბის ფიზიი (ედით და ესრანდაშით),

მისიე 40 კპ.

სახალხო კალენდარი, მისიე 5 კპ.

ჯ ფასი 50 კპ. ჭ

